ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

24 ივნისი **პარასკევი** 2011

№ 146 (13443) ფასი 80 თეთრი

ჭაჭიშვილის იმედიანი მარცხი

11

ფავორიტი გამოიკვეთა

მორატი გასპერინის ირჩევს. კალაძის ყოფილი მწვრთნელი ინტერში?

7



ლიბერტადორესის თასი: სანტოსი, პელე, ნეიმარი და ჩხუბი გუნდი გუნდზე

9

მოულოდნელი ტრანსფერი

მარცვალაძე ნიჟნიდან მიდის

კრასნოდარში

საქართველოს ნაკრების ორი წევრი ითამაშებს

გადაწყვეტილი ამბავია - საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" თავდამსხმელი **ოთარ მარცვალაძე** კლუბს შეიცვლის. მალე ის რუსეთის პრემიერლიგის დებიუტანტ "კრასნოდარის" ფორმას მოირგებს, რომლის კაპიტანიც საქართველოს ნაკრების მცველი **ალექსანდრე ამისულაშვილია**.

ეს ამბავი "ვოლგასთან" დაახლოებულმა სანდო წყარომ გვაცნობა. 26 წლის მარცვალაძეს ამ კლუბთან კონტრაქტი აკავშირებს, მაგრამ კრასნოდარელებმა ნიჟნინოვგოროდელებთან შეთანხმებას მიაღწიეს ტრანსფერის გამოსყიდვაზე, ფეხბურთელთან კი - სამწლიანი კონტრაქტის პირობებზე.

26 ივნისს "ვოლგა"-"ტომს" ესტუმრება და რუსეთის პრემიერლიგაში შესვენება გამოცხადდება. კლუბი ოთარ მარცვალაძის გაყიდვას სწორედ ამის შემდეგ გამოაცხადებს.

"კრასნოდარი" პრემიერლიგის დებიუტანტია, მაგრამ მისი ახალგაზრდა მეპატრონე **სერგეი გალიცკი** უმდიდრესი ბიზნესმენია და გუნდის გასაძლიერებლად ფულს არ იშურებს.

15 ტურის შემდეგ "კრასნოდარმა" 20 ქულა დააგროვა და პრემიერლიგაში მე-9 ადგილზეა.

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი

გიორგი მერებაშვილი

არადა, რა ახლოს იყო

მერებაშვილი და დინამო ვერ შეთანხმდნენ. ჰოლანდია თუ რუსეთი?

თბილისის "დინამოს" ნოვი სადის "ვოივოდინას" შემტევი ნახევარმცველის, **გიორგი მერებაშვილის** დაბრუნება სურდა, მაგრამ შეთანხმება ვერ მოხერხდა. საქმე ისაა, რომ გიორგის სერბულზე უფრო ძლიერი ლიგაში გადასვლას სთავაზობენ – ლაპარაკია ჰოლანდიურ და რუსულ კლუბებზე. ის თბილისში ისვენებდა და სერბეთში გამგზავრებას მხოლოდ ერთ კვირაში გეგმავდა, მაგრამ კლუბიდან დაუკავშირდნენ და სასწრაფოდ ნოვი სადში ჩასვლა მოსთხოვეს.

გიორგის სერბეთში დავუკავშირდით და ჩვენთვის საინტერესო ამბებზე დავეკითხეთ. ცხადია, გვსურდა, გაგვეგო, სერიოზულად განიხილავდა თუ არა "დინამოში" დაბრუნებას იმ დროს, როდესაც მისით ევროპული კლუბების დაინტერესება გახდა ცნობილი?

"დიახ, "დინამოში" დაბრუნებაზე სერიოზულად ვფიქრობდი. ვიცოდი, რომ ჩემს დაბრუნებას საკმაო მნიშნელობას ანიჭებდნენ. იქიდან გამომდინარე, რომ "დინამო" ჩემი ოჯახია, კარგად მესმის - თუ ჩვენ საკუთარ ფეხბურთს თავად არ დავაფასებთ, სხვა საერთოდ არ დააფასებს. ასე რომ, ძალიან ახლოს ვიყავით შეთანხმებასთან, შესაძლებელი იყო, კვლავ "დინამოს" ფეხბურთელი გავმხდარიყავი, მაგრამ ბოლოს მაინც ვერ შევთანხმდით" – გვითხრა მერებაშვილმა.

24 წლის ფეხბურთელმა დაგვიდასტურა, რომ სავსებით შესაძლებელია, მალე "ვოივოდინა" დატოვოს: *"სერბებიც დაინტერესებული არიან ჩემი გაყიდვით და მეც დიდი სურვილი მაქვს, სხვა კლუბში ვითამაშო. ცხადია, უფრო ძლიერ ლიგაში გადასვლაზე უარს არ ვიტყვი და ვნახოთ, აქედან რა გამოვა. ჯერჯერობით კი კლუბთან ერთად ევროპის ლიგისთვის ვემზადები"*.

როდესაც ქართველით დაინტერესებულ ჰოლანდიურ კლუბს ახსენებენ, ცხადია, ყველას **მერაბ ჟორდანიას** არნემის "ვიტესი" ახსენდება, მაგრამ მერებაშვილს მასთან მოლაპარაკება არ ჰქონია. დაინტერესებული კლუბების შესახებ კი არაფერს ამბობს – ჯერჯერობით, კონკრეტულად არაფრის თქმა არ შემიძლია, ყველაფერი მალე გადაწყდებაო.

გიორგი გახარებულია, "ვოივოდინას" გულშემატკივრებმა სეზონის საუკეთესო გოლად მის მიერ გატანილი ბურთი რომ აღიარეს.

"ვოივოდინას" ოფიციალურ ვებგვერდზე ჩატარებული გამოკითხვის მონაწილე 410 გულშემატკივრიდან ნახევარზე მეტმა, 210-მა მერებაშვილის მიერ "იავორის" კარში გატანილ გოლი გამოარჩია. ის მატჩი სეზონის დასაწყისში გაიმართა და "ვოივოდინას" გამარჯვებით დასრულდა - 2:0, მერებაშვილმა კი დუბლი შეასრულა. .

მერაბ მამულაშვილი

დინამო

ალექს გარსია

გარსია ტრანსფერს გვპირდება

თბილისის „დინამომ" ახალი სეზონისათვის მზადება დაასრულა; ესპანელი მწვრთნელის, **ალექს გარსიას** ხელმძღვანელობით გუნდმა სამი სპარინგ-მატჩი ჩაატარა: ლუგანსკის „ზარიასთან" ფრედ (0:0) ითამაშა, სლოვენიურ „კოპერთან" 1:2 დამარცხდა, შეკრების ბოლოს კი „დინამომ" სლოვენიიდან ავსტრიაში გადაინაცვლა და ამ ქვეყნის ჩემპიონს „შტურმს" დაუზავდა (0:0). რაღა თქმა უნდა, წინასასეზონო მზადების პირობებში საკონტროლო მატჩებში ნაჩვენებ შედეგს (როგორი არასასურველიც არ უნდა იყოს) გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს; მით უფრო, როცა ახალ მწვრთნელს თავის ახალ შეგირდებთან „ახლოს გაცნობის" საკმარისი დრო ნამდვილად არ ჰქონია. ეგაც რომ არ იყოს, სლოვენიურ-ავსტრიულ შეკრებაზე უმთავრესი ხომ გუნდის ახალ ტაქტიკურ განლაგებაზე (4-3-3) გადაწყობა და საერთოდ, რგოლებს შორის ურთიერთკავშირის დამყარება უნდა ყოფილიყო.

„დინამო" საქართველოში დღეს გამთენიისას უნდა დაბრუნებულიყო, გუნდი ორ დღეს დაისვენებს და ახალ სეზონში პირველი ოფიციალური მატჩისათვის მზადებას დაიწყებს. შეგახსენებთ, რომ ერთ კვირაზე ნაკლები რჩება ალექს გარსიას სამწვრთნელო დებიუტამდე: 30 ივნისს, უეფას ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში „დინამომ" მოლდოვურ „მოლსამის" უნდა უმასპინძლოს.

დარწმუნებული ვართ, რომ ამ შეხვედრამდე ქართულ მედიას საშუალება ექნება ესპანელი მწვრთნელისგან სლოვენურ-ავსტრიული შთაბეჭდილებები მოისმინოს. მანამდე კი იმ მასალას დავჯერდეთ, „დინამოს" ვებ-გვერდზე რომ გამოქვეყნდა.

ალექს გარსიამ საქართველოს ყველაზე ტიტულიანი კლუბი ორი კვირის წინ ჩაიბარა; თავისთავად, 14-15 დღე, როცა ახალ გუნდში ახალი იდეების დასამკვიდრებლად მიდიხარ, ძალიან ცოტაა. ის კი არა, შესაძლოა გუნდის გასაცნობად, მეტადრე, შესაცნობადაც არ იყოს საკმარისი დრო. მაგრამ, განსაკუთრებით ფეხბურთში და განსაკუთრებით ჩვენში, შედეგი ყველას მალე გვინდა. ეს კი, ყველაზე ნათლად „დინამოს" ახალ მწვრთნელს მოეხსენება, — მან უკვე ისიც მშვენივრად იცის, რომ როგორც კატალონიაში, ასევე საქართველოშიც „დინამო" მხოლოდ საფეხბურთო გუნდი (ან მხოლოდ სპორტული საზოგადოება) არასდროს ყოფილა და, ალბათ, არც დღეს არის. დინამოელთა სანვრთნელი შეკრება ალექს გარსიამ შეაჯამა და სლოვენიურ-ავსტრიული შთაბეჭდილებებზეც გულახდილად ისაუბრა: „ძალიან კმაყოფილი ვარ; მთავარია, რომ შევძელით მყუდრო გარემოში მშვიდად გვემუშავა. რაც მთავარია, იმის საშუალება გვქონდა, დაგეგმილი რომ განგვეხორციელებინა; მწვრთნელებმაც და ფეხბურთელებმაც, ერთმანეთი უკეთ გავიცანით და რაც შესაძლოა ყველაზე მთავარიც იყოს, ერთმანეთს კარგად გავუგეთ. ფეხბურთელებთან მუშაობა ჩემთვის მარტივი და ადვილი იყო. ისინი ჩვენი მოთხოვნებისათვის მზად იყვნენ, — შესაძლოა იმიტომაც, რომ კატალონიელები და ქართველები ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებით.

შეკრებაზე 3 საკონტროლო მატჩი ჩავატარეთ და მხოლოდ 1 ბურთი გავიტანეთ, ისიც პენალტით, თუმცა საგოლე მომენტები მრავლად გვქონდა; აქედან გამომდინარე, ჩვენი უპირველესი საზრუნავი თავდასხმის ხაზის გაძლიერებაა — უახლოეს დღეებში ჩამოვყალიბდებით და ახალ ტრანსფერსაც ნურავინ გამორიცხავს. ჩემთვის მნიშვენლოვანი იყო ის ფაქტი, რომ შეკრება ავსტრიის ჩემპიონთან ჩატარებული მატჩით დავასრულეთ — ამ შეხვედრაში „დინამოს" თამაშის ხარისხით კმაყოფილი ვარ; გამოჩნდა, რომ გუნდი თამაშიდან თამაშამდე უმატებდა. საერთოდ, ამ შეკრების განმავლობაში ბევრი რამ დავინახეთ — „შტურმთან" მატჩში იმის კონტურებიც გამოჩნდა, რაც ჩვენ გვინდა. ანუ, „დინამოს" სათამაშო კონცეფციას ვგულისხმობ: ბურთის კონტროლს, თამაშის წაყვანას, ორგანიზებულ პრესინგსაც და, რაც მთავარია, შეტევაში აქტიურ თამაშს.

...30 ივნისს უმნიშვნელოვანესი მატჩი გველოდება — ახალ სეზონში პირველ შეხვედრას ვატარებთ: „დინამოს" მთავარი მწვრთნელის რანგში ჩემთვის პირველი ოფიციალური მატჩია და ძალიან მინდა, რომ ამ შეხვედრას რაც შეიძლება ბევრი ქომაგი დაესწროს. საერთოდაც, ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ „დინამომ" ისე ითამაშოს, გულშემატკივარი სტადიონზე დააბრუნოს!"

გია ტუხაშვილი

ზესტაფონი

აქეთ ნული, იქით რუმინ-ერთი

სტიაუა-ზესტაფონი 1:0

სტიაუა: **სტანჩა (81. კოისარუ), გალამაზი (59. ჟერალდო ალვეში), ნიკოლიტა (59. ბაჟენარუ), ბიცფალვი (81. ვადუვა), ბილაშკო (59. კოსტეა), ილიევი, მარტინოვიჩი (72. ბეჟანი), ლუპუ (88. ტოსკა), პოპა (72. მუზაკი), ლეანდრო ტატუ (65. ალბუ), რუსესკუ (81. ლაზარი).**

ზესტაფონი: **მამალაძე (83. მეშველიანი), მ. კობახიძე, გ. ონიანი, ხიდეშელი, გაგოშიძე (69. თ. ღონღაძე), დაუშვილი (46. გრიგალაშვილი), ძარია (46. გორგიაშვილი), ბაბუნაშვილი (46. აფციაური), ჭანკოტაძე (67. როსტომ გეწაძე), სარდალიშვილი (46. დვალი), ლომია (46. წინამძღვრიშვილი).**

გოლი: **1:0 ლეანდრო ტატუ (41)**

ავსტრიულ შეკრებაზე მყოფმა "ზესტაფონმა" პირველი საკონტროლო მატჩი პატარა ქალაქ ბიშოფსჰოფენში რუმინეთის ყველაზე ტიტულოვან კლუბ "სტიაუასთან" ჩაატარა და მინიმალურად დამარცხდა. შეხვედრამ თავსხმა წვიმის თანხლებით ჩაიარა და დიდი ვერაფერი სანახაობა გამოდგა, თუმცა გასახსენებელი ეპიზოდები მაინც იყო.

როგორც ხედავთ, **გია გეგუჩაძემ** ძირითად შემადგენლობაში არაერთი ახალბედა გაამწესა, რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი კი თამაშში მეორე ტაიმიდან ჩართო. სწორედ ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ ბუქარესტელებმა გამარჯვების გოლი შესვენებამდე გაიტანეს. "სტიაუას" ბრაზილიელი ფორვარდი **ლეანდრო ტატუ** ფლანგურ გადაცემას გამოეხმაურა და **ზურაბ მამალაძის** კარი თავური დარტყმით დალაშქრა. აქვე გეტყვით, რომ "ზესტაფონის" ძირითადმა მეკარემ, **როინ კვასხვაძემ** მიკროტრავმის გამო ვერ ითამაშა.

მეორე ტაიმში "ზესტაფონი" უკეთ ამოქმედდა და თამაშიც გაათანაბრა. საქართველოს ჩემპიონებს იდეალურად არ უთამაშიათ, მაგრამ იმის კვალობაზე, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ პირველ მატჩს ატარებდნენ, არცთუ ურიგოდ გამოიყურებოდნენ. ფეროელებს მატჩის გადარჩენის რეალური შესაძლებლობაც ჰქონდათ, მაგრამ **შოთა გრიგალაშვილმა** ხეირიანად ვერ დაარტყა.

ასე დასრულდა პირველი ტესტმატჩი, რომელმაც კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ "ზესტაფონს" ძლიერ ევროპულ კლუბებთან ბრძოლა შეუძლია. საკონტროლო შეხვედრის შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ "დაჩიასთან" საჩემპიონთალიგო დაპირისპირების წინ კარგი განწყობის შექმნა მაინც სასურველია და იმედია, მომდევნო სპარინგები ფეროელებისთვის უფრო შედეგიანი გამოდგება.

27 ივნისს "ზესტაფონი" დაბა კუნდლში ლვოვის "კარპატის" გაეჯიბრება.

ლევან ჯანეზაშვილი

გიორგი ონიანი (მარცხნივ) ბურთისთვის ბრძოლაში

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
ჰას გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეზდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ბაია

ელგუჯა ქომეთიანი

რამდენ თხილის გულს გაუყოფენ იტალიელები ზუგდიდელებს?

უკვე გაცნობეთ, რომ ზუგდიდის "ბაიას" დაფინანსება თხილის ბიზნესით დაკავებულ იტალიურ კომპანიას აქვს გადაწყვეტილი. თუ რამე არ შეიცვალა და სამეგრელოში მოქმედი ეს ფირმა კლუბის სპონსორობას საბოლოოდ დათანხმდება, ხელშეკრულების გაფორმება 27 ივნისისთვის იგეგმება. "ბაიას" ახალი სპონსორის სახელსაც, ალბათ, სწორედ ამ დღეს შევიტყობთ.

უახლოესი დღეებისთვისაა ნავარაუდევი "ბაიას" ფეხბურთელთა, მწვრთნელთა და პერსონალის სახელფასო დავალიანების გასტუმრებაც. გუნდმა კი ახალი სეზონისთვის მზადება უკვე დაიწყო. **ელგუჯა ქომეთიანი** გუნდს ჯერჯერობით ზუგდიდში ავარჯიშებს. ფეხბურთელები ჯერ ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე მუშაობენ, საკონტროლო მატჩები კი მოგვიანებით გაიმართება. რამდენიმე დღეში, წესით, ბაკურიანული შეკრება უნდა დაიწყოს.

ახალწვეულთა რაოდენობა და ხარისხი კი, რა თქმა უნდა, დაფინანსების ოდენობაზეა დამოკიდებული. ისე კი, "ბაიაში" რამდენიმე ფეხბურთელი უკვე ისინჯება.

ლევან ჯანეზაშვილი

● ევროტურნირები

მეტოქეებიც ამოძრავდნენ

დაჩია (მოლდოვა)

მილსამი (მოლდოვა)

ბანანცი (სომხეთი)

ანართოსისი (კვიპროსი)

ევროთასეტის დაწყებამდე პერიოდულად მოგაწვდით ცნობებს ქართული კლუბების მომავალი მეტოქეების შესახებ. გადავხედოთ ჩვენების მოწინააღმდეგეთა ბანაკში სადღეისოდ არსებულ ვითარებას.

მოლდოველები მშრალად იმარჯვებენ

"დაჩიამ" გუშინწინ საკონტროლო მატჩი ჩაატარა "სტინფულ გეორგესთან" და 2:0 გაიმარჯვა. თამაშში მონაწილეობა ცხადია, **დავით გამეზარდაშვილმა** და **ლევან კორღალიძემაც** მიიღეს.

კორღალიძე, რომელიც მოლდოვის განვლილი ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, ამ დღეებში იქაური პრესისთვის სასურველი რესპონდენტია. რამდენიმე დღის წინ მან "ზესტაფონის" დახასიათებისას ხაზი გაუსვა იმერული გუნდის ტექნიკურ სტილსა და სტაბილურ შემადგენლობას, ბოლო კომენტარისას კი საქართველოს ჩემპიონის გამორჩეულ ფეხბურთელებად **თორნიკე აფციაური** და **ჯაბა დვალი** დასახელა.

შეგახსენებთ, კორღალიძე და გამეზარდაშვილი "ზესტაფონის" ყოფილი ფეხბურთელები არიან, ხოლო დვალი "ზესტაფონამდე" სწორედ "დაჩიას" ღირსებას იცავდა.

ორი სიტყვით თბილისის "დინამოს" მონინააღმდეგე "მილსამიზე". სპარინგ-მატჩი ამ გუნდმაც ჩაატარა და "ნისტრუ" 6:0 გაანადგურა. **მარიუს რომანმა** და **პიოტრ ლეუკამ** დუბლი შეასრულეს, თითო გოლი კი **ტრაორემ** და **გოლბანმა** გაიტანეს.

ბატონი სარქისი კმაყოფილია

რამდენიმე დღის წინ "ბანანცი" თავისუფალი აგენტის სტატუსით ორმა ფეხბურთელმა დატოვა - წამყვანმა მცველმა **არარატ არაქელიანმა** და ნახევარდაცვის ლიდერმა **სამველ მელქონიანმა**. ორივე კარიერას ირანულ "მესში" გააგრძელებს.

"მეტალურგთან" ორივე თამაშს გამოტოვებს ერევნელთა ძირითადი მეკარე **სტეპან კაზარიანი**, რომელსაც აპენდიციტის ოპერაცია გაუკეთეს და ერთი თვე გაუცდება.

რაც შეეხება ახალწვეულებს, "ბანანცმა" მეკარე **ნიკოლაი სარგსიანი** და ნახევარმცველები **იარემ კავაციკი** და **არტურ ედიგარიანი** დაიმატა.

"არმფუტბოლზე" "ბანანცის" პრეზიდენტის **სარქის ისრაელიანის** კომენტარია გამოქვეყნებული. იგი წილისყრის შედეგით კმაყოფილი დარჩენილა: *"ვფიქრობ, "ბანანცს" ბედმა გაუღიმა. ისღა დაგვრჩენია, სათანადოდ მოვემზადოთ და შემდეგ რაუნდში გასასვლელად ვიბრძოლოთ. ევროთასებზე ორ ქართულ კლუბთან გვითამაშია და კარგად ვიცით, რომ ქართველები ტექნიკური ფეხბურთით გამოირჩევიან. გამონაკლისი არც ჩვენი მომავალი მეტოქეა, რომელთანაც დაძაბული და სანახაობრივი ბრძოლა გველის".*

სომხეთის ჩემპიონატში ბოლო მატჩი "ბანანცმა" სტუმრად "შირაქთან" 1:1 ითამაშა. გოლი შეცვლაზე შესული **არსენ ბალაბეკიანის** ანგარიშზეა. მართალია, "მეტალურგის" მეტოქე სომხეთის რვაგუნდიან პრემიერლიგაში ბოლოსწინა ადგილზეა, მაგრამ რამდენიმე ტურია, უკეთ თამაშობს – განვლილი ოთხი შეხვედრიდან ერთიც არ წაუგია (1 გამარჯვება და 3 ფრე).

ანორთოსისის სოლიდური შენაძენი

"გაგრას" მეტოქე "ანორთოსისი" შეკრებაზე ავსტრიაშია, სადაც პირველ საკონტროლო შეხვედრას 26 ივნისს ოდესის "ჩერნომორეცთან" გამართავს. კვიპროსელებმა ერთი ტრანსფერი უკვე განახორციელეს და თურქული "ბურსასპორიდან" ბულგარეთის ეროვნული ნაკრების ძირითადი მეკარე **დიმიტარ ივანკოვი** გადაიბირეს. შეგახსენებთ, "ანორთოსისს" მთავარი მწვრთნელიც ბულგარელი ჰყავს – ამ ქვეყნის ნაკრების ყოფილი თავკაცი **სტანიმირ სტოილოვი**.

დროის ამბავი

30 ივნისს "დინამოსა" და "მილსამის" მატჩი **ბორის პაიჭაძის** სახელობის ეროვნულ სტადიონზე 21 საათზე დაიწყება. ერევნის "რესპუბლიკურზე", რომელიც **ვაზგენ სარგსიანის** სახელსაც ატარებს, "ბანანცისა" და "მეტალურგის" პირველი შეხვედრა თბილისის დროით 17 საათისთვისაა დანიშნული.

ჩემპიონთა ლიგაზე "ზესტაფონს" დებიუტი 12 ივლისს ექნება. "დავით აბაშიძეზე" თამაში 20 საათზე დაიწყება.

ლევან ჯანეზაშვილი

● ჩვენებური უცხოეთში

ჟორდანია ახალს ერთ კვირაში იგყვის

"ვიტესის" პრეზიდენტმა **მერაბ ჟორდანიამ** მოსალოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და გასულ სეზონში ნაჩვენები უხეირო შედეგების გამო ესპანელი მთავარი მწვრთნელი **ალბერტ ფერერი** თანამდებობიდან გაათავისუფლა.

ფერერმა "ვიტესი" სეზონის მსვლელობისას ჩაიბარა და გუნდი ქვედა ლიგაში გავარდნისგან კი იხსნა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ არნემელებს განსაკუთრებული წარმატებები მოუტანა – "ვიტესი" ერედივიზიიდან გავარდნას მხოლოდ გატანილ-გაშვებული გოლების უკეთესი შეფარდებით გადაურჩა.

ჟორდანიას განცხადებით, გუნდის ახალი დამრიგებლის ვინაობას საზოგადოება დაახლოებით ერთ კვირაში შეიტყობს. შეგახსენებთ, "ვიტესის" მთავარ მწვრთნელობას ჯერ **სტივ მაკლარენს** უწინასწარმეტყველებდნენ, შემდეგ კი - **ლუის ვან გაალს**. პირველი ვარიანტი უკვე ჩაიშალა და, ალბათ, მეორესაც იგივე ბედი ეწევა.

9 ივლისს "ვიტესი" ამხანაგურად ლონდონის "ჩელსის" ეთამაშება და **გურამ კაშიასა** და **გიორგი ჭანტურიას** ამ დროისთვის უკვე ახალი მწვრთნელი ეყოლებათ.

ლევან ჯანეზაშვილი

● ლეგიონერი

ამირან სანაია

აიწონა, დაიწონა, იქაურმა გადაწონა

ამირან სანაიას საქართველოს ყველა ნაკრებში უთამაშია - ასაკობრივებშიც და ეროვნულშიც. 22 წლის მცველმა ხუთჯერ მოირგო მთავარი გუნდის ფორმა, ბოლოს **ექტორ რაულ კუპერმა** ჩერნოგორიასთან მატჩამდელ შეკრებაზე გამოიძახა - მას შემდეგ საფრანგეთში მოთამაშე მცველის შესახებ ბევრი არაფერი გვსმენია. მხოლოდ ის ვიცოდით, რომ იყო გასინჯვაზე ბელგიის ერთ-ერთ კლუბში, შემდეგ მეორე ბუნდესლიგის "ალემანიაში", ბოლოს კი საფრანგეთის რანგით მესამე დივიზიონის "ბასტიაში" ჩაირიცხა.

ახლახან შევიტყვეთ, რომ სანაიას დამატება თბილისის "დინამოს" სურდა, მას შეხვდნენ და კონკრეტული პირობებიც შესთავაზეს, მაგრამ ამირანი მაინც საფრანგეთში დაბრუნდა.

შეგახსენებთ, რომ სანაია 2005-07 წლებში გამოდიოდა "ზესტაფონში". საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში თამაშის შემდეგ მისით უცხოური კლუბები დაინტერესდნენ. 2007 წელს საფრანგეთის ლიგა1-ის "ლე მანში" გადავიდა და 2010 წლამდე მის ღირსებას იცავდა. გასულ წელს კი კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა და "ბასტიაში" ჩაირიცხა.

სამწუხაროდ, ამირანმა საფრანგეთში "გაგვასწრო" და მასთან გასაუბრება ვერ მოვახერხეთ, თუმცა მის ოჯახში დაგვიდასტურეს, რომ თბილისის "დინამოსთან" მოლაპარაკება ჰქონდა.

"ბასტიამ" გასულ სეზონში ნასიონალდივიზიონში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა და ლიგა2-ში გადავიდა. თუმცა ბოლო ტურებში ქართველი მცველი შემადგენლობაში არ ჩანდა. ამირანს კუნთი დაეჭიმა და მკურნალობდა, თბილისში დაისვენა და ტკივილი აღარ აწუხებს.

სანაია საფრანგეთში ორიოდე დღის წინ დაბრუნდა და მალე გაარკვევს, რომელ გუნდში გააგრძელებს კარიერას. თბილისის "დინამოს" დაინტერესებამ ფეხბურთელი გულგრილი არ დატოვა, წინადადებაც მოეწონა და კონტრაქტის პირობებიც. რაც მთავარია, კარგად ხედება, რომ "ლე მანიდან" წამოსვლისა და ეროვნულ ნაკრებში ბოლო გამოძახების შემდეგ დიდი დრო გავიდა, ტრავმისა და სხვა მიზეზით დაკარგული დროის

ამირან სანაიას ფრანგული საფიქრალი

გამო მის მიმართ ნაკრების თავკაცებიც აღარ ინტერესდებოდნენ, "დინამოში" თამაშის შემთხვევაში კი ისინი მეტ ყურადღებას მიაქცევდნენ.

თუმცა კარგია "დინამო" და კარგი პირობები, მაგრამ, ცხადია, ფეხბურთელისთვის საფრანგეთი ბევრად პერსპექტიული ქვეყანაა, ვიდრე საქართველო და ამ ფაქტორის გამო "დინამოს" წინადადებაზე უარი თქვა.

მას "ბასტიასთან" კონტრაქტი დაუსრულდა, მაგრამ ახალს გაუმჯობესებული პირობებით სთავაზობენ (1+1) და მეტ სათამაშო პრაქტიკას ჰპირდებიან. თავადაც ეიმედება, რომ "ბასტიას" ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდება.

ამავე დროს, დაბრუნებას სთავაზობენ "ლე მანშიც", რომელსაც გასულ სეზონში "დიჟონმა" მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობით აჯობა და ამიტომ ლიგა 1-ში თამაშის უფლება ვერ მოიპოვა. სანაია ამ შეთავაზებაზე ფიქრობს, რადგან თავის დროზე გუნდიდან ბევრად უფრო გამოცდილი კონკურენტის გამო წამოვიდა, რომელიც სხვაგან თამაშს აპირებს.

მერაბ მამულაშვილი

● საბაზრო ეკონომიკა

მილიონები, მილიონები

დიდი ევროპა დიდ ევროებში



ბანკებში ჩვენი ფულიც ჩხრიალებს

გერმანულ სააგენტო "ტრანსფერმარკტის" ვებგვერდზე ბევრ საინტერესო ინფორმაციას წააწყდებით. ცხადია, შეფასებას ხშირად ვერ დაეთანხმები, სუბიექტურობის ელფერიც დაჰკრავს, მაგრამ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის, როგორ უყურებენ და აფასებენ ევროპელები ქართულ ფეხბურთს.

ამჯერად გთავაზობთ საქართველოს უმაღლესი ლიგის გუნდების შეფასებას.

რა ღირს ქართული კლუბები?

	ს.ა.	გ.ს.ფ.	ფ.ს.ფ.
1. დინამო"	25.4	6.450.000	248.077
2. ზესტაფონი	24.6	5.950.000	238.000
3. მეტალურგი	25.1	2.725.000	97.321
4. ტორპედო	25.7	2.200.000	91.667
5. ვიტ ჯორჯია	21.6	1.050.000	43.750
6. სპარტაკი	23.1	1.050.000	42.000
7. სიონი	26.1	725.000	32.955
8. ბაია	21.5	550.000	30.556
9. კოლხეთი	22.8	375.000	17.857
10. სამგრედია	23.2	325.000	14.773
ჯამური ფასი			21.400.000
მოთამაშეთა საშუალო ფასი			91.064

** თანხები ევროებში*

** ს.ა. – საშუალო ასაკი; გ. ს. ფ. – გუნდის საერთო ფასი; ფ.ს.ფ. – ფეხბურთელთა საშუალო ფასი.*

უმაღლესი ლიგის გუნდები - გასული სეზონის მიხედვით, მაგრამ ახალი ფეხბურთელებით შეაფასესს. მაგალითად, **კობა შალამბერიძემ** სეზონი ბოლნისის "სიონში" დაამთავრა, მაგრამ მისი ღირებულება უკვე ცხინვალის "სპარტაკს" დაემატება.

ამგვარად, საქართველოს უმაღლესი ლიგის გუნდების ჯამური ფასი 21.400.000 ევროა, ხოლო საშუალოდ ჩვენს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელის სატრანსფერო ფასი - 91.064 ევრო.

საინტერესო უნდა იყოს უმაღლესში გადმოსული კლუბების შეფასებებიც: "გაგრას" 350.000 ევროდ აფასებენ, მარტვილის "მერანს" – 100.000-ად, გორის "დილას" შეფასება კი ვერ აღმოვაჩინეთ.

აღსანიშნავია, რომ ძალიან ბევრი ფეხბურთელი შეუფასებელია, ცხადია, არა **ლიონელ მესივით**, რომელაც ფასი არ აქვს.

ჩვენო ძვირფასო ფეხბურთელებო

ახლა კი გავეცნოთ გუნდებში ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელების სიას:

დინამო	
გიორგი ლორია	450.000
ედნილსონი	400.000
გულვერდ თოდაშვილი	350.000
გიორგი თეძთურმანიძე	350.000
ირჟი ჰომოლა	350.000
ზესტაფონი	
გუგა დაუშვილი	550.000
გიორგი ხიდეშელი	450.000
ნიკა გელაშვილი	400.000
რონინ კვასხვაძე	400.000
მეტალურგი	
ირაკლი მოდებაძე	300.000
ლეძსო კვახაძე	300.000
ლუკა რაზმაძე	300.000
რევაზ გეწაძე	200.000
ტორპედო	
გიორგი სეთურიძე	225.000
თენგიზ ჩიკვილაძე	200.000
ვახტანგ კვარაცხელია	175.000
ვიტ ჯორჯია	
გესიკ ჩიმაკაძე	100.000
გურამ გურეშიძე	100.000
გურამ ადამაძე	75.000
გიორგი ჯანელიძე	75.000
გიორგი ვასაძე	75.000
რევაზ ლანიაშვილი	75.000
გიორგი ქორიფაძე	75.000
სპარტაკი	
კოტა შალამბერიძე	125.000
ლაშა ჯაკობია	100.000
ზვიად მეტრეველი	75.000
თემურ შონია	75.000
ტიერი კლოვისი	75.000
სიონი	
ვალერი ყაზაიშვილი	175.000
ვილი ისიანი	50.000
ლაშა ნოზაძე	50.000
გიორგი ქუცურუა	50.000
ირაკლი ჩირიკაშვილი	50.000
ნიკა კვასხვაძე	50.000
ვაჟა ძორიძე	50.000
გიორგი თარგამაძე	50.000
ბაია	
ლუკა გუგუჩია	125.000
ზვიად სიხარულია	75.000
დათა რიგვავა	50.000
ლევან წურწუმია	50.000
გურამ სამუშია	50.000
შოთა ლომია	50.000
კოლხეთი	
ლაშა გვალია	50.000
ლევან გულუა	50.000
სამგრელია	
გიორგი ცხადაია	75.000
გაგრა	
გიორგი გაგედავა	200.000
მერანი	
თორნიკე კაკუშაძე	75.000

ბოლნისის "სიონი" მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში უნიკალური გუნდია, რადგან კლუბის ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელი **ვალერი ყაზაიშვილი** დუბლშემადგენლობაში თამაშობდა. რა თქმა უნდა, რეალურად ყაზაიშვილს "სიონთან" შეხება არც აქვს, რადგან ბოლნისელთა სახელით "საბურთალოს" აღზრდილები თამაშობენ და სატრანსფერო უფლებებსაც ეს სკოლა ფლობს. თუმცა ფაქტი თავისთავად საინტერესოა.

ევროჯამი: 37-ე

"ტრანსფერმარკტმა" დაითვალა, რომ საქართველოს უმაღლეს ლიგაში ლეგიონერთა რაოდენობა მოთამაშეთა საერთო რაოდენობის 3,0 პროცენტს შეადგენს. მსგავსი მაჩვენებელი ინგლისის პრემიერლიგაში 63,8 %-ია, ბუნდესლიგაში – 48,2 %, სერია A-ში – 48 %, რუსეთის პრემიერლიგაში – 47,6 %, ფრანგულ ლიგა 1-ში – 39,8 %, პრიმერადივიზიონში კი – 38,5 %.

საქართველოს უმაღლესი ლიგა გუნდების ჯამური ფასით ევროპაში 37-ე ადგილზეა. ვუსწრებთ მხოლოდ ესტონეთს, ირლანდიას, ისლანდიას, უელსსა და ჩრდილო ირლანდიას. საიტზე მოცემულია მხოლოდ უეფაში გაწევრებული 42 ქვეყნის მონაცემები. არ არის ინფორმაცია აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთისა და მოლდოვის უმაღლეს ლიგებზე. თუმცა ვეჭვობთ, მათზე უკეთესი მონაცემები გვქონდეს – პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ხომ ჩვენი ლიგა ერთ-ერთი ყველაზე ღარიბია.

ლიდერ ოთხეული

1. ინგლისის პრემიერლიგა
3.403.125.000
2. ესპანეთი ლა ლიგა
2.556.900.000
3. იტალია, სერია A
2.418.275.000
4. ბუნდესლიგა
1.718.675.000

შესადარებლად გთავაზობთ ჩვენთვის საინტერესო სხვა ლიგების მონაცემებსაც:

7. რუსეთი, პრემიერლიგა	745.250.000
10. უკრაინა	526.025.000
28. ბელარუსი	67.750.000
34. ლიტვა	25.625.000
36. ლატვია	21.750.000
37. საქართველო	**21.400.000**
38. ესტონეთი	18.650.000

მერაბ მამულაშვილი

საზრანსფერო მიდი-მოდი

გუნდები	წავიდნენ	მოვიდნენ	მოსამზადებელი ეტაპი საკონტროლო მატჩები
ზესტაფონი გია გეგუჩაძე	გრუიცა (?), ფოფხაძე (?), ალადაშვილი (?)	თ. ღონღაძე (დინამო)	7 ივნისიდან - ზესტაფონში 21 ივნისიდან - ავსტრიაში სტიაუა (რუმინეთი) 0:1
მეტალურგი თორნიკე მაისურაძე	გ. ჭელიძე (?), დ. ბოლქვაძე, ქემოკლიძე (ორივე - ტორპედო), იაშვილი, რეხვიაშვილი (ორივე - დინამო)	ქობალია (ბაია, იჯარით), გ. მიქაბერიძე (სამგრედია), ორბელაძე, დ. ლომაია (ორივე - სიონი), მახვილაძე (კოლხეთი)	4 ივნისიდან - რუსთავში 12 ივნისიდან - სლოვენიაში მატერსბურგი (ავსტრია) 1:0 კოპერი (სლოვენია) 2:1 მარიბორი (სლოვენია) 0:6
დინამო ალექს გარსია	კ. კაჭარავა (მთ. მწვრთნელი - კლუბის სტრუქტურა), მაროვიჩი (?), იელიჩი (?), არზიანი (?), გ. კვარაცხელია (?), ტატანაშვილი (?), ედნილსონი(?), ციმაკურიძე ზარქუა (ორივე - სპარტაკი), თ. ღონღაძე (ზესტაფონი)	ა. გარსია (ბარსელონა, მთავარი მწვრთნელი), იაშვილი, რეხვიაშვილი (ორივე - ოლიმპი), ოდიკაძე (ინტერი, აზერბაიჯანი), გრიშიკაშილი (სპარტაკი), გ. ბერაია (გაბალა, აზერბაიჯანი), ლ. ახალია (?)	7 ივნისიდან - თბილისი 12 ივნისიდან - სლოვენია ზარია (უკრაინა) 0:0 კოპერი (სლოვენია) 1:2 21 ივნისიდან - ავსტრიაში შტურმი (ავსტრია) 0:0
ვიტ ჯორჯია ზურაბ ბერიძე	ჭანკვეტაძე (?)	ხუმარაშვილი (სამგრედია), ხუჭუა (გაგრა), გავაშელიშვილი, ოთარაშვილი (ორივე - დინამო)	14 ივნისიდან - თბილისში
ბაია ელგუჯა ქომეთიანი	ქობალია (ოლიმპი, იჯარით), ჩანგელია (გაგრა)	გუგუჩია (ტორპედო, იჯარა დაუმთავრდა)	20 ივნისიდან - ზუგდიდში
ტორპედო გიორგი კინკაძე, ზაზა ზამთარაძე	**გ. გიგატაძე (მთ. მწვრთნელი), მაჭავარიანი (?), ს. თოდუა (?), გუგუჩია (ბაია, იჯარა დაუმთავრდა)**	**გ. კიკნაძე, ზ. ზამთარაძე (მთ. მწვრთნელები),** დ. ბოლქვაძე, ქემოკლიძე (ორივე - მეტალურგი), ც. ხარაბაძე (ჩხერიმელა)	15 ივნისიდან - ქუთაისში 24 ივნისიდან - ურეკში
სიონი ხვიჩა ქასრაშვილი	**დ. ლომაია, ორბელაძე (ორივე - ოლიმპი), შალამბერიძე, რ. ჯიქია (ორივე სპარტაკი)**	—	—
კოლხეთი სოსო ფილია	**ძაგანია (სპარტაკი)**	ნადირაშვილი (გაგრა)	—
გაგრა ანატოლი ბისკოვეცი	**ორდინსკი (?),** ნადირაშვილი (კოლხეთი)	აქუბარდია, გოგოხია, ჩანგელია (სამივე - ბაია), ჭედია (თურანი, აზერბაიჯანი), ხუბუა (?), სიჭინავა (კოლხეთი), ბეგაშვილი (ჩიხურა), ჯერემია (?, ნიგერია)	17 ივნისიდან - **თბილისში** **უგუნდოების ნაკრები 2:0** **უგუნდოების ნაკრები 1:0** **უგუნდოების ნაკრები 4:1**
სპარტაკი ბადრი კვარაცხელია	**გრიშიკაშვილი (დინამო), მ. ბარაბაძე (?), ვ. ბოლქვაძე (?), ჯაკობია (?), ხომერიკი (?), მგელაძე (?), მანჩხავა (?), ჭაფოძე (?), დ. ლობჟანიძე (?), უგრეხელიძე (?),**	**ჯიქია, შალამბერიძე (ორივე - სიონი), ზარქუა (დინამო, იჯარით), ციმაკურიძე (დინამო), ძაგანია (კოლხეთი),** ლობჟანიძე (?), გუგავა (?)	15 ივნისიდან - **თბილისში** 20 ივნისიდან - **ბაკურიანში**
დილა გია ცეცვაძე	ცნობილაძე (?), თედიაშვილი (?)	გ. თოდუა (მარტვილი), დ. ჩაგელიშვილი (ჩიხურა), გველესიანი (კოლხეთი)	15 ივნისიდან - **გორში**
მარტვილი მალხაზ ჟვანია	გ. თოდუა (დილა)	**თ. შალიკაშვილი (სამგრედია), ე. გრიგალაშვილი, მანწკავა (ორივე - ბათუმი), გ. შენგელია (?), ქამუშაძე (ჩიხურა)**	20 ივნისიდან - **ბაკურიანში**

შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩელსი

ოთხოსანი ვილას-ბოასი

საოცარი რამ თქვა „ჩელსის“ ახალმა მწვრთნელმა **ანდრე ვილას-ბოასმა** — კლუბის მეპატრონე, **რომან აბრამოვიჩი** კმაყოფილი რომ მყავდეს, ერთბაშად ოთხი ტიტული, ანუ, როგორც ინგლისელები უწოდებენ, „კვადროპლი“ უნდა მოვიგოო. სწორედ ეს გააკეთა ვილას-ბოასმა ახალდამთავრებულ სეზონში „პორტუს“ შემადგენლობაში. ცნობისათვის: „ჩელსის“ შემთხვევაში ოთხი ჯილდო გამოდის — პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი, ინგლისის ლიგის ანუ „ქარლინგის“ თასი და, რასაკვირველია, უეფას ჩემპიონთა ლიგა.

ვილას-ბოასმა თქვა: „*დარწმუნებული ვარ, რომ „ჩელსის“ ამბიციებს მხარს ავუბამ და ერთბაშად ოთხ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის ვიბრძოლებ. ეჭვი არ მეპარება, რომ ასეთი მიდგომა ხალხსაც ძალიან მოეწონება. მესმის, რომ ახალი ხელმძღვანელობის ხელში ცხოვრების წესი იცვლება, მაგრამ იმედი მაქვს, მალე ყველა ერთი იდეით დაიმუხტება და ყველაფრის მოსაგებად ყველა ღონეს იხმარს*“.

მოგეხსენებათ, 33 წლის ვილას-ბოასმა „სტემფორდ ბრიჯზე“ სამწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, თუმცა კარგად უწყის, რომ „ჩელსის“ მეპატრონეს ჩემპიონთა ლიგის მოგება უნდა და ამ ფრონტზე დამარცხება, საეჭვოდ, მისი თანამდებობიდან მოხსნით დამთავრდება. ინგლისში დღემდე არ განელებიათ გაოცება, რომელიც **კარლო ანჩელოტის** თანამდებობიდან მოხსნამ გამოიწვია. ანჩელოტიმ, ხომ პირველ სეზონში ერთბაშად ორი ჯილდო მოიგო — პრემიერლიგის ჩემპიონი გახდა და ფეხბურთის ასოციაციის თასს დაეუფლა, მაგრამ, შემდეგ სეზონში ხელი მოეცარა და, რაც მთავარია, ჩემპიონთა ლიგაში ვერ გაიმარჯვა.

ვილას-ბოასი ამბობს, რომ ევროპული ჯილდოს მოგება იღბალზეა დამოკიდებული:

„*კარგად მესმის, რატომაც არის „ჩელსი“ ჩემპიონთა ლიგის მოგების იდეით ასე შეპყრობილი. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ჯილდოს საუკეთესონი კი არა, ყველაზე იღბლიანები იგებენ*“.

გასულ სეზონში პორტუგალიელმა „პორტოს“ ქვეყნის ჩემპიონის ტიტული, თასი, ქვეყნის სუპერთასი და ევროლიგა მოაგებინა, მაგრამ როდესაც გაიგო, თუ რამდენს იხდიდა მის გამოსასყიდად „ჩელსი“, გაოცდა. მოგეხსენებათ, ვილას-ბოასში „ლურჯებმა“ 13,25 მილიონი ფუნტი ანუ, დაახლოებით, 14,9 მილიონი ევრო გადაიხადეს.

„*ეს მართლაც წარმოუდგენელი იყო. ამ ამბავმა ჩემზე ყუმბარის გასკდომასავით იმოქმედა. თუმცა დღეს ემოციამ ჩაიარა და ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს მივადექით — კლუბის დიადი მომავლის პროექტზე ვმუშაობთ. ბოლო ექვსი თუ შვიდი წელიწადია „ჩელსი“ ძირეულად შეიცვალა, რიგითიდან დიდ კლუბად გარდაიქმნა. ჩვენ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, ეს მიმართულება რომ შევინარჩუნოთ*“.

ანდრე ვილას-ბოასი

გაზეთი „სანი“ კი ვილას-ბოასის პირველი ინგლისური პრესკონფერენციის შემდეგ წერს, რომ ახლა მისთვის გასაგებია, თურამ უბიძგა „ჩელსის“ ხელმძღვანელობას პორტუგალიელის დაქირავებისკენ ჩვენ, რასაკვირველია, ასეთ დეტალებში შეყოლა არ გვჭირდება, მაგრამ გაზეთმა დასავლეთლონდონელთა ახალ მწვრთნელს 2005 წლის ხელნაწერიც კი გამოართვა, სადაც ის, როგორც **ჟოზე მოურინიოს** სკაუტი, „ნიუკასლ იუნაიტედს“ ახასიათებდა.

ვილას-ბოასის მსოფლმხედველობა კი მის პირველ პრესკონფერენციაზე კარგად გამოჩნდა. მან თქვა, რომ ანჩელოტის ფორმაციის გუნდია და დიდად შეცვლას არ აპირებს, ხოლო ფეხბურთელებს პირისპირ დაელაპარაკება და იქ გაარკვევს, რამდენად არიან ისინი მზად, გუნდისთვის თავი დასდონ. ახალმა მწვრთნელმა ბრძანა:

„*დარწმუნებული ვარ, რომ ფეხბურთში მთავარი მოტივაციაა. რასაკვირველია, წარმატებისთვის კარგი ორგანიზაცია და ხელმძღვანელობაც აუცილებელია. მე ვამყოფ ჩემი ასისტენტებით, რომლებიც ძალიან კარგ ანალიზს აკეთებენ და ზუსტად ამბობენ, თუ როგორ უნდა ვითამაშოთ ამა თუ იმ შეხვედრაში. ჩვენ ძალიან გვიყვარს შემტევი, შემოქმედებითი ფეხბურთი, მაგრამ ყველაზე მეტად მინდა ფეხბურთელებს თავიანთი პასუხისმგებლობა ჰქონდეთ კარგად გააზრებული. მათ ხომ კონკრეტული გადაწყვეტილებები აქვთ მისაღები. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ვართ ადამიანთა ტექნიკური ჯგუფი, რომლებიც მათ პასუხისმგებლობის აღებასა და გადაწყვეტილებების მიღებას შთავაგონებთ.*

რასაკვირველია, ვარჯიშით უამრავი რამის გამომუშავება შეიძლება, მაგრამ ყველაფერს მოედანზე მათი გრძნობები, მათი ნაბიჯები, მათი ინტუიცია წყვეტს. ხოლო იმისათვის, რომ მათი ნაბიჯები სწორი იყოს, ისინი მუდმივად მოტივირებულნი უნდა იყვნენ. ფეხბურთელები დღენიადაგ მოგებაზე უნდა იყვნენ დაგეშილნი. ჩვენც, სწორედ ამაზე გავაკეთებთ უმთავრეს აქცენტს და ამოსავალ წერტილად ავიღებთ იმას, რომ „ჩელსი“ ბოლო წლების განმავლობაში წარმატებული გუნდი იყო. საბოლოოდ, ყველაფერს გამარჯვების წყურვილი გადაწყვეტს“.

ვილას-ბოასის ფილოსოფია ერთი შეხედვით ძალიან მარტივ პრინციპზეა აგებული: იმისათვის, რომ მოედანზე გაიბრწყინონ, ფეხბურთელებმა უნდა იცოდნენ, რომ საქმეს მთელი გულით უნდა მოეკიდონ. მათ მოედანზე პოტენციალი სრულად უნდა გამოამჟღავნონ.

„*ჩვენ გვინდა „ჩელსიში“ საკუთარი ფილოსოფია დავნერგოთ და გარედან ინგლისური ფეხბურთის, კულტურის საფარველი შემოვარტყათ. შემდეგ ვნახავთ, სადაც მიგვიყვანს ეს ყველაფერი. იმისათვის, რომ ფეხბურთელმა გაიბრწყინოს, მას არჩევანის თავისუფლება უნდა ჰქონდეს. მწვრთნელმა თითოეულ მოთამაშეში უნდა იპოვოს ისეთი რამ, რაც მან თავად იცის, რომ აქვს, მაგრამ ვერ ამჟღავნებს. თითოეული ფეხბურთელის შესაძლებლობები სრულად - აი, რას ვეძებთ ჩვენ*“.

ახალი ფეხბურთელების შესახებ რომ ჰკითხეს, „ჩელსის“ მწვრთნელმა თქვა, რომ ის ჯერ ძველებს უნდა შეხვდეს და ამოიცნოს ისევ აქვთ ის ჟინი, რომლის წყალობითაც ადრე ბრწყინავდნენ თუ არა. სეზონის დაწყებამდე ვილას-ბოასთან გულწრფელი ლაპარაკი მოუწევთ **ეშლი კოულს, დიდიე დროგბას, ჯონ ტერის, ფრენკ ლემპარდს** და სხვა ლიდერებს, რომლებიც, სხვათა შორის, მისი თაობისანი არიან. „ჩელსის“ საკლუბო ტელევიზიასთან ლაპარაკისას პორტუგალიელმა თქვა:

„*მინდა გუნდში მშვიდი ატმოსფერო სუფევდეს, რათა ფეხბურთელებმა ყოველგვარი ვნებათაღელვის გარეშე გამოამჟღავნონ თავიანთი შესაძლებლობები. ივლისში, საწვრთნელ ბაზაზე უამრავი მოთამაშე დაბრუნდება. მინდა მათ თავი მოვუყარო, შევხვდე და დავინახო, კვლავ არიან ჟინით შეპყრობილნი თუ არა. რადიკალური ცვლილებები „ჩელსის“ სიკეთეს არ მოუტანს*“.

მანჩესტერ სიტი

ისტლენდზე ალი აინთება?

„**მანჩესტერ სიტი**“ „ლიონისგან“ 23 წლის **ალი სისოკოს** ყიდულობს. ისტლენდელთა აღმასრულებელი შეფი **გერი კუკი** და მისი მარჯვენა ხელი **ბრაიან მერვუდი** რამდენიმე დღის წინ საფრანგეთს გაფრინდნენ, რათა ლიონელებს მოლაპარაკებოდნენ. ინგლისურ პრესაში ორი თვის წინ იწერებოდა, რომ „სიტის“ მარცხენა მცველი სჭირდება, ფრანგულ გუნდს კი თავისი სატრანსფერო გეგმები აქვს და ამ გეგმების განსახორციელებლად თანხა უნდა იშოვოს. სისოკოს გაყიდვა „ლიონს“ დაახლოებით 20 მილიონ ფუნტს ანუ 22,5 მილიონ ფუნტს მოუტანს.

სისოკოს საფრანგეთში ყველაზე სწრაფი და მძლავრი განაპირა მცველის სახელი აქვს. ამ მხრივ ის ძალიან ჰგავს „სიტის“ **მიკა რიჩარდსს**. „ლიონს“ სისოკო, ორი წლის წინ, დაახლოებით 13,5 მილიონი ევრო დაუჯდა — მანამდე ფრანგი „პორტოში“ თამაშობდა. კიდევ უფრო ადრე, სენეგალური წარმოშობის ვარსკვლავი „მილანმა“ დაიწუნა — იტალიელმა ექიმებმა გამოიკვლიეს და დაასკვნეს, რომ მას შესაძლოა ზურგის პრობლემები გასჩენოდა. ინგლისურ საზოგადოებაზე კი სისოკომ განსაკუთრებული შთაბეჭდილება 2009 წელს, მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე“ მოახდინა, როდესაც „პორტოსა“ და „იუნაიტედის“ ჩემპიონთა ლიგის ფრედ დასრულებულ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

ფრანგის გარდა „მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელი **რობერტო მანჩინი** 26 წლის ევერტონელი **ლეიტონ ბეინესის** ვარიანტსაც განიხილავს. ეს ორი ფეხბურთელი ერთსა და იმავე პოზიციაზე თამაშობს, მაგრამ ისტლენდელთა იტალიელი მწვრთნელის მიზანიც ეს არის: მანჩინის სურს თითოეულ პოზიციაზე ორი თანაბარი ძალის მქონე ვარსკვლავი ჰყავდეს.

მანჩესტერული ამბები

ვის რა ეშლება?

ეშლი იანგს თავი ქუდში აქვს — მან „მანჩესტერ იუნაიტედის“ სამედიცინო ცენტრში შემოწმება გაიარა და 16-მილიონიანი ტრანსფერიც შედგა. მოგეხსენებათ, „ასტონ ვილას“ ვარსკვლავსა და „იუნაიტედს“ შორის ყველაფერი ჯერ კიდევ ორი კვირის წინ გაირკვა, სანამ 25 წლის გარემარბი დასასვენებლად ლას ვეგასში წავიდოდა. ფორმალობაღა იყო დარჩენილი. იანგი ამერიკიდან ორშაბათს ჩამოვიდა, რამდენიმე დღეში კი „იუნაიტედის“ ბრიჯუოტერის კლინიკას მიაკითხა, სადაც დადასტურდა, რომ ის სრულიად ჯანმრთელია.

შეგახსენებთ იმასაც, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა, სერ **ალექს ფერგიუსონმა** მიმდინარე სატრანსფერო სეზონში უკვე 30 მილიონ ფუნტზე მეტი დახარჯა. იანგის გარდა მან 16,5 მილიონ ფუნტად, „ბლექბერნიდან“ 19 წლის მცველი **ფილ ჯონსი** გადაიბირა.

მანჩესტერის მეორე გუნდში, „სიტიში“ კი ბოლო დღეებში ყურადღება 27 წლის არგენტინელი თავდამსხმელის, **კარლოს ტევესის** ამბავმა მიიპყრო. ის, მოგეხსენებათ, ყველა ღონეს ხმარობდა, რათა ისტლენდიდან წასულიყო, მაგრამ საქმე ცუდად მოუტრიალდა — მილანის „ინტერმა“ განაცხადა, რომ ამ თავდამსხმელის ყიდვა მისთვის დიდი ფუფუნებაა.

ტევესი, რომელიც გასულ სეზონში „მანჩესტერ სიტის“ კაპიტანი გახლდათ, არ მალავდა, რომ პრემიერლიგიდან გაქცევას აპირებდა. მიზეზად კი ოჯახურ მდგომარეობას ასახელებდა. ამბობდა, რომ შვილები არგენტინაში ჰყავს და მათ გარეშე ცხოვრებას ვერ ეგუება. ბოლოს და ბოლოს, „სიტი“ მის გაყიდვას დათანხმდა, მაგრამ ფორვარდს ძვირი ფასი დაადო — 50 მილიონი ფუნტი ანუ დაახლოებით 56 მილიონი ევრო. ამას დაამატეთ პირადად ტევესის ხელფასიც — ისტლენდზე ის კვირაში 250 ათას ფუნტს იღებდა, ასეთი თანხის ერთ ფეხბურთელში გადახდა კი, ვაგლახ, მთელ დედამინაზე სულ ერთ-ორ გუნდს თუ შეუძლია და ერთ-ერთი მათგანი „სიტია“.

ეშლი იანგი

ლივერპული

დაუნინგის საქმე

26 წლის მარცხენა გარემარბი, **სტიუარტ დაუნინგი** შესაძლოა „ლივერპულის“ ფეხბურთელი გახდეს. ყოველ შემთხვევაში „ასტონ ვილამ“ მას წასვლის უფლება მისცა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ მის სანაცვლოდ მყიდველი მხარე 19 მილიონ ფუნტს გადაიხდის. „ვილას“ ახალ მწვრთნელ **ალექს მაკლიშს** დაუნინგის გაშვება არ სურს, მაგრამ ვინაიდან ფეხბურთელთან ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკება ჩიხში შევიდა, უჯობს ფული მაინც იშოვოს. ერთი სიტყვით, მაკლიში დაუნინგის მერსისაიდზე გაშვებას არ ეწინააღმდეგება და არც იმას მალავს, რომ მისი გაყიდვით მიღებული ფულით „უიგანისგან“ 25 წლის ფრანგ გარემარბ **შარლ ნ'ზოგბიას** იყიდის.

როგორც შეატყვეთ, დაუნინგის ტრანსფერს წინ ერთადერთი რამ შეიძლება აღუდგეს — ფული. „ლივერპული“, რასაკვირველია, ალტერნატიულ ვარიანტებს ეძებს და „სენტ ეტიენის“ 24 წლის მოთამაშე **დიმიტრი პაიეს** გადაბირებაზე ფიქრობს.

ამასობაში, „ასტონ ვილას“ კიდევ ერთი ფეხბურთელი, 29 წლის ესპანელი **კარლოს კუელარია** გაქცევაზე. მისი ყიდვა შოტლანდიის ჩემპიონ „გლაზგო რეინჯერსს“ სურს. და ვისი ყიდვა უნდა თავის მხრივ მაკლიშს? მას ბელგიური „ჟერმინალის“ 19 წლის ნახევარმცველის, კენიელი **ვიქტორ ვანიამას** ყიდვა უნდა. „ვილა“ „ჟერმინალს“ 1 მილიონ ფუნტს ანუ 1,11 მილიონ ევროს სთავაზობს და ცდილობს, ვუნდერკინდი „სუონსისა“ და „სელტიკს“ ცხვირწინ აწაპნოს.

სტიუარტ დაუნინგი

ვესტ ჰემი

დიდი სემის დიდი ამოცანა

პრემიერლიგიდან ჩემპიონშიაში გავარდნილი „ვესტ ჰემის“ ახალი მწვრთნელი **სემ ელერდაისი** „ჩაქუჩების“ კაპიტნად 28 წლის ნახევარმცველ **კევინ ნოლანს** დაასახელებს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ გუნდის კაპიტანი და ვარსკვლავი, 30 წლის **სკოტ პარკერი** სხვა გუნდში გადავა. „დიდი სემი“ „ეპტონ პარკზე“ ახალი მწვრთნელის რანგში ოთხშაბათს წარადგინეს და მან თქვა, რომ პარკერის შენარჩუნების იმედი აქვს.

„ვესტ ჰემის“ მეპატრონეებმა, **დევიდ გოლდმა** და **დევიდ სალივანმა** გადაწყვიტეს ელერდაისისთვის მხარდაჭერა ეჩვენებინათ და 4 მილიონ ფუნტად ნოლანი უყიდეს. „ნიუკასლის“ ყოფილი ფეხბურთელი ლონდონში, კვირაში 55 ათას ფუნტს მიიღებს.

„*მე კევინს დიდებულ ფეხბურთელად და მოედაზე თუ მის გარეთ ნამდვილ ლიდერად მივიჩნევ* — თქვა ელერდაისმა — *და თუ პარკერი გუნდიდან წავა, ვფიქრობ კაპიტნის სამკლავურს სწორედ მას ვანდობ. ვფიქრობ, როდესაც ჯოი ბარტონი ტელევიზორში ემოციას ვერ მალავს და ლამის ტირის, ნოლანი „ნიუკასლიდან“ წავიდაო, ყველაფერი ნათქვამია*“.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲑᲐᲜᲐᲜᲘᲡ ᲛᲡᲠᲝᲚᲚᲔᲚᲘ ᲐᲛᲝᲘᲪᲜᲔᲡ

"ᲙᲠᲘᲚᲘᲐ ᲡᲝᲕᲔᲢᲝᲕᲘᲡᲐ" და "ანჟის" შეხვედრის 89-ე წუთზე, სრულიად უწყინარ სიტუაციაში, სტუმართა ლეგენდარულ ფეხბურთელ **რობერტო კარლოსს** ტრიბუნებიდან ბანანი ესროლეს. აღნიშნულის შესახებ ჩვენი გაზეთი უკვე იუწყებოდა. შემდეგ რუსულ ვებგვერდებზე დაიწერა, რომ სამარელთა ხელმძღვანელობამ ამ ადამიანის ვინაობის დადგენაში დახმარებისთვის პრიზი დაანესა. თუმცა საქმე სხვაგვარად წარიმართა: სტადიონის უსაფრთხოების სამსახურმა არენაზე დამონტაჟებული სისტემის დახმარებით, რომელიც ტრიბუნების ყოველ კონკრეტულ მონაკვეთს აკონტროლებს, შეძლო ეჭვმიტანილის იდენტიფიცირება. საქმე ის არის, რომ მან ბანანის სროლიდან რამდენიმე წამში თავისი ადგილი მიატოვა და შეუერთდა იმ ხალხს, ვინც ტრიბუნებს უკვე ტოვებდა. კამერამ ის სწორედ ამ მომენტში დააფიქსირა.

ᲤᲔᲠᲔ ᲠᲔᲜᲡ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲐ

"რენის" აკადემიის აღზრდილი, გასულ სეზონში "ნანსის" ერთ-ერთი ლიდერი **ჟულიან ფერე** (36 თამაში, ყველა ძირითადში), ვინც ბოლო სამი წლის განმავლობაში ლოტარინგიულ კლუბში თამაშობდა, შინ ბრუნდება. კლუბების ურთიერთშეთანხმებით ტრანსფერის ღირებულება საიდუმლოდ დარჩება. 28 წლის შემტევმა ნახევარმცველმა ბრეტონელებთან ხელშეკრულება 3 წლით გააფორმა. *"როცა პირველად "რენში" მოვხვდი, მაშინ სულ 18 წლისა ვიყავი. მაშინ ამ გუნდთან ერთად დიდი ოცნებები და დიდი მოლოდინი მაკავშირებდა. 20 წლისამ აქაურობა იმედგაცრუებულმა დავტოვე, თუმცა კლუბში არავის მიმართ წყენა არ დამრჩენია. ახლა კი აქ დაბრუნებით მოხარული ვარ"*, – თქვა ფეხბურთელმა.

ფერე "რენის" დუბლებში 2000-03 წლებში ასპარეზობდა, შემდეგ კი ქვედა ლიგის კლუბებს მიაშურა და ჯერ "ნიორის" ღირსებას იცავდა, შემდეგ "რეიმსის". სწორედ აქედან მოხვდა ის "ნანსიში".

ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲗ, ᲒᲐᲒᲐᲒᲓᲔᲑᲔᲜ!

ალბათ ფეხბურთში ამაზე კურიოზული გაძევების ამბავი არც გსმენიათ. ეს ავსტრალიის ქვედა დივიზიონის მატჩისას მოხდა. **აარონ ეკლსტოუნი** "ოლდ ჰილის" რიგითი ფეხბურთელია და მსაჯმა ის მინდვრიდან გააძევა. იცით, რატომ? ორი ყვითელი მიიღო. პირველი იმიტომ, რომ საზარდულის მცირე ტრავმის შემდეგ მინდორზე ისე შევიდა, რომ არბიტრისთვის ნებართვა არ უთხოვია, მაგრამ კურიოზული ის არის, რომ მან იქვე მეორე ყვითელიც დაიმსახურა. ძაღლის თავიც აქ არის დამარხული... მოხსენებით ბარათში წერია, რომ ეკლსტოუნმა გაფრთხილების მიუხედავად "ფეხბურთელის ჯანმრთელობისთვის მავნე დეტალები სხეულიდან არ მოიხსნა". ეს დეტალი კი ჯიუტ ფეხბურთელს... პენისზე ეკეთა. ყველაფერი კარგია, მატჩის არბიტრის პრინციპულობა გასაგები და მისაღებია, მაგრამ მაინც გაოცებასა ვართ: რანაირად გაიგო მან, რომ ფეხბურთელს პირსინგი მაინცდამაინც გენიტალიაზე ეკეთა?

ᲰᲐᲰᲝᲔᲚᲘᲡ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲓᲐᲐᲡᲐᲕᲔᲡ

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ პოლიციამ პეთაჰ თიკვას "ჰაპოელის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი დააკავა. მას უკვე წაუყენეს ბრალი ჩემპიონატის მატჩების შედეგებით მანიპულირებაში. სამართალდამცავები ირწმუნებიან, რომ გასული სეზონის მიწურულს ეს ბატონი საქმეებს ისე აგვარებდა, რომ მისი გუნდის მატჩებს მხოლოდ მისთვის სასურველ არბიტრებს ანდობდნენ. ამასთან, მწვრთნელი და ფეხბურთელები რამდენჯერმე დააფიქსირეს საკუთარი გუნდის თამაშებზე ფულის დადების დროს. ფეხბურთელების მიმართ საქმე ჯერ აღძრული არ არის. მწვრთნელი დამატებით საკუთარი გუნდის ფეხბურთელებისთვის ფულის გამოძალვაშიც არის ეჭვმიტანილი.

ᲢᲣᲚᲣᲖᲛᲐ ᲡᲔᲠᲑᲘ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲐ

"ტულუზმა" "ცრვენა ზვეზდადან" მარჯვენა მცველი **პავლე ნინკოვი** გადაიბირა. აღნიშნულ ინფორმაციას ფრანგული კლუბის ოფიციალური საიტი ავრცელებს. კონტრაქტი მხარეებმა 4 წლით გააფორმეს. წინა სეზონში პავლე "წითელი ვარსკვლავების" კაპიტანი იყო. მის ანგარიშზე სულ სერბეთის ნაკრებში ჩატარებული 4 მატჩია.

ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘ-ᲖᲐᲚᲪᲑᲣᲠᲒᲘ

შვედეთის ნაკრებისა და "აიაქსის" ნახევარმცველი **რასმუს ლინდგრენი** კარიერას "ზალცბურგში" გააგრძელებს, - გვამცნობს ფრანგული გამოცემა "ეკიპი". სკანდინავიელმა ავსტრიელებთან კონტრაქტი 2 წლით გააფორმა. რასმუსმა ადგილი ძირითად შემადგენლობაში **ფრანკ დე ბურის** დანიშვნის შემდეგ დაკარგა და მისი ტრანსფერზე დაყენების იდეაც სწორედ დე ბურს ეკუთვნოდა.

ლევან ᲑᲘᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲘᲐᲥᲡᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ

ᲐᲘᲐᲥᲡᲘ 1966

აიაქსის პირველი გამარჯვების სულისჩამდგმელები: რინუს მიხელსი და იოჰან კრუიფი

სტატია, რომელსაც ქვემოთ წაიკითხავთ, "აიაქსის" ფანკლუბის საიტზე ნაწილ-ნაწილ გამოქვეყნდა, ჩვენც დავიცავთ რიგითობას და მას რამდენიმე ნაწილად შემოგთავაზებთ.

"აიაქსი" ერთი თვის წინ ჰოლანდიის ჩემპიონი ოცდამეათედ გახდა. ამას გარდა, გუნდმა არაერთი სერიოზული მატჩი ჩაატარა ევროპის ლიგაზეც. თუმცა ამსტერდამულ გრანდს რა ხანია მართლა ისტორიული მატჩი აღარ ჰქონია. სტატიის ავტორი ერთ-ერთი ასეთი დაპირისპირების მონაწილეს შეხვდა. ვეტერანმა გულშემატკივარმა და "აიაქსის" მემკვიდრეობის გადარჩენის ერთ-ერთმა მოთავემ, ამჟამად კლუბის არქივარიუსმა **ჰენრი შუმანმა** დეტალებზე დაუზარლად ილაპარაკა. სტატია 1966 წლის "აიაქსი"-"ლივერპულის" მატჩს ეხება.

ჩვენი გმირი 6 წლის განმავლობაში თამაშს არ ტოვებდა ჰოლანდიის სტადიონებზე - თავის საყვარელ ფეხბურთელებს ყველგან ამხნევებდა, მაგრამ გახდა თუ არა 20-ის, გადაწყვიტა, რომ ამიერიდან ევროპაშიც უნდა ემოგზაურა გუნდთან ერთად. რა თქმა უნდა, მან ინგლისში წასვლაც გადაწყვიტა, სადაც მათ "ლივერპული" ელოდა: *"მოგზაურობას ორგანიზება "აიაქსის" ადმინისტრაციამ გაუწია. ჩვენ ინგლისში ფეხბურთელებთან ერთად გავფრინდით. მთელი სალონი ფანებით იყო სავსე. რამდენიმე დღე ლონდონში გავჩერდით და მხოლოდ ამის შემდეგ ჩავედით ლივერპულში, "ბითლზის" ქალაქში. "ლივერპულის" თავკაცმა ბილ შენკლიმ თამაშამდე დაიტრაბახა, ნახავთ, ამსტერდამელებს 6:0 ან 7:0-ს მოვუგებთო (ამსტერდამში მასპინძლებს 5:1 ჰქონდათ მოგებული. რედ). ასეთი განცხადებები სერიოზულად გვაფიქრებდა. ჩვენ, ფანები ზედა იარუსზე მოგვათავსეს. ასეთი სიმაღლიდან ფეხბურთის ყურება განუმეორებელი შეგრძნებაა. "აიაქსი" მოედანზე შეუდარებელი იყო. კრუიფმა ორი გოლი გაიტანა, თამაში კი 2:2 დასრულდა, რისი წყალობითაც ევროპის თასის მეოთხედფინალში გავედით. ეს ფენომენური მიღწევა გახლდათ".*

ცოტა ხანში "აიაქსს" მორიგი გასვლა ელოდა - ამსტერდამელები პრაღას ეწვივნენ, რათა იქ "დუკლას" შეჰბმოდნენ (შინ 1:1 ითამაშეს). ამ მოგზაურობასაც შუმანი იხსენებს: *"პრაღელებთან დაპირისპირება ძალიან ძნელი იყო. იქ გუნდთან ერთად გამგზავრება 125 გულდენი დაჯდა. ამ თანხის მოგროვებაში მშობლები დამეხმარნენ. მშვიდი პრაღა "აიაქსის" ხმაურიანმა ფანებმა "თავდაყირა დააყენეს". ის თამაში წავაგეთ (1:2. რედ) ძირითადად ფრიტს სუტკაუს ავტოგოლის წყალობით. რინუს მიხელსმა ამის გამო ფეხბურთელი გუნდიდან გაუშვა. ის სეზონი ჰოლანდიაში გუნდმა ფანტასტიკურად ჩაატარა, 122 გოლი გაიტანა, გახდა ჩემპიონი და თასიც მოიპოვა".*

ლევან ᲑᲘᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲘ

ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲘ ᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ოფიციალური ინფორმაცია, რომ ბერძნულ ფეხბურთში გამოვლენილ კორუფციასთან დაკავშირებით ზუსტად 80 ადამიანია ეჭვმიტანილი, რომელთაგან ათი პოლიციამ დააკავა და ბრალი წაუყენა, 70 კი ჯერჯერობით მხოლოდ დაკითხულია. ამავე საქმეზე ივნისის პირველ რიცხვებში პოლიციამ უკვე დააკავა 7 ადამიანი, მათ შორის საბერძნეთის სუპერლიგის კლუბების პრეზიდენტები. მათ მიმართ წაყენებულია ბრალდება თაღლითობის, ქრთამის აღების, უკანონო საბუკმეიკერო საქმიანობისა და შავი ფულის გათეთრების მუხლებით. დაკავებულთაგან ორს აღმოუჩინეს არარეგისტრირებული "Hekler&Kox Usp-ს" მოდელის 9/19 კალიბრის პისტოლეტები, მათი სახლებიდან ამოღებულია დიდი ოდენობით კომპიუტერული ტექნიკა და მობილური ტელეფონები, ასევე სახელმწიფო საბუკმეიკერო კანტორის კუპონები, ნაღდი ფული და ასე შემდეგ. სამართალდამცავთა მტკიცებით, ბოროტმოქმედები გარიგებული მატჩებით მიღებული შემოსავლებით, როგორც მინიმუმ, 2008 წლიდან ცხოვრობდნენ.



ბერძნულ ფეხბურთში სერიოზული პრობლემები დაგროვდა

ბერძნული ფეხბურთი ბოლო 5 წლის განმავლობაში რამდენჯერმე შეირყა სერიოზულად, ასეთი სკანდალების გამო. მხოლოდ ერთი კონკრეტული მაგალითი რომ ავიღოთ, 2010 წლის ბოლოს აღძრულ საქმეში 13 კლუბი ფიგურირებს, მათ შორის 4 სუპერლიგის მონაწილე, 8 მეორე დივიზიონის, 1 კი მესამე ლიგის. გარიგებული მატჩები, მასობრივი ძალადობა სტადიონებზე და კიდევ მრავალი მოუუვარებელი პრობლემის გამო საბერძნეთის ხელისუფლებამ ქვეყნის პროფესიული ფეხბურთის ლიგა დაშლილად გამოაცხადა და ჩემპიონატის ორგანიზება უშუალოდ ფეხბურთის ფედერაციას მოსთხოვა.

ლევან ᲑᲘᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲘ

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲡᲘᲡᲔ

ჯიბრილ სისე

"ᲞᲐᲜᲐᲗᲘᲜᲐᲘᲙᲝᲡᲘᲡ" ვიცე-პრეზიდენტმა **დიმიტრიოს გონტიკასმა** ოფიციალურად დაადასტურა, რომ კლუბი იძულებულია, "ლაციოსთან" **ჯიბრილ სისეს** ტრანსფერზე მოლაპარაკებები აწარმოოს. "ბიანკოჩელესტე" ფრანგ თავდამსხმელში 5 მილიონს იხდის, ბერძნები კი მილიონით მეტს ითხოვენ. *"ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ფეხბურთელის ტრანსფერს დავთანხმდებით, ეს კლუბის მძიმე ფინანსური მდგომარეობაა. ჯიბრილის გარდა ჩვენ სხვა ლიდერების გაყიდვაც მოგვიწევს. მათ შეცვლას კი ახალგაზრდებით ვგეგმავთ. სულ ეს არის რისი თქმაც შემიძლია, დეტალებზე ლაპარაკი ახლა შორს წაგვიყვანს".*

ბერძნულ კლუბთან დაკავშირებით ერთი საინტერესო ამბავიც გავრცელდა: პორტუგალიის ნაკრებისა და ლისაბონის "ბენფიკის" ყოფილმა თავდამსხმელმა **ნუნუ გომეშმა** შესაძლოა კარიერა სწორედ ათენურ კლუბში განაგრძოს. ვეტერანს კიდევ ერთი ვარიანტი აქვს, მას "ბრაგაც" ეპატიჟება. ბოლოს კი უბრალოდ შეგახსენებთ, რომ ნუნუმ "ბენფიკაში" 12 წელი გაატარა და 398 შეხვედრაში 165 გოლი გაიტანა.

ლევან ᲑᲘᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲤᲠᲐᲖᲔᲑᲘ

ნეიმარი

ᲒᲐᲣᲖᲠᲓᲔᲚᲘ ᲜᲔᲘᲛᲐᲠᲘ

ᲓᲘᲔᲒᲝ ᲛᲐᲠᲐᲓᲝᲜᲐᲡ მწარე ენამ კიდევ ერთხელ არ გაუშვა შანსი, გაეკრიტიკებინა **პელე**. ფეხბურთის უგვირგვინო მეფის კრიტიკის ობიექტი ამჯერად „სანტოსში" მოთამაშე პერსპექტიული ახალგაზრდა **ნეიმარი** გახდა, რომელმაც ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, **ლიონელ მესის** იმ შემთხვევაშიც ვაჯობებ, თუ ევროპაში არ ვითამაშებო. ახალგაზრდა მოთამაშის ამ განცხადებას მარადონა მომენტალურად გამოეხმაურა: *„ნეიმარი ისეთივე გაუზრდელია, როგორც მისი თანამემამულე პელე. მესი კი განსაკუთრებული მოთამაშეა და ვეჭვობ, ნეიმარმა მას ზე უკეთ ითამაშოს".*

ᲐᲒᲣᲔᲠᲝ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘᲐ

„ვალენსიას" ლეგენდარულმა გოლკიპერმა **სანტიაგო კანისარესმა** მადრიდის „რეალის" ორი სავარაუდო ახალწვეული, **ნეიმარი** და **სერხიო აგუერო** შეადარა ერთმანეთს. *„ჩემი აზრით, აგუერო ნეიმარზე უკეთესია. არგენტინელი ბრაზილიელს ბევრ კომპონენტში სჯობს, — საუბრობს კანისარესი „მარკასთან" ინტერვიუში — პირველ რიგში, აგუერო უფრო გამოცდილია, რაც, რასაკვირველია, უპირატესობას აძლევს მას. მეორე რიგში კი სერხიომ უკეთესად იცის ესპანეთის ჩემპიონატი — რამდენიმე წელიწადი ხომ მადრიდის „ატლეტიკოს" ღირსებას იცავდა".*

ᲓᲘᲓ ᲯᲚᲣᲑᲨᲘ ᲕᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑ

ᲛᲝᲒᲔᲑᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, მადრიდის „ატლეტიკოს" მეკარე **დავიდ დე ხეა**, „მანჩესტერ იუნაიტედში" გადადის და ამბობს, რომ „იუნაიტედი" უდიდესი კლუბია, ისევე, როგორც „ატლეტიკო". „ასთან" ინტერვიუში დე ხეა აცხადებს: *„არ შემეძლო არ გამხარებოდა ის ფაქტი, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" დაინტერესებული გახლდათ ჩემით. „იუნაიტედი" ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია, ისევე, როგორც მადრიდის „ატლეტიკო". „მანჩესტერში" თამაშზე ბავშვობიდან ვოცნებობ.* **ედვინ ვან დერ სარი** და **პიტერ შმეიხელი** *ყოველთვის ჩემი კერპები იყვნენ და მათ მსოფლიოს საუკეთესო მეკარეებად ვთვლი".*

გიორგი ᲨᲣᲚᲐᲠᲘᲐᲜᲘ

● ინტერი

ფავორიტი გამოიკვეთა

მოლაპარაკებები დასკვნით ფაზაშია

"ინტერისთვის" მთავარი მწვრთნელის ძიების პროცესი გრძელდება და ჩვენც ოპერატიულად გაწვდით ახალ-ახალ ინფორმაციებს. **მასიმო მორატის** არაერთ ფრონტზე მოეცარა ხელი, ბოლო იმედგაცრუება კი **ანდრე ვილას ბოასის** მიმართულებით განიცადა, რომელმაც მილანური გრანდის მესვეურებს უარი სტკიცა და ლონდონის "ჩელსი" ჩაიბარა.

მორატი აცხადებს, რომ უახლოეს მომავალში მწვრთნელის საკითხს გადაწყვეტს და როგორც იტალიელი ჟურნალისტები გვიმტკიცებენ, უკვე გამოიკვეთა ის სპეციალისტი, რომელზეც პრეზიდენტის არჩევანი შეჩერდება. ლაპარაკია არც მეტი, არც ნაკლები **ჯანპიერო გასპერინიზე**, რომელიც ბოლოს "ჯენოას" ედგა სათავეში. არც მეტი, არც ნაკლები კი იმიტომ, რომ თითქოს გასპერინის კვალიფიკაცია თუ წარსული არ შეესაბამება "ნერაძურის" დონეს და ვეჭვობთ, რომ საქმის ბოლომდე მიყვანის შემთხვევაში, გულშემატკივრები მთლად კმაყოფილები არ დარჩებიან. მიუხედავად ამისა, გასპერინის "ინტერის" მთავარ მწვრთნელად დანიშვნა სულ უფრო რეალური ხდება და ამაზე თავად მორატის სიტყვები მეტყველებს:

"მწვრთნელის შერჩევის პროცესი დასკვნით ფაზაშია შესული და გამომდინარე აქედან, ლეონარდოს შემცვლელს ახლო მომავალში წარვადგენთ. ახალ მწვრთნელს ბოლო წლების შედეგების მიხედვით შევარჩევთ და ფავორიტი უკვე გამოკვეთილიც გვყავს. გასპერინი? – ძალიან კვალიფიციური მწვრთნელია, შესანიშნავად განსწავლული ტაქტიკურ ნიუანსებსა და ფსიქოლოგიაში. ფეხბურთელებთან ურთიერთობა კარგად გამოსდის და მთლიანობაში, შესანიშნავი ადამიანია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ "ინტერის" ახალი მწვრთნელი აუცილებლად გასპერინი იქნება, მაგრამ მის კანდიდატურას, რომ სერიოზულად განვიხილავთ, ესეც ფაქტია".

"კორიერე დელო სპორტის" ცნობით, გასპერინი უკვე არაერთხელ შეხვდა "ინტერის" სპორტულ დირექტორ **მარკო ბრანკას**, ბოლო შეხვედრას კი თვით მასიმო მორატი დაესწრო. ეს კიდევ ერთი დასტურია იმის, რომ მოლაპარაკებები წარმატებით მიდის და დიდია შანსი, უახლოეს დღეებში შეთანხმებით დასრულდეს. პრინციპში, თავად გასპერინის კომენტარსაც სწორედ აქეთკენ მივყავართ: *"დიახ, მოლაპარაკებები მიმდინარეობს და საკმაოდ კარგადაც. როგორც აღმოჩნდა, მორატი და ბრანკა შესანიშნავად არიან ინფორმირებული ჩემი ბოლო წლების მუშაობის შესახებ და ბევრი ისეთი რამ გამახსენეს, რაც მე თვითონ აღარ მახსოვდა. ნათელია, რომ თანამშრომლობის ორმხრივი სურვილია – ამიტომ, მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების შანსი საკმაოდ დიდია".*

ჯერჯერობით, გაურკვევლობაში არიან "ინტერის" ფეხბურთელები და ელოდებიან, როდის დაინიშნება ახალი მწვრთნელი. მათ შორის გახლავთ **ტიაგო მოტა**, რომლის აგენტმა *"გაძეტა დელო სპორტთან"* საუბარში შემდეგი განაცხადა - მოვუსმინოთ **დარიო კანოვის**: *"ყველაფერი რომ მოტა ზე იყოს დამოკიდებული, აუცილებლად "ინტერში" დარჩებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ არის. ტიაგოს საკითხს ახალი მთავარი მწვრთნელი გადაწყვეტს და ისღა დაგვრჩენია, რომ მორატის გადაწყვეტილებას დველოდოთ. მაგალითად, თუ არჩევანი ჯანპიერო გასპერინიზე შეჩერდა, მაშინ დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი კლიენტი "ინტერში" დარჩება. გასპერინიმ კარგად იცის მოტას შესაძლებლობები, "ჯენოაში" წვრთნიდა მას და ვიცი, რომ ძალიან აფასებს. ასე რომ, დიდი იმედი მაქვს, "ინტერს" სწორედ გასპერინი ჩაუდგება სათავეში".*



ჯანპიერო გასპერინი

გასპერინი რომ ფავორიტია, ამაში დავრწმუნდით, მაგრამ შანსი სხვა მწვრთნელებსაც აქვთ, მათ შორის **კიკე სანჩეს ფლორესს**. ესპანელი სპეციალისტი ბოლოს მადრიდის "ატლეტიკოს" ედგა სათავეში და კვალიფიციური მწვრთნელის სახელიც დაიგდო. ესპანურ მედიაზე დაყრდნობით, "გაძეტა" ფლორესსა და მარკო ბრანკას შორის გამართული სატელეფონო საუბრის შესახებ გვატყობინებს – ფლორესს მზადყოფნა გამოუთქვამს მოლაპარაკებაში ჩაბმის, ბრანკა კი დაპირებია, უახლოეს მომავალში შეგეხმიანები და ერთ შეხვედრას გავუკეთოთ ორგანიზებაო, ვნახოთ, როგორ განვითარდება პროცესები.

● მილანი

დაიტოვებს ალეგრი ახალგაზრდებს?

ერთ-ერთ წინა ნომერში გაუწყეთ, რომ "მილანის" მესვეურებმა **სტეფან ელ შაარავის** სანაცვლოდ 20 მილიონი ევრო გადაიხადეს და 18 წლის უპერსპექტიულესი ფეხბურთელი "ჯენოას" "გამოსტაცეს". შეთანხმების თანახმად, გენუელები ათ მილიონს ამ ზაფხულსვე მიიღებენ, კიდევ ათს ერთი წლის თავზე, დამატებით ხუთ მილიონ ევროს კი იმ შემთხვევაში, თუ ელ შაარავი უკვე მომდევნო სეზონში "როსონერის" ღირსებას დაიცავს. არის შანსი, მილანელებმა გაანათხოვრონ ნიჭიერი ფეხბურთელი და ერთი სეზონით იმავე "ჯენოას' დაუთმონ. სწორედ ამ საკითხზე ესაუბრა **ადრიანო გალიანი** "გაძეტა დელო სპორტს" და შემდეგი განუცხადა:

"ელ შაარავი იტალიური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავია და ბედნიერი ვარ, რომ მისი გადაბირება შევძელით. გავანათხოვრებთ თუ არა სტეფანს, ამას მთავარი მწვრთნელი გადაწყვეტს და ამაზე ზუსტი პასუხი შეკრების პირველი ეტაპის ბოლოს გვეცოდინება. ჩემი აზრით, ელ შაარავი უკვე მზად არის სერია A-ში სათამაშოდ და წესით, არც "მილანში" უნდა გაუჭირდეს თავის დამკვიდრება. თუ ამაში მასიმილიანო ალეგრი დარწმუნდა, უკვე მომდევნო სეზონში მოირგებს შავ-წითელ მაისურს. მართალია, ეს დამატებით ხუთ მილიონ ევროდ დაგვიჯდება, მაგრამ ეს მეორეხარისხოვანია – მთავარია, თავად ფეხბურთელისთვის რა იქნება უკეთესი".



სტეფან ელ შაარავი

არის შანსი, "მილანის" ღირსება კიდევ ერთმა ახალგაზრდა ფეხბურთელმა, **ალბერტო პასლოსკიმ** დაიცვას – უფრო სწორად, დაუბრუნდეს მშობლიურ გუნდს, რომლის შემადგენლობაშიც პირველად 17 წლის ასაკში იასპარეზა. გასული სეზონისთვის პალოსკი "პარმაში' გაანათხოვრეს, თუმცა ზამთრის შესვენების შემდეგ "ჯენოაში" ამოყო თავი. გამომდინარე იქიდან, რომ "როსონერის" შეტევით ფაზაში დიდი კონკურენციაა, ვარაუდობენ, რომ პალოსკის კიდევ ერთი სეზონით მოუწევს იჯარით ასპარეზობა. ამ მოსაზრებას ფეხბურთელის პირადი აგენტი **ტულიო ტინტი** არ იზიარებს:

"პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რომ, პალოსკი მომდევნო სეზონში "მილანის" ღირსებას დაიცავს. მასიმილიანო ალეგრის მისი ეიმედება და სურს, რომ შეტევითი პოტენციალი გაზარდოს. თავად ფეხბურთელიც მოწადინებულია, რომ "მილანის" ღირსება დაიცვას, რადგან სწორედ ამ გუნდში ჩამოყალიბდა ფეხბურთელად. ბოლო კვირაში არაერთხელ ველაპარაკე ჩემს კლიენტს, პირდაპირ მითხრა, რომ სურს "მილანის" ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლად იბრძოლოს".

● რომა

ვინ იქნება შემდეგი?

რომაელებმა ალბიონს გაახედეს

"რომას" გულშემატკივრები დიდხანს ელოდნენ პირველ ტრანსფერს და როგორც იქნა, მიიღეს კიდეც – დედაქალაქური კლუბის ღირსებას ხუთი წლის განმავლობაში "ბარსელონას' უკვე ექსფეხბურთელი **ბოიან კრკიჩი** დაიცავს. თავს ვერ დავდებთ, რომ ბოიანი მთელი ხუთი წლის განმავლობაში აუცილებლად "რომაში" იქნება, მაგრამ ხელშეკრულება სწორედ ამდენი ხნით გააფორმა. მოკლედ, კრკიჩი რომაელია და მართლაც საინტერესოა, როგორ წარმოაჩენს თავს იტალიის ჩემპიონატში. ხშირად საუბრობენ იმის შესახებ, რომ "ბარსელონას" ფეხბურთელები ერთად არიან ძლიერნი, ცალ-ცალკე კი დიდია შანსი ჩაიკარგონ – ვნახოთ, 20 წლის შემტევი ნამდვილად შეეცდება, რომ საპირისპირო დაამტკიცოს. მართალია, ბოიანი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი არ ყოფილა, მაგრამ თავისი სახელი მაინც დატოვა – ასე რომ არ იყოს, 10 მილიონ ევროდ ნამდვილად არ გაიყიდებოდა. მოკლედ, კრკიჩი რომაელია და ვინ იქნება შემდეგი? – ქვემოთ სწორედ ამ საკითხზე ვისაუბრებთ.



ტომას დი ბენედეტო

სანამ სატრანსფერო სპეკულაციებზე ვიტყოდეთ, აღვნიშნოთ, რომ "რომას' ახალმა მეპატრონემ პირველ რიგში კლუბის დირექტორთა საბჭო გადაახალისა. სპორტულ დირექტორად **ვალტერ საბატინი** დანიშნა, რომელმაც **ბრუნო კონტი** ჩაანაცვლა. საბატინი "პალერმოში" მუშაობდა და საკმაოდ ნაყოფიერადაც – სწორედ მისი ინიციატივით გადავიდა სიცილიურ გუნდში **ხავიერ პასტორე** და დღეს, მისი გასხვისება 50 მილიონ ევროდ იგეგმება. შეიცვალა გენერალური დირექტორიც, ეს პოსტი **ფრანკო ბალდინიმ** დაიკავა. ბალდინი **ფაბიო კაპელოს** კონსულტანტია ინგლისის ეროვნულ ნაკრებში და ამ ორ სამუშაოს ერთმანეთს შეუთავსებს. შეიცვალნენ სხვა თანამდებობის პირებიც და მოკლედ, "რომა" გადასხვაფერდა.

რაც შეეხება სატრანსფერო გეგმებს, **ტომას დი ბენედეტოს** უპირველესი სამიზნე ზემოხსენებული პასტორე ყოფილა, რომელსაც სიცილიელები კოლოსალურ თანხად აფასებენ. დღეს, ძნელია იმაზე საუბარი, მზად არის თუ არა იტალიელ-ამერიკელი ხუთი ათეული მილიონი ევროს გადასახდელად, მაგრამ იმას კი გვპირდება, რომ მოლაპარაკებებში აუცილებლად ჩაებმება. "რომას" მესვეურების კიდევ ერთი სამიზნე "ბლექბერნის" ნახევარმცველი **ჯერმეინ ჯონსი** გახლავთ, რომელიც არ არის წინაალმდეგი, ძალები სერია A-ში მოსინჯოს. ვრცელდება ინფორმაციები **გაელ კლიშის** "რომაში" შესაძლო გადასვლის შესახებაც – მაგალითად, "გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, დი ბენედეტო მასში რვა მილიონი ევროს გადახდას გეგმავს, "არსენალის" მესვეურები კი თორმეტს ითხოვენ. სხვაობა იმდენი არ არის, რომ მხარეებს შეთანხმება გაუჭირდეთ, თუმცა ვალტერ საბატინის სხვა მოსაზრება აქვს:

"დიახ, ჩვენ მართლაც ვართ დაინტერესებულნი კლიშის გადაბირებით, მაგრამ ლონდონელები მასში ძალიან დიდ თანხას ითხოვენ. 12 მილიონი ევრო? – ჩემი ინფორმაციით, თანხა გაცილებით დიდია და შესაბამისად, შეთანხმების მიღწევა ჯერჯერობით ჭირს. თუმცა, იმედს არ ვკარგავთ და მუშაობას ვაგრძელებთ. ლუის ენრიკე ძალიან კმაყოფილია იმით, რომ ბოიან კრკიჩის გადაბირება შევძელით და საერთოდ, სატრანსფერო მიმართულებით გავაქტიურდით. მას საკუთარი მოსაზრებები აქვს და ბუნებრივია, რომ ტრანსფერები მწვრთნელთან შეთანხმებით კეთდება. კიდევ რამდენიმე მიმართულებით ვმუშაობ, ენრიკეს "ბარსელონა B"-ს ორი ფეხბურთელის გადაბირება სურს: ერთი ტიაგო ალკანტარა გახლავთ, ხოლო მეორე მონტოიო. მათი გადმოყვანა იოლი არ იქნება, რადგან კატალონიელებს ნიჭიერ მოთამაშეებთან განშორების სურვილი არ აქვთ. ჩვენი ინტერესის სფეროშია "რივერ პლეიტის" ფანტა ზისტა ერიკ ლამელა, რომელზეც ევროპული ფეხბურთის გრანდებს ნადირობა აქვთ გამოცხადებული".

ნადირობის სეზონი უკვე გახსნილია და ვნახოთ, აჯობებენ თუ არა სხვებს რომაელები.

ლაშა ნიკლაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

● რეალი. სეზონის სტატისტიკური შეჯამება

სამეფო ციფრები

რამდენიმე მიზეზი, რის გამოც რეალი ტიტულს ვერ შესწვდა

გუშინ „ბარსელონას“ სეზონის სტატისტიკური მიმოხილვა შემოგთავაზეთ, დღეს ჯერი „რეალზეა“, რომელსაც ცოტა დააკლდა ტიტულამდე. თუ რა და როგორ, იქნებ, სწორედ სტატისტიკურმა ანალიზმა გაგვცეს პასუხი.

მიუხედავად იმისა, რომ წინა სეზონში „რეალმა“ უფრო მეტი ქულა დააგროვა, ფაქტია, რომ ჟოზე მოურინიოს ფორმაციის გუნდი უფრო კონკურენტუნარიანი აღმოჩნდა „ბარსასთან“ ბრძოლაში. განსაკუთრებით ეს სეზონის მეორე ნახევარზე ითქმის.

გოლების მეფე

ეს ის კატეგორიაა, სადაც „სამეფო კლუბს“ ყველაზე მეტად აქვს საამაყოდ საქმე - მისმა ფეხბურთელმა ლა ლიგის ახალი რეკორდი დაამყარა, პორტუგალიელმა **კრიშტიანო რონალდომ** ჩემპიონატში 40 გოლი გაიტანა! საშუალოდ მატჩში თითქმის 1,4 გოლი! რონალდომ 40-დან 8 პენალტის ნიშნულიდან გაიტანა, 4 საჯარიმო დარტყმით, 4 თავით, დანარჩენი 24 კი ლია თამაშიდან. „რეალის“ გოლების 77% ფორვარდებმა გაიტანეს და მხოლოდ 14 ნახევარმცველებმა, 10% კი მცველთა ანგარიშზეა. „რეალი“ საშუალოდ მატჩში 2,68 გოლს იტანდა, ეს კი ლა ლიგის სეზონის საუკეთესო მაჩვენებელია. თუმცა, ამავდროულად, 38 ტურიდან 6-ში „სამეფო კლუბმა“ გოლის გატანა ვერ მოახერხა და 7-ში მხოლოდ - ერთი. დიახ, არასტაბილური თამაში ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც მოურინიომ **ხოსეპ გვარდიოლას** ტიტული ვერ ჩამოართვა.

„რეალის“ მოძლიერება განსაკუთრებით ორი ახალი ფეხბურთელის დამატებას უკავშირდება. არგენტინელმა **ანხელ დი მარიამ** და გერმანელმა **მესუთ იოზილმა** ჯამში 28 საგოლე პასი გააკეთეს. იოზილი მეპასეებში მთელ ლიგაში მხოლოდ **ლიონელ მესის** ჩამორჩა.

გოლები: რონალდო (40), ბენზემა (15), იგუაინი (10), კაკა (7), დი მარია (6), იოზილი (6), ადებაიორი (5), მარსელო (3), ს. რამოსი (3), რ. კარვალიო (3), გრანერო (1), ხოსელუ (1), პეპე (1), ზე კაშტრო (1. დეპორტივო ს.კ.).

საგოლე პასები		
ფეხბ.	პასი	ვის
იოზილი	17	11 რონალდო, 2 ადებაიორი, რამოსი, 1 დი მარია, კაკა
დი მარია	11	4 ბენზემა, 3 იგუაინი, 1 ადებაიორი, რონალდო, მარსელო, იოზილი
რონალდო	11	3 იგუაინი, 2 კარვალიო, ბენზემა, 1 კაკა, მარსელო, პეპე, ხოსელუ
ჩ. ალონსო	6	2 ბენზემა, რონალდო, 1 დი მარია, იოზილი
იგუაინი	5	1 ბენზემა, კაკა, იოზილი, დი მარია, რონალდო
ბენზემა	5	3 რონალდო, 1 გრანერო, კაკა
კაკა	4	2 იგუაინი, 1 რონალდო, მარსელო
მარსელო	4	2 იოზილი, 1 ბენზემა, დი მარია
გრანერო	2	1 ბენზემა, რონალდო
ლ. დიარა	2	1 ბენზემა, რონალდო
რამოსი	2	2 რონალდო
ხედირა	1	1 ბენზემა
პეპე	1	1 რონალდო
კანალესი	1	1 რონალდო
არგელოა	1	1 ბენზემა

ერიდეთ სარაგოსელებს

„რეალმა“ სულ 38 გოლი გაუშვა ანუ საშუალოდ ზუსტად ერთი ყოველ მატჩში. ურიგო შედეგი არ არის, მაგრამ არც საჩემპიონოა (კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც „რეალმა“ ტიტული ვერ მოიგო). შედარებისთვის - „ბარსელონას“ სულ 21 გოლი გაუტანეს, თითქმის ორჯერ ნაკლები! იმათგან, ვინც „სამეფო კლუბს“ სეზონში 2 გოლი გაუტანეს, ერთი (**ალვარო ნეგრედო**) „რეალის“ აღზრდილია. აღსანიშნავია, რომ თავისებური დუბლი „სარაგოსას“ ორმა ფეხბურთელმა შეძლო **იკერ კასილიასის** კარში: **ანხელ ლაფიტამ** და გუნდის კაპიტანმა **გაბიმ** (გაბიმ ორჯერვე პენალტით). 2-2 გოლი გაიტანეს **დავიდ ვილიამ** (ბარსელონა) და **კანიმ** (ვილიარეალი). სხვათა შორის, „სარაგოსას“ ყოფილმა ფეხბურთელებმა. ერთხელ საკუთარი გოლკიპერი **ალვარო არბელოამ** დაამწუხრა. ეს მოხდა „რეალ სოსიედადთან“ მატჩში, რომელიც „რეალმა“ 4:1 მოიგო. „რეალმა“ თავურით მხოლოდ სამი გოლი გაუშვა (ნეგრედო, **ხუან როდრიგესი** და **დავიდ ტრეზეგე**), ეს კი იმას მიუთითებს, რომ „სამეფო კლუბში“ „მეორე სართულზე“ ყველაფერი წესრიგშია.

მუდმივ ძიებაში

ბოლო სეზონში ჟოზე მოურინიომ 32 ფეხბურთელი გამოიყენა, რაც იმის დასტურია, რომ პორტუგალიელმა მუდმივ ძიებაში გაატარა სეზონი (ხოსეპ გვარდიოლამ სულ 28 ფეხბურთელი ათამაშა). ჟოზემ ამათ გარდა მატჩების განაცხადებში კიდევ 4 ფეხბურთელი შეიყვანა, თუმცა მცველებს **მატეოსსა** და **ხორხე კასადოს**, ნახევარმცველ **მანდის** და ფორვარდ **ხუანფრანს** ერთხელაც არ მოუწია მოედანზე გასვლამ.

ყველაზე მეტი წუთი მოედანზე კაპიტანმა იკერ კასილიასმა დაჰყო - 3062. შემდეგ მოდიან კრიშტიანო რონალდო (2914 წთ.) და **რიკარდო კარვალიო** (2771). ჟოზემ მხოლოდ თითო წუთი გაიმეტა **ალექსის** და **ალვარო მორატასთვის**, 6-6 კი **ტომასს** და **ხოსელუ სანმარტინს** დაუთმო. 21 წლის ხოსელუმ ასე მცირე დროშიც კი მოახერხა გოლის გატანა.

მეკარეები: კასილიასი (35), ადანი (3), დუდეკი (1), ხესუსი (1), მეხიასი (1).

მცველები: რ. კარვალიო (33), მარსელო (32), ს. რამოსი (32), პეპე (26), არბელოა (26), ალბიოლი (20), გარაი (5), ნაჩო (2).

ნახევარმცველები: იოზილი (36), დი მარია (35), ჩ. ალონსო (34), ლ. დიარა (26), ხედირა (25), გრანერო (19), კაკა (14), კანალესი (10), პედრო ლეონი (6), გაგო (4), მ. დიარა (3), ალექსი (1), ხუან კარლოსი (1).

თავდამსხმელები: რონალდო (34), ბენზემა (33), იგუაინი (17), ადებაიორი (14), ხოსელუ (1), მორატა (1).

სასტარტო 11 (ოპტიმალური): კასილიასი - ს. რამოსი, რ. კარვალიო, პეპე, მარსელო - ხედირა, ჩ. ალონსო - დი მარია, იოზილი, რონალდო - იგუაინი.

სასტარტო 11 (სტატისტიკით): კასილიასი - ს. რამოსი, რ. კარვალიო, პეპე, მარსელო - ხედირა, ჩ. ალონსო - დი მარია, იოზილი, რონალდო - ბენზემა.

ყველაზე მეტჯერ შეცვლაზე		
ფეხბ.	მატჩი	საშ.
1. ბენზემა	13	20 წთ
2. გრანერო	11	16
3. ადებაიორი	8	24
4. ლ. დიარა	7	24
5. კანალესი	7	15
5. ალბიოლი	7	13

ყველაზე მეტჯერ შეცვალეს		
1. იოზილი	22	76 წთ.
2. დი მარია	18	66
3. იგუაინი	12	77
4. ბენზემა	11	74
5. კაკა	8	60

ტოპ-10 დონ ბალონის მიხედვით	
რონალდო	7,24
ჩ. ალონსო	6,56
მარსელო	6,50
იოზილი	6,44
დი მარია	6,20
პეპე	6,19
კასილიასი	6,14
რ. კარვალიო	6,12
ხედირა	6,00
ს. რამოსი	5,90

უხეშები და სუსტები

რეალში უხეში ფეხბურთელები არ თამაშობენო, ვერ ვიტყვით - სტატისტიკა სხვას გვეუბნება. მაგალითისთვის, პორტუგალიელი ცენტრალური მცველი **რიკარდო კარვალიო** გუნდის რეკორდსმენია. მხოლოდ მან მოახერხა 2-ჯერ წითელი ბარათის მიღება, ყვითლების რიცხვითაც (11) ერთ-ერთი საუკეთესოა გუნდში. ბასკმა ნახევარმცველმა **ჩაბი ალონსომ** ყველაზე მეტი, 12 ყვითელი ბარათი მიიღო, თუმცა ზედმეტი ერთხელაც არ მოსვლია, ის მოედნიდან არ გაუძევებია. შედარებისთვის - „რეალის“ 7 წითელი ბარათი, „ბარსას“ 2-ის წინააღმდეგ. „რეალის“ კარში სულ 4 პენალტი დაინიშნა, რომელთაგანაც მიზანს მხოლოდ რასინგელი **პინილიოსის** დარტყმამ ვერ უწია. გაბიმ (სარაგოსა) ორივე პენალტი გაიტანა, ერთხელ კი თავი ლეო მესიმ გამოიჩინა.

კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც „რეალი“ ტიტულს ვერ შესწვდა, მოწინავე ფეხბურთელთა ტრავმებია - „ბარსელონაში“ სასტარტო შემადგენლობის მხოლოდ ორ ფეხბურთელს შეეხო ტრავმები სერიოზულად, **ერიკ აბიდალსა** და **კარლეს პუიოლს**. არადა, მათ ჯამში ერთად არ გასცდენიათ იმდენი დრო, რაც მხოლოდ ერთ **კაკას**. გავიხსენოთ, რომ „რეალმა“ ყველაზე საჭირო დროს დაკარგა არგენტინელი ფორვარდი **გონსალო იგუაინიც**.

ულიხიპალინოები		
ფეხბ.	ყვ. ბარ.	წით. ბარ
რ. კარვალიო	11	2
ს. რამოსი	11	1
ჩ. ალონსო	12	-
ლ. დიარა	11	-
პეპე	6	1
არგელოა	6	1
ხედირა	7	-
ალბიოლი	3	1
კასილიასი	3	1
მარსელო	6	-
დი მარია	6	-
გრანერო	4	-
რონალდო	3	-

სხვები: 2 და ნაკლები

ხანგრძლივი ტრავმები			
დღე	როდიდან	როდემდე	შენ.
102	კაკა	5 აგვ	15 ნოემ
			მარცხენა მუხლის ოპერაცია
87	იგუაინი	2 იანვ	30 მარ
			ხერხემლის მალის დისკოს ოპერაცია
60	გაგო	1 აპრ	31 მაის
			საზარდულის ტრავმა
56	გარაი	15 აგვ	10 ოქტ
			მენისკი
55	ლ. დიარა	18 აგვ	12 ოქტ
			მუცლის ღრუს ტკივილი

გაცდენა ტრავმების გამო ცხაში	
დღე	ფეხბურთელი
102	კაკა
91	გაგო
87	იგუაინი
56	გარაი
55	ლ. დიარა

შინ										
თარიღი	მეტოქე	ანგ.	სქემა	ქარისქენ	ქარში	ჯარ.	ქუთხ.	ოფს.	%	მაყ.
11 სექტ. 2010	ოსასუნა	1-0	4-2-3-1	23	5	20	7	1	58	68 000
21	ესპანიოლი	3-0	4-2-3-1	20	7	15	8	4	56	70 000
03 ოქტ.	დეპორტივო	6-1	4-2-3-1	17	8	7	5	4	61	67 000
23	რასინგი	6-1	4-2-3-1	15	10	15	4	6	47	60 000
07 ნოე.	ატლეტიკო	2-0	4-2-3-1	21	10	13	3	4	56	80 000
20	ბილბაო	5-1	4-2-3-1	16	6	10	4	3	59	75 000
04 დეკ.	ვალენსია	2-0	4-3-1-2	20	12	22	11	4	56	70 000
19	სევილია	1-0	4-2-3-1	9	4	21	7	7	65	72 000
09 იან. 2011	ვილიარეალი	4-2	4-2-3-1	15	7	20	6	7	55	72 000
23	მალიორკა	1-0	4-2-3-1	16	3	12	11	4	64	74 000
06 თებ.	სოსიედადი	4-1	4-2-3-1	27	7	6	9	3	65	70 000
19	ლევანტე	2-0	4-2-3-1	26	10	8	13	3	68	65 000
03 მარ.	მალაგა	7-0	4-2-3-1	20	13	18	5	3	58	51 000
12	ერკულესი	2-0	4-2-3-1	23	11	8	8	2	63	71 000
02 აპრ.	სპორტინგი	0-1	4-2-3-1	33	13	17	10	1	72	77 000
16	ბარსელონა	1-1	4-3-3	13	6	21	8	1	28	80 354
30	სარაგოსა	2-3	4-2-3-1	18	7	11	7	4	68	67 000
10 მაის.	ხეტაფე	4-0	4-2-3-1	19	8	16	6	5	53	55 000
21	ალვერია	8-1	4-1-2-3	26	12	11	14	1	59	50 000

სტუმრად										
თარიღი	მეტოქე	ანგ.	სქემა	ქარისქენ	ქარში	ჯარ.	ქუთხ.	ოფს.	%	მაყ.
29 აგვ. 2010	მალიორკა	0-0	4-2-3-1	16	6	15	4	9	64	22 867
18 სექტ.	სოსიედადი	2-1	4-2-3-1	21	9	15	3	3	55	30 000
25	ლევანტე	0-0	4-2-3-1	23	6	11	5	5	68	18 326
16 ოქტ.	მალაგა	4-1	4-2-3-1	20	6	18	6	2	58	30 000
30	ერკულესი	3-1	4-2-3-1	25	10	9	6	3	67	28 000
14 ნოემ.	სპორტინგი	1-0	4-2-3-1	12	5	7	8	4	67	24 000
29	ბარსელონა	0-5	4-2-3-1	5	2	16	5	2	37	97 000
12 დეკ.	სარაგოსა	3-1	4-2-3-1	19	7	13	6	4	64	26 000
03 იანვ. 2011	ხეტაფე	3-2	4-2-3-1	15	5	20	2	3	49	11 000
16	ალვერია	1-1	4-2-3-1	24	11	17	11	-	58	13 893
30	ოსასუნა	0-1	4-2-3-1	20	3	9	7	3	67	17 131
13 თებ.	ესპანიოლი	1-0	4-2-3-1	19	10	9	9	1	38	39 000
26	დეპორტივო	0-0	4-2-3-1	20	8	13	10	5	70	34 600
06 მარ.	რასინგი	3-1	4-2-3-1	21	8	8	4	7	67	20 000
19	ატლეტიკო	2-1	4-3-2-1	17	8	15	3	6	46	53 000
09 აპრ	ბილბაო	3-0	4-3-1-2	13	6	16	1	6	45	39 500
23	ვალენსია	6-3	4-2-3-1	14	8	19	8	3	42	53 000
07 მაის.	სევილია	6-2	4-2-3-1	20	12	15	10	2	44	44 000
15	ვილიარეალი	3-1	3-4-1-2	7	5	17	4	9	52	22 000

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

● რუსეთი. პრემიერლიგა. XV ტური

არც ერთმანეთს ინდობენ, არც უცხოელებს...

რობერტო კარლოსს... ბანანი ესროლეს!

რუბინი-ვოლგა 2:0
გოლები: 1:0 ბოკეტი (50), 2:0 კასაევი (83)

სპარტაკი (მ)-დინამო 0:2
გოლები: 0:1 სემშოვი (34), 0:2 ვორონინი (65)

კრილია სოვეტოვი-ანჟი 0:3
გოლები: 0:1 აგალაროვი (7), 0:2 გაჯიევი (18), 0:3 ანგბვა (63)

ცსკა-ლოკომოტივი 3:1
გოლები: 1:0 დუმბია (13), 1:1 დიურიცა (30), 2:1 ტოშიჩი (36), 3:1 დუმბია (58)

ამკარი-სპარტაკი (ნ) 1:0
გოლი: 1:0 გრიშინი (58)

ტომი-როსტოვი 1:1
გოლები: 1:0 კანუნიკოვი (66, პენალტით), 1:1 ადამოვი (83, პენალტით)
გაძევება: ოკორონკვო (როსტოვი)

ზენიტი-ყუბანი 1:0
გოლი: 1:0 ზირიანოვი (35)

კრასნოდარი-ტერეკი 0:2
გოლები: 0:1 ომელიანჩუკი (18), 0:2 ასილდაროვი (83)

გასული ტურის მატჩებით რუსულ პრემიერლიგაში პირველი წრე დამთავრდა, — სატურნირო ცხრილს თუ გადავხედავთ, მოულოდნელი არაფერი უნდა იყოს; საერთოდაც, ბოლო რამდენიმე ტურია, თითქმის ყველა მატჩი ლოგიკური შედეგით დრულდება, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ამ ბოლო დროს არაერთი ნეგატიური ფაქტი მოხდა. ამ მხრივ გამონაკლისი არც XV ტური იყო, არადა, მოვლენების მსგავს განვითარებას არავინ ელოდა: ყველა მატჩი წუთიერი დუმილით დაიწყო, ყველა ფეხბურთელს კი მაისურზე შავი სამკლავური ეკეთა. შეგახსენებთ, რომ სამი დღის წინ, პეტროზავოდსკის აეროპორტში მომხდარ ავიაკატასტროფაში ცნობილი რუსი მსაჯი, ფიფას არბიტრი, 37 წლის **ვლადიმერ პეტაი** დაიღუპა...

აცრემლებული რობერტო კარლოსი

... კურიოზული გოლები, ტრიბუნებზე მომხდარი უწესრიგობანი, რასიზმის უკვე მერამდენე გამოვლინება, — აი, რა იყო რუსული პრემიერლიგის XV ტურის „საფირმო ნიშანი"! წარმოიდგინეთ, როგორ უნდა გამწარებულიყო „ანჟის" კაპიტანი, რუსული პრემიერლიგის ყველაზე ტიტულოვანი და პოპულარული ფეხბურთელი, 38 წლის **რობერტო კარლოსი**, რომ მატჩის მიწურულს კაპიტნის სამკლავური მოეხსნა და მოედნიდან გასულიყო. მიზეზს არ იკითხავთ? სახელოვან ბრაზილიელს სამარაში ტრიბუნიდან... ბანანი ესროლეს! სხვათა შორის, ეს უკვე მეორე შემთხვევაა, რობერტო კარლოსს ასე უდიერად რომ ექცევიან: I ტურში, „ზენიტისა" და „ანჟის" მატჩის დაწყების წინ, როცა ორივე გუნდის კაპიტნები დროშას აღმართავდნენ, მავანმა სანკტ-პეტერბურგელმა გულშემატკივარმა მახაჩყალელთა ახალწვეულს ტრიბუნიდან... ბანანი მიაწოდა! ამ ტურში არანაკლებ აღმაშფოთებელი ფაქტი მოხდა ყაზანშიც, სადაც სტუმართა გუნდის, „ვოლგას" ქომაგებმა მატჩის დაწყების წინ თათრეთის რესპუბლიკის ჰიმნის მიმართ უპატივცემლობა სხვადასხვა შეძახილით გამოხატეს...

ახლა კი უშუალოდ შეხვედრების შესახებ და, უპირველესად, ის მართლაც კურიოზული გოლები უნდა ვახსენოთ, ამ ტურში უჩვეულოდ ბევრი რომ იყო. „ზენიტმა" მხოლოდ მინიმალური სხვაობით რომ აჯობა „ყუბანს", სტუმართა მეკარის, 26 წლის **ალექსანდრ ბუდაკოვის** დამსახურება იყო, მაგრამ მასპინძლებს იღბალიც დაეხმარათ: 33 წლის **კონსტანტინ ზირიანოვის** დარტყმის შემდეგ ბურთი ჯერ კრასნოდარელთა კარის ძელს მოხვდა, მერე კი ბუდაკოვს... თავში და გოლიც გავიდა! ასევე კურიოზული გოლის წყალობით გაიმარჯვა „ამკარმა" — 30 წლის **ვიტალი გრიშინმა** მეტოქის საჯარიმოს მისადგომებიდან არცთუ ძლიერად დაარტყა, მაგრამ ნალჩიკელთა 29 წლის ფინელ მეკარე **ოტო ფრედრიქსონს** ბურთი ფეხებშუა გაუძვრა! თუმცა, კურიოზების მხრივ „რეკორდი" სამარაში დამყარდა: მასპინძელთა მეკარემ, შარშანდელ მუნდიალზე ალჟირის ნაკრებში ჩინებულად მოასპარეზე 24 წლის **რაის მბოლიმ** შორი მანძილიდან ორი ისეთი გოლი გაუშვა, ასეთი დონის მეკარეს რომ არ ეკადრება; თუმცა, ყველაფერი ამით არ დამთავრებულა: „ანჟის" კამერუნელი ლეგიონერის, 29 წლის **ბენუა ანგბვას** თავური დარტყმის მერე ბურთი „კრილია სოვეტოვის" კარის ძელის „გავლით" მბოლის თავში მოხვდა და გოლიც გავიდა! სამაგიეროდ, ჩვეულ მაღალ დონზე იასპარეზა „ანჟისა" და საქართველოს ნაკრების 24 წლის მეკარემ **ნუკრი რევიშვილმა**, რომელმაც ზედიზედ მეორე „მშრალი" მატჩი ჩაატარა. ასევე კურიოზული გოლის წყალობით შეძლო „რუბინმა" მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევა: ამ შეხვედრაში ანგარიში მასპინძელთა იტალიელმა ლეგიონერმა, 24 წლის **სალვატორე ბოკეტიმ** გახსნა, შემდეგ კი, როცა „ვოლგა" მთელი გუნდით უტევდა, 25 წლის **ალან კასაევმა,** ფაქტობრივად, სტუმართა მცველთან ერთად შეძლო ბურთის კარში შეგორება. არადა, ამ ეპიზოდამდე რამდენიმე წუთით ადრე „ვოლგას" ანგარიშის გათანაბრების ჩინებული შანსი ჰქონდა: შეცვლაზე შემოსულმა 26 წლის **ოთარ მარცვალაძემ** მარცხენა ფლანგზე ლამის 80-მეტრიანი სოლო-რეიდი განახორციელა და შემდეგ, ზუსტი პასით თანაგუნდელიც მოძებნა; ეს თანაგუნდელი კი... 22 წლის **მათე ვაწაძე** გახლდათ, პირველად რომ გამოჩნდა ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ ქართველი ფორვარდის დარტყმა სანტიმეტრებში ასცდა მასპინძელთა კარს.

სხვა მატჩებიდან, რაღა თქმა უნდა, ერთდროულად ორი დედაქალაქური „დერბი" უნდა გამოვყოთ: ცსკა-„ლოკომოტივი" და „სპარტაკი"-„დინამო". არმიელები კვლავაც აგრძელებენ წარმატებულ სერიას და ამჯერადაც უპრობლემოდ გაიმარჯვეს — „დუბლი" შეასრულა 23 წლის კოტ'დივუარელმა **სეიდუ დუმბიამ,** ხოლო 24 წლის სერბმა **ზორან ტოშიჩმა** ეფექტური გოლი გაუტანა „ლოკომოტივის"... მეოთხე მეკარედ მიჩნეულ 21 წლის **არტიომ გომელკოს**. სხვათა შორის, ამ მატჩში ყველა გოლი ლეგიონერებმა გაიტანეს — „ლოკომოტივის" სლოვაკმა მცველმა, 29 წლის **იან დიურიცამ** „სტანდარტული" მართლაც ეფექტურად შეასრულა. თუმცა, ყველაზე ლამაზი გოლები მეორე „დებიში" გავიდა: უამრავი საკადრო პრობლემით დასუსტებულმა „სპარტაკმა" ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია „დინამოს" და ორბურთიანი სხვაობით დამარცხდა. დინამოელთაგან პირველი გოლი გუნდის ვეტერანმა, რუსეთის ნაკრების 34 წლის ნახევარმცველმა **იგორ სემშოვმა** გაიტანა ეფექტური თავური დარტყმით. აი, მეორე შემთხვევაში კი „დინამოს" უკრაინელმა ლეგიონერმა, 32 წლის **ანდრეი ვორონინმა** გაიბრწყინა, რომელმაც საჯარიმოს გარედან ბურთი მეტოქის კარის „ცხრიანში" გაგზავნა. სამწუხაროდ, წინა მატჩისგან განსხვავებით, ამჯერად თავის გამოჩენა ვერ შეძლო „სპარტაკის" 18 წლის ქართველმა ლეგიონერმა **ჯანო ანანიძემ**, რომელსაც მეტოქის გამოცდილი ფეხბურთელები მთელი მატჩის განმავლობაში მჭიდროდ მეურვეობდნენ.

გია ტუხაშვილი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ცსკა	14	9	4	1	29-10	31
2. ზენიტი	15	8	5	2	26-12	29
3. რუბინი	15	7	6	2	23-11	27
4. დინამო	15	7	5	3	21-17	26
5. ანჟი	15	7	5	3	15-11	26
6. ლოკომოტივი	15	6	4	5	23-18	22
7. ყუბანი	15	6	3	6	15-14	21
8. სპარტაკი	15	6	3	6	14-17	21
9. კრასნოდარი	15	5	5	5	16-19	20
10. ამკარი	15	5	4	6	12-17	19
11. ტერეკი	15	5	3	7	13-17	18
12. ტომი	15	3	7	5	15-23	16
13. ვოლგა	14	4	1	9	14-17	13
14. როსტოვი	15	3	4	8	17-25	13
15. კრილია	15	2	5	8	8-22	11
16. ნალჩიკი	15	1	6	8	11-22	9

მომდევნო ტური, 26 ივნისი. კვირა

დინამო-ლოკომოტივი
ამკარი-ცსკა
ზენიტი-ტერეკი
ტომი-ვოლგა
კრასნოდარი-ანჟი
კრილია-სპარტაკი(ნ)
რუბინი-ყუბანი
სპარტაკი (მ)-როსტოვი

● კოპა ლიბერტადორესი. ფინალი

კოპა: სანტოსი, პელე, ნეიმარი, ჩხუბი გუნდი გუნდზე

თითქმის 50-წლიანი პაუზის შემდეგ „სანტოსმა" კოპა ლიბერტადორესი მოიგო - საკლუბო ტურნირი, რომელიც ამერიკაში პრესტიჟით ევროპულ ჩემპიონთა ლიგას უტოლდება. აქამდე „სანტოსს" თასი 1962 და 1963 წლებში ჰქონდა მოპოვებული, თქმა არ უნდა - **პელეს** დამსახურებით. ახლა კი მას ისეთმა თინეიჯერებმა გაამარჯვებინეს, როგორიც **ნეიმარი, დანილო** და **განსოა**.

ფინალში ერთმანეთს ურუგვაული „პენიაროლი" და „სანტოსი" შეხვდნენ. პირველი თამაში მონტევიდეოში 0:0 დასრულდა. სან პაულუში ანგარიში 19 წლის ნეიმარმა გახსნა, რომელიც დღე-დღეზე „რეალის" ფეხბურთელი გახდება. 47-ე წუთზე მან საჯარიმოს მარცხენა კუთხიდან გაიტანა, თუმცა გოლში არანაკლები წვლილი **არაუკოს** მიუძღვის, რომელმაც სტუმართა დაცვა იოლად გააბითურა. 69-ე წუთზე

თავი კიდევ ერთმა თინეიჯერმა, დანილომ გამოიჩინა, მაგრამ მატჩის დასრულებამდე 11 წუთით ადრე ურუგვაელებმა ერთი გაქვითეს (**დურვალი** საკუთარ კარში), თუმცა მეტი ვეღარ შეძლეს და ორი მატჩის ჯამში 2:1 „სანტოსმა" იმარჯვა და თასს დაეუფლა.

ფინალი კიდევ იმით გამოირჩა, რომ გუნდებმა ერთმანეთს ხელჩართული ჩხუბი გაუმართეს მოედანზევე, რომელშიც ლამის ყველა ფეხბურთელი და მწვრთნელი იღებდა მონაწილეობას. მატჩის შემდეგ თასის აღება „სანტოსის" ფეხბურთელებთან ერთად პელემაც იზეიმა.

ნიკოლოზ ნეფარიძე



● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

ბერძნულ-რომაული დღეებიც იწყება



სერბულ ზრენჯანინში მიმდინარე ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე დღეს გოგონათა ტურნირი მთავრდება და ხვალიდან ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ბიჭების შეჯიბრება იწყება. მასში საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვა: **ნიკოლოზ ცეცხლაძე** (50), **თორნიკე ტოტიკაშვილი** (55), **გოგიტა გოგიბერაშვილი** (60), **საჩინო დავითაია** (66), **ზურაბ დათუნაშვილი** (74), **დავით ჩაკვეტაძე** (84), **სანდრო დიხამინჯია** (96) და **სერგო გოგისვანიძე** (120).

ნაკრების თავკაცმა **ვლადიმერ ადეიშვილმა** ლიდერთა უმეტესობა ანუ საქართველოს ჩემპიონები მსოფლიოს პირველობისთვის შემოინახა, რომელიც ერთ თვეში - 26-31 ივლისს ბუქარესტში ჩატარდება. თუმცა ახლაც ჭიდაობს ქვეყნის პირველობის რამდენიმე გამარჯვებული და არც ისეა საქმე, თითქოს ამ შემადგენლობიდან ვინმეს გადაწურული ჰქონდეს მსოფლიოზე მოხვედრა. პირიქით - ვინც ახლა განსაკუთრებით გამოიჩენს თავს, ბუქარესტში ნასვლასაც გაინაღდებს. აი, სხვა საკითხია, დროის ასეთ მცირე შუალედში რამდენად მიზანშეწონილია ამ დონის ორ შეჯიბრებაში მონაწილეობა. ამხელა დატვირთვას არათუ ახალგაზრდებს, უფროსებსაც კი არიდებენ. თან ჩვენთან არც სპორტსმენთა კონტინგენტია იმდენად დიდი, რამდენიმე სრულფასოვანი კანდიდატი გვყავდეს, თორემ ვისაც დიდი არჩევანი აქვს, იცოცხლეთ, იმათთვის კარგიცაა - ორ-ორ შემადგენლობას ზრდიან. ასეთი შემჭიდროებული ვადების გამო ორ გუნდს ჩვენი მწვრთნელებიც ამზადებენ, მაგრამ როცა თავს ზევით ძალა არაა...

შემადგენლობის შესარჩევად ადეიშვილის დიდი არჩევანი ჰქონდა - საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ შეგირდები რამდენიმე უცხოურ ტურნირშიც გამოცადა. თანხების ეკონომიის მიზნით თურქეთში გასამართავი შეჯიბრება გამოტოვა კიდეც, დაზოგილი თანხით კი აზერბაიჯანსა და სომხეთში წაიყვანა გუნდი ანუ დამატებითი სტარტი გამოუვიდა. საბედნიეროდ, შეგირდებმა ლამის ყველა ტურნირზე გაუმართლეს იმედები. ცხადია, ცალკეული ჩავარდნები იყო, მაგრამ მთლიანობაში მაინც ძალზე დამაიმედებელი სურათი დაიხატა - აშკარად გამოჩნდა, რომ, „თავისუფლებისა" არ იყოს, აქაც ნიჭიერი თაობა მოდის. ამ ტენდენციის დაგვირგვინება გივი კარტოზიას სახელობის „ოქროს დიდი პრიზის" ტურნირი იყო თბილისში, სადაც ახალგაზრდული ნაკრების წევრები წარმატებით გამოვიდნენ. მონაწილეთა შორის სერბული გუნდის რამდენიმე წევრიც ვიხილეთ, რომლებმაც, მართალია, წააგეს, მაგრამ საერთო ახალგაზრდული სურათი მაინც კარგი იყო.

სერბეთში ხვალ 50, 60, 74 და 96 კილოგრამის ფალავნები იჭიდავებენ, დანარჩენები კი ზეგ იასპარეზებენ, ჩემპიონატის დახურვის დღეს.

ევროპის შარშანდელ პირველობაზე ჩვენმა ახალგაზრდებმა 1 ოქრო და 2 ვერცხლი მოიპოვეს. ჩემპიონი **ვასილ იმერლიშვილი** (96) გახდა, მეორე ადგილზე კი **თორნიკ მახარაძე** (50) და **საჩინო დავითაია** (66) გავიდნენ. როგორც ვხედავთ, ამ სამეულიდან წლევანდელ ნაკრებში მხოლოდ დავიათაია დარჩა. საერთოდ, ნაკრებმა თაობათა ცვლის პროცესი საგრძნობლად განიცადა - უმეტესობამ დაამთავრა აქ გამოსვლა და უფროსებში გადავიდა, გუნდში კი უმეტესობა ახალბედაა.

დასასრულს, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ ქართველ „თავისუფალთა" შთამბეჭდავ გამოსვლას ზრენჯანინში - 2 ოქრო, 1 ვერცხლი და 3 ბრინჯაო ანუ ჯამში 6 მედალი რვაკაციან გუნდში. კონტინენტის ჩემპიონები **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55) და **დავით მარსაგიშვილი** (84) გახდნენ, ვერცხლი **ბექა პეტრიაშვილს** (74) ერგო, ბრინჯაო - **თენგიზ ჩოჩიშვილს** (60), **თედო ებანოიძეს** (96) და **გენო პეტრიაშვილს** (120). ღმერთმა ქნას, ბერძენ-რომაელებმა გააუმჯობესონ ეს შედეგი, თუმცა მისი გამეორებაც კი დიდი საქმე იქნება. გუნდურ ჩათვლაში ჩვენი „თავისუფლები" მხოლოდ რუსებს ჩამორჩნენ, თუმცა - დამატებითი მაჩვენებლებით, თორემ თანაბარი ქულები დააგროვეს, 63-63.

ირაკლი თავაძე

● ქრივი

იროდი გრემელაშვილი

კახეთში გამორჩეული, ქართლშიც გამოირჩა

ვარიანში გამართულ გიორგი კანდელაკის სახელობის ტურნირზე სპეციალისტების მოწონება დაიმსახურეს თელაველმა მოკრივეებმა. მათი ახალგაზრდა კოლეგის **იროდი გრემელაშვილის** მისამართით კი საქებარი სიტყვები არ დაუშურებიათ. ჩვენც გადავწყიტეთ გავსაუბრებოდით თელაველ სპეციალისტს.

- თელავში კრივის სექცია დაახლოებით მეთხუთე საუკუნეს მოითვლის. ორი ათეული წელია სასპორტო სკოლასა და დარბაზში ძალოსნებთან ერთადაა. ვმუშაობთ ორი მწვრთნელი - არსენ ხუტუაშვილი და მე, ვავარჯიშებთ ოცდაათ სპორტსმენზე მეტს. ბატონი არსენი გამოცდილი სპეციალისტია, მე კი მოკრივის ხანმოკლე კარიერის მერე, სპორტის აკადემია დავამთავრე და მეხუთე წელია, რაც მწვრთნელად ვმუშაობ. ერთხელ გავხდი საქართველოს ჩემპიონი (სხვათა შორის აქ, ვარიანის მაშინ ჯერ კიდევ ახალგახსნილ დარბაზში) და ერთხელაც საერთაშორისო ტურნირი მოვიგე.

- შეგირდთაგან რომელ სპორტსმენს გამოარჩევთ?

- ჭაბუკთა უმცროსი ასაკის ნაკრებში ორი პერსპექტიული მოკრივეა - ნოდარ აბულიძე და ლაშა გრემელაშვილი. ქვეყნის მთავარ გუნდში კი 69 კგ-ში გოჩა ბადურაშვილი მეორე ნომრად მოიაზრება. ეს ბიჭი ახმეტელია, მაგრამ ჩვენთან თელავში ვარჯიშობს. გვყავს რეგიონულ ტურნირებში არაერთი გამარჯვებული და პრიზიორი.

- საერთოდ, კახეთში რომელი საკრივო სკოლა მუშაობს ყველაზე უკეთ?

- არ ვიქნები მიკერძოებული თუ ვიტყვი, რომ კახეთში სწორედ ჩვენი სკოლა მუშაობს ყველაზე ნაყოფიერად. ადგილობრივი მუნიციპალიტეტიც კმაყოფილია ჩვენი საქმიანობით. ამიტომაც გვეძლევა შესაძლებლობა მონაწილება მივიღოთ.

საქართველოს ყველა ასაკობრივ პირველობასა თუ ჩემპიონატში. ხშირად გამოვდივართ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გამართულ ტურნირებშიც.

- მაღალი რანგის შეჯიბრებებს რატომ არ მასპინძლობთ?

- ჩვენთან მხოლოდ რეგიონული პირველობები თუ იმართება სხვადასხვა ასაკში. უფრო დიდი მასშტაბის ტურნირებისთვის არ არის შესაფერისი ჩვენი დარბაზი. იატაკიც კი შესაცვლელია. თვითონ ნაგებობაც არ არის თელავის მუნიციპალიტეტის ბალანსზე, რომ გარემონტდეს - დედაქალაქის რომელიღაც უწყების კუთვნილებაა. იმასაც ვშიშობთ არ გაიყიდოს და ღია ცის ქვეშ არ დავრჩეთ.

ვასილ ბალახაძე

დავით ასპანიძის ფოტო

ფინალები უჩვეულოდ ჩაივლის

თურქეთის დედაქალაქში დღეს დამთავრდება მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი; ანკარის რინგზე გუშინ ნახევარფინალური ორთაბრძოლები გაიმართა. სამწუხაროდ, ქართველთათვის ისინი უიღბლო აღმოჩნდა. ჩვენებურთაგან პირველი გავიდა სარბიელზე **ჯაბა ხოსიტაშვილი** (75 კგ), რომელიც მასპინძელთა იმედს, 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორსა და 2009 წლის ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების პირველობის ფინალისტ **ადემ ქილიჩის** შეხვდა. ქომაგთა აქტიური მხარდაჭერით თურქმა ფინალში გასვლის შანსი ხელიდან არ გაუშვა. 69 კილოგრამ წონით კატეგორიაში **ზაალ კვაჭატაძემ** უელსელ **ფრედ ევანსს** მეორე და მესამე რაუნდებში თანაბარი ბრძოლა გაუმართა, პირველი სამწუთიანი მონაკვეთი კი ბრიტანელის მხარეს იყო და საბოლოოდ მან გაიმარჯვა კიდეც.

მძიმე წონაში **მიხეილ ბახტიძე** რუს **მაგომედ ომაროვს** დაუპირისპირდა. ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა, რომლისთვისაც ეს ასპარეზობა პირველი მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეჯიბრება იყო (იგი რუსეთის ბოლო ორი წლის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია), ჩვენებური მესამე წუთზე ნოკდაუნში ჩააგდო. მეორე სამწუთიანი მონაკვეთის დასაწყისშივე საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა ბახტიძე რინგიდან მოხსნეს. გამარჯვება, ცხადია, ომაროვს დარჩა.

გუშინდელი მარცხის მიუხედავად, თურქეთში მოპოვებული ბრინჯაოს სამი მედალი ქართველი მოკრივეების აშკარა წარმატებაა და წინსვლის მაჩვენებელიც, რაც გვაიმედებს, რომ წლეულს ოქტომბერში სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელსაც ბაქო უმასპინძლებს, ჩვენი სპორტსმენები ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურებითაც გაგვახარებენ.

ვაჟა დანელია

● მშვილდოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

იტალიაში შეკრებაზე

საქართველოს მშვილდოსან ქალთა ნაკრები უკვე იტალიაშია, სადაც 3-10 ივლისს მსოფლიოს ჩემპიონატში იასპარეზებს. შეჯიბრება ტურინში ტარდება, ჩვენები კი იქ ხანმოკლე შეკრებას გაივლიან, რაც აკლიმატიზაციაში და სასროლეთთან ადაპტაციაში დაეხმარებათ. ნაკრების კორეელი მთავარი მწვრთნელის **ან იონ სეუნის** გადაწყვეტილებით, მსოფლიოზე ისევ ძველი სამეული გამოვა - **ხათუნა ნარიმანიძე, ქრისტინე ესებუა, ასმათ დიასამიძე**. იტალიაშიც ეს სამეულია წასული შეკრებაზე. კორეელის გადაწყვეტილებით, მსოფლიოს პირველობაზე არ გამოვა ჩვენი ვაჟთა ნაკრები, რადგან მათი შედეგები საგრძნობლად ჩამორჩება საერთაშორისო მაჩვენებლებს.

მსოფლიოს წლევანდელი პირველობა მნიშვნელოვანი შეჯიბრებაა, რადგან იქ ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიებიც გაიცემა. ოღონდ ამჯერად მთავარი ყურადღება ექცევა არა პირად, არამედ გუნდურ ტურნირს. მოგეხსენებათ, გუნდურში 16 ნაკრები გადის ტატამზე და ვინც პლეი ოფის პირველ წრეს გაივლის, რვა ნაკრების სამივე წევრი მიიღებს საგზურს, ანუ ტურინში ოლიმპიადის ერთბაშად 24 მონაწილე გამოვლინდება. ცოტა გართულდება საქმე, თუ იმ რვა საუკეთესოს შორის ბრიტანეთიც აღმოჩნდება, რომლებსაც, როგორც მასპინძლებს, ლიცენზიები არ სჭირდებათ. ამ შემთხვევაში IX-XVI ადგილებზე გასულები დამატებით ტურნირს ჩაატარებენ ერთი საუკეთესოს გამოსავლენად, რომელიც ასევე მიიღებს თამაშების საგზურს. იმედია, იღბლიანთა შორის ჩვენი ქალებიც აღმოჩნდებიან.

ირაკლი თავაძე

FM 107,9

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".

● წყალბურთი

კვარცხელი ოლიმპიკს აახმაურებს

საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში", როგორც გაუწყეთ, დღეს იწყება თბილისის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული გუნდები, ყაზახეთისა და ბელარუსის ნაკრებები იასპარეზებენ. ამ შეჯიბრებასთან დაკავშირებით გუშინ სპორტის მინისტრის მოადგილემ **გია გალდავამ,** სეოგ-ის გენერალურმა მდივანმა, საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **ალექსანდრე ბითაძემ** და ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ზვიად დავითაიანმა** პრესკონფერენცია გამართეს.

შეხვედრაზე ითქვა, რომ თბილისის ტურნირი ჩვენი ნაკრების მოსამზადებლად ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ასპარეზობის ბოლო მატჩისთვის, რომელიც ბრიტანელებთან 2 ივლისს მანჩესტერში გაიმართება, მნიშვნელოვანი ეტაპია. საგულისხმოა, რომ საქართველოს ეროვნული გუნდი იტალიის ბრეშაში მოთამაშე ფრანჩესკო ჩიანიით გაძლიერდა. წელიწადზე მეტი გავიდა, რაც მარინომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო და ნაკრებში თამაშის უფლებაც დართეს.

დღეს 18.30 საათზე „ოლიმპიკის" აუზში ბელარუსებს ასეთი შემადგენლობით დავუპირისპირდებით: ზურაბ ჭუმბურიძე, გალაქტიონ ლაითაძე, მარკო ელაჩა, იოვან პოპოვიჩი, მარკო კორდიჩი, გიორგი ხვედელიანი, რევაზ ჩომახიძე, მიხეილ ბაღათურია, ზურაბ რურუა (კაპიტანი), კონსტანტინე გეგელაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი, მარინო ფრანჩესკიჩი, ივან სტრუიჩი.

ალექსანდრე ბითაძემ დამსწრეთ აუწყა, რომ მანჩესტერში ბრიტანელებთან მატჩის თუნდაც ხუთი ბურთის სხვაობით წაგების შემთხვევაში საქართველოს ნაკრები ჯგუფში მეორე ადგილს დაიკავებს და შემოდგომით პლეი ოფში კონტინენტის პირველობის გადამწყვეტ ეტაპზე მოსახვედრად წყალბურთის რომელიმე გრანდს დაუპირისპირდება.

გია გალდავა: *„მისასალმებელია, რომ საქართველოს წყალბურთში საგრძნობი გამოცოცხლებაა და სპორტის ეს სახეობა სახელმწიფოს, ასევე, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თანადგომითა და დახმარებით უნინდელ ტრადიციებს ნელ-ნელა იბრუნებს. მართალია, თბილისის ტურნირი საქართველოს ნაკრებისთვის ევროპის ჩემპიონატისთვის სამზადისი უფროა. თუმცა გვჯერა, რომ ჩვენი ბიჭები, შარშანდელის მსგავსად, ყველაფერს გააკეთებენ მთავარი პრიზის მოსაპოვებლად".*

ვაჟა დანელია

● სპორტი ყველასათვის

მინისტერიალის დრო დადგა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით საქართველოს სამინისტროებსა და სამთავრობო უწყებებს შორის სპორტის 8 სახეობაში „მინისტერიალის თასი 2011" გაიმართება. პროგრამაშია მინი-ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი, სპორტული ნარდი, ბოულინგი, ჭადრაკი და ბილიარდი. გუნდური შედეგების მიხედვით გამოვლინდება გამარჯვებული სამთავრობო უწყების გუნდი, რომელსაც მინისტერიალის თასი გადაეცემა.

მონაწილეთათვის ოფიციალური კენჭისყრა გუშინ გაიმართა, რომელსაც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსი **ირაკლი სამყურაშვილი** საორგანიზაციო კომიტეტთან ერთად უძღვებოდა.

● ჭადრაკი

საპრიზო ადგილების შანსი შეინარჩუნეს

ჯერმუკში (სომხეთი) დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი - კარენ ასრიანის მე-4 მემორიალი, რომელშიც ექვსი ქართველი დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი მონაწილეობს. გუშინ მე-8 ტურში ლიდერთა ჯგუფში მყოფმა **კონსტანტინე შანავამ** შავი ფიგურებით **აშოტ ნადანიანს** (სომხეთი) სძლია. ხუთქულიანთაგან რუსმა მაქსიმ ტუროვმა 16 წლის თანამემამულე დანიილ დუბოვი დაამარცხა, რობერტ ჰოვანესიანმა ჰრაირ სიმონიანს (ორივე-სომხეთი) მოუგო. დაზავდნენ ჰოუია იდანი (ირანი)-მიხეილ ულიბინი (რუსეთი). ასევე მშვიდობიანად დამორდნენ ერთმანეთს ერთპიროვნული ლიდერი ტიგრან კოტანჯიანი (სომხეთი) და ევგენი გლეიზეროვი (რუსეთი), რითაც მასპინძელმა 6,5 ქულა მოაგროვა და მენინავეობა შეინარჩუნა. ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით შანავა, ტუროვი და ჰოვანესიანი ჩამორჩებიან. შანავას გარდა, ქართველ მოჭადრაკეთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ელშან მორადიანადი (ირანი)-**შოთა აზალაძე** 0,5:0,5, **დავით მალალაშვილი**-ირინა ტუროვა (რუსეთი) 1:0, **ბაჩანა მორჩიაშვილი**-დინარა სადუაკასოვა (ყაზახეთი) 0:1, **ნინო ბაციაშვილი**-ხაჩატურ ერანიანი (სომხეთი) 1:0, რაანა ჰაკიმოიკარდი (ირანი)-**სოფიო გვეტაძე** 0:1.

რვა ტურის შემდეგ: კოტანჯიანი-6,5, შანავა, ტუროვი, ჰოვანესიანი-6-6... მალალაშვილი-5,5, აზალაძე-5, ბაციაშვილი-4,5, მორჩიაშვილი-4, გვეტაძე-3,5 ქულა.

დღეს ბოლო ტურში ითამაშებენ: ტუროვი-კოტანჯიანი, შანავა-ჰოვანესიანი, გლეიზეროვი-ჩიბუხჩიანი, ულიბინი-მალალაშვილი, პეტროსიანი-იდანი, ბაბუჯიანი-მორადიანადი... სადუაკასოვა-აზალაძე, კურსოვა-ბაციაშვილი, ბარსეგიანი-მორჩიაშვილი, გვეტაძე-კოვსარინია.

ასე რომ, ბოლო ტური პრიზიორებს გამოავლენს როგორც ვაჟებში, ისე ქალებში. მანდილოსნებში 5 ქულით 16 წლის ყაზახი ფიდეს ოსტატი დინარა სადუაკასოვა ლიდერობს. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები აქვთ ირინა ტუროვას, მარია კურსოვასა და ნინო ბაციაშვილს. ასე რომ, ქართველ დიდოსტატებს საპრიზო ადგილებზე გასვლის რეალური შანსი აქვთ.

ვაჟა დანელია

● ჩოგბურთი



იმედიანი მარცხი ვიკმაიერთან

21 წლის **ანა ტატიშვილმა** (118) მსოფლიოს საჩოგბურთო ელიტის წარმომადგენელს დიდი ბრძოლა გაუმართა და მხოლოდ ორსაათიანი დაპირისპირების შემდეგ დათმო მატჩი. ტატიშვილი ძალიან ეფექტური დაემშვიდობა ყველაზე პრესტიჟულ ტურნირს - უიმბლდონის პირველობას.

ანას მეტოქე მასზე თვეებით უფროსი, თუმცა რეიტინგში გაცილებით მაღლა მყოფი ბელგიელი **იანინა ვიკმაიერი** იყო. ვიკმაიერი მსოფლიოს მე-19 ჩოგანია და ლონდონშიც ამ ნომრით იყო განთესილი. მეორე წრის ეს დაპირისპირება ოთხშაბათს უნდა გამართულიყო, მაგრამ წვიმამ უიმბლდონის გრაფიკი ტრადიციულად არია და შეხვედრაც ხუთშაბათისთვის გადაიდო.

ასეთ დასაწყისს არავინ ელოდა, ქართველმა უბრალოდ ყველა კომპონენტში დაჩაგრა ფავიორიტი და პირველი სეტი 6:3 მოუგო! „დიდი სლემის“ ტურნირზე პირველი მოგების შემდეგ, ტატიშვილს კარიერაში პირველად ამ დონის ტურნირებში განთესილი ჩოგბურთელის გამოგდების პერსპექტივა გაუჩნდა. მაგრამ ფავორიტმა იძალა. გადამწყვეტი მეორე სეტი გამოდგა, რომელშიც ბრძოლა თანაბარი იყო, მაგრამ მიზანს ბელგიელმა მიაღწია, მესამეში კი ვიკმაიერის უპირატესობას უკვე აშკარა ეთქმოდა - 6:3, 4:6, 2:6.

პირველი და ბოლო სეტები 32-32 წუთში დასრულდა, მეორე - 43-ში. ვიკმაიერმა 8 ეისი ჩააგდო, ტატიშვილმა - 1. ბელგიელმა 30 უნებლიე შეცდომა დაუშვა, ქართველმა - 21. ორმაგი შეცდომები ასე განაწილდა: ვიკმაიერი - 5, ტატიშვილი - 2. ვიკმაიერმა 34 „ვინერი“ დაარტყა, ტატიშვილმა - 23.

ეს მატჩი რომ მოეგო, ტატიშვილი კარიერაში პირველად შეაღწევდა ასეულში, ახლა კი ის ალბათ კარიერის პიკს გაიმეორებს (104-ე ჩოგანი იყო).

რომის საერთაშორისო ტურნირის (25 ათასი დოლარი) მეოთხედფინალში გავიდა **სოფიო შაფათავა** (292). მან მე-7 ნომრად განთესილი არგენტინელი **პაულა ორმაეჩეა** (236) დაამარცხა - 2:6, 7:6 (5), 6:4. ახლა ქართველის მეტოქე ფრანგი **კრისტინა მლადენოვიჩია** (266). წყვილთა ბადეში სოფიო და რუსი **მარინა შამაიკო** (408) უკვე ნახევარფინალში გავიდნენ.

შვეიცარიულ ლენცერჰაიდეში (25 ათასი დოლარი) პირველივე წრეში დამარცხდა **ეკა გორგოძე** (552), ვისაც მასპინძელმა **ამრა სადიკოვიჩმა** (542) აჯობა - 3:6, 6:3, 7:5. იზმირში (10 ათასი) ძირითად ბადეში სამმა ურეიტინგო ქართველმა ითამაშა და სამივემ ნაადგო. „იღბლიანი დამარცხებულის“ სტატუსით გასულმა **თამარ ცხაკაიამ** მასპინძელ **იდილ ჰაჩირაფოგლუსთან** დათმო - 3:6, 2:6, **ნათია გეგიამ** - მე-8 ნომრად განთესილ რუს **ტატიანა კოტელნიკოვასთან** - 4:6, 4:6, ხოლო **ვიქტორია ჟორჟოლიანი** „მშრალად“ დამარცხდა ხორვატ **ტეა ფაბერთან** - 0:6, 0:6. ჩვენებურები წყვილებშიც გამოეთიშნენ ასპარეზობას.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● სპორტული გამოცემა

ჟურნალი, რომელიც ორთაბრძოლასავითაა — შეუპოვრობით იმარჯვებს...

საქართველოში არაერთხელ იყო სპორტის ცალკეული სახეობების მიხედვით ჟურნალის გამოცემის მცდელობა, მაგრამ დამკვიდრების დიდი სურვილის მიუხედავად, მისწრაფება მეტწილად კრახით მთავრდებოდა. პირველმა ორთაბრძოლების სახეობებიდან კარატემ დაიწყო ბეჭდვითი ორგანოს გამოცემა, 1997 წლიდან. დრო გადიოდა, ორთაბრძოლები და არა მხოლოდ აღმოსავლური, არამედ ჩვენი, ისტორიულიც, ბევრისთვის გახდა ხელმისაწვდომი, რაც დიდი წვლილი შეიტანა ზემოხსენებულმა გამოცემამ. საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციამ, მისმა პრეზიდენტმა და ჟურნალ „ორთაბრძოლების“ მთავარმა რედაქტორმა, ცნობილმა კარატმენმა **კახა ბასილიამ** ყველაფერი გააკეთეს ჟურნალის შესანარჩუნებლად და დასახვეწად, შინაარსის გასამრავალფეროვნებლად. ახალი ნომერიც თვალმისაზიდია, გაჯერებულია აქტუალური და საინტერესო მასალეპით, პირველადაა წარმოდგენილი საბრძოლო ხელოვნება კენდო, რომელიც იაპონიაში და არა მხოლოდ ამომავალი მზის ქვეყანაში, ყველაზე პრესტიჟულ და ელიტურ საბრძოლო ხელოვნებადაა

აღიარებული. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პუბლიკაციით ჟურნალი ორთაბრძოლის ახალი აღმოსავლური სახეობისადმი ინტერესის გაღვივებისკენ უბიძგებს მკითხველს...

თენგიზ თომაშვილი



თავგადასავალი

მსოფლიოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ზარიბეგ ბერიაშვილი

ისტორიულად აღიარებულია ქართველ მოჭიდავეთა „საქმენი საგმირონი“. ჩვენი სასიქადულო ფალავანი - ბატონი ზარიბეგი ერთ-ერთი მათგანია, ვინც მსოფლიოში გაგვითქვა სახელი და არაერთხელ. ეს უაღრესად კეთილშობილი პიროვნება ღიმილით იხსენებს:

საპატიო წოდებები ფირმაში

თუ ფიქრობთ, რომ მონინააღმდეგეების დამარცხებისთვის მოგვანიჭეს ტიტულები, უნდა გაგანბილოთ. ჭიდაობის გარდაც გვაფასებენ, ბატონებო.

მსოფლიო თასის მოსანადირებლად ვართ ნიუ-იორკში (1974 წ.) ასპარეზობა წარმატებით ჩავაგრიალეთ და უნდა გამოვფრინდეთ საქართველოში. უამინდობის გამო რეისი სამი დღით გადაიდო. ვყურყუტებთ ნიუ-იორკის აეროპორტში. ღვთის წყალობით, აქედან ნაღებული არაყ-კონიაკი ბლომად გვაქვს და შევექცევით ნება-ნება. ქართული წესია და ერთმა ჩვენგანმა თვალით უნახავი და ძნელად აღსაქმელი რამ „ჩაიდინა“. რა და... დასალევად აეროპორტის ამერიკელი პოლიციელები არ მოინვია?! ისინიც, ცოტათი კი გაიპრანჭნენ, მაგრამ მთლად არ „გაგვწირეს“ და... ქართულ კონიაკს, მოგეხსენებათ, გამეორების „ჩვევა“ აქვს - თითო ჭიქას ორი მოჰყვა, - ორი და ორი ამერიკაშიც ოთხია და გაუოთხდათ მორიგეობა საწყლებს, ნახევარ საათში აქეთ იქაჩებოდნენ - „ვანს მოო“ (კიდევ ერთიო). სსრკ-ში ჰყავდათ მილიციელებს უფროსი და რა გასაკვირია ამერიკელ პოლიციელებსაც ჰყოლოდათ? მაგრად გააძვრეს ტყავი - დისციპლინის დარღვევისთვის. ჩვენც... დაგვიმოწმეს და უხერხულობა რომ გაეფანტათ, ისევ ოკეანისიქითა ეშმაკობა იხმარეს. - ყველა სსრკ მოჭიდავეს (ძირითადად ჩვენ გავაბრიყვეთ) „პოლიციის საპატიო სიგელები“ დაგვირიგეს სიცილ-ხარხარში. „სენქ იუ“ - ამერიკელო პოლიციელებო!

...1968 წელს იაპონიაში გახლდით. რა თქმა უნდა, საასპარეზოდ. ტოკიოდან 200 კილომეტრით მოცილებულ ქალაქში მივემგზავრებით ავტობუსით. ტრიალი მინდორია და უცბად გამოჩნდა ერთი პაწაწინა შენობა, რომელსაც უზარმაზარი, ტყვიისფერი ბოლი ასდის.

- ხანძარი! - თქვა ვიღაცამ.

კვამლი რომ უცეცხლოდ არაა, ჩვენთან იციან და იაპონიაში ხომ უფ... ახლა ჩვენ რა გული გაგვიძლებს? მივაყენეთ ავტობუსი და გადმოვცვდით ამდენი მოჭიდავე. დავატრიალეთ მუსკულები და ვცდილობთ ცეცხლის ჩაქრობას. ერთმანეთს ვასწრებთ ბელტების სროლაში. ზოგი სულსაც უბერავდა - იქნებ ჩაქრესო, მაგრამ უარესად გაძლიერდა ცეცხლი. ცოტა ხანში ერთი ჩია იაპონელი მოგვიახლოვდა - რას შვრებიო, რას შვრებიოო? მაგისთვის გვეცალა?! ისევ ვუტევთ ცეცხლს. ამ იაპონელს სხვებიც წამოეშველნენ და ხელების გაკავება არ დაგვიწყეს? მთლად გადავირიეთ... თურმე სპეციალურად წაუკიდებიათ ცეცხლი იმ შენობისთვის, რომ მის ადგილზე ახალი უნდა აეშენებინათ - ყველაფერი რომ გაირკვა, ადგნენ და ყველა სსრკ მოჭიდავე „იაპონიის საპატიო მეხანძრის“ სიგელებით დაგვაჯილდოეს...

არგენტინა! არგენტინაააა!!!

1969 წელია. არგენტინაში ვართ.

სანამ არგენტინის ამბავს მოვყვები, უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ეს ტრილოგიაა, ე.ი. არგენტინული სამი ამბავი. თუ საკითხავად მზად ხართ - ვიწყებ:

ამბავი I: - ძალიან მიყვარდა სუვენირები. კერძოდ - ჭიქა-საინი და ა.შ. კოლექციას ვაგროვებდი და მომენტს არ ვუშვებდი, რომ რომელიმე ქვეყნიდან მსგავსი „შედევრი“ არ ჩამომეტანა, შევედით ერთ არგეტინულ მარკეტში, სადაც ჩემი საყვარელი ანტიკვარული ჭურჭელია. უნდა მოგახსენოთ, რომ სამხრეთამერიკელებს ძალიან ვაინტერესებდით სსრკ სპორტსმენები და გამყიდველიან, გამვლელ-გამომვლელიანად შემოგვეხვივნენ, დაინახეს რა, რომ მაისურებზე სსრკ გვწერა ცნობისმოყვარეობა გაუთამაგდათ:

- რუსო? რუსო? - მეკითხება ერთი.

არ ვიცი, ქართული სიამაყის ბრალი იყო თუ...

- გრუზინო... გრუზინო!

ვერაფერს მიხვდნენ.

- ჯორჯია, ჯორჯია! - მოიფიქრა ერთმა ჩვენთაგანმა.

გაბრაზდნენ, რა ჯორჯია, რის ჯორჯია, გამოსხმარტალებული სსრკ ხართო.

- დავაი რუკა! - გაბრაზდა შოთა ლომიძე - დავაი! (ჯარისკაცის მამასავით), - მოიტანეს. დავხედეთ... ვეძებეთ, ვეძებეთ და... მოულოდნელად აღმოვაჩინეთ ჩვენი გულის მარგალიტი, სადღაც, საცოდავად მიჭყლეტილი ჩვენი უიღბლო და დატანჯული „ტიფლისი“ (ასე ეწერა) მაინც ვერაფერი გაიგეს, სანამ ისევ ცხონებულმა ლომიძემ არ იმარჯვა:

- სტალინ! სტალინ! - „მაზერ ლენდ“ (ჩვენი მიწა).

ახლა გვაცალეოოო! (სტალინის ხსენებამ სულ გადარია იქაურები), რასაც კი თვალი დავადგი, ყველაფერი მაჩუქეს („უკაპეიკოდ“)...

ამბავი II. ახლა, ქართულ მადლიან მიწაზე გაზრდილ ბიჭებს რომ მიწაც გვიყვარს, მთაც, მდინარეც და ზღვაც, რა გასაკვირია? არგენტინის სასტუმროში დაბინავებულებმა, დავლანდეთ რა, რომ ოკეანე სასტუმროს თითქმის ცხვირწინაა. ბუნებრივია, ბანაობა გადავწყვიტეთ. ამბავი რომ უფრო „ხელისგულზე დასადები“ და იოლად გასაგები იყოს, შევეცდები აგიხსნათ: სასტუმრო, სადაც ჩვენ დავბინავდით, - პირდაპირ „პირდაფჩენილ“ ოკეანეს უყურებს. ვინ ვართ ახლა, არ იკითხავთ? - მე, შოთა ლომიძე, გურამ საღარაძე, ტარიელ ალიბეგაშვილი და სხვ.

ზარიბეგ ბერიაშვილი (მარცხნივ) და შოთა ლომიძე

სასტუმროს წინ პატარა აივანია. ჩაივლი კიბეს და იწყება „პრიჩალი“, რომელიც ღრმად თითქმის ნახევარი კილომეტრით შედის ოკეანეში. ახლა ამ „პრიჩალს“ წარმოგიდგინეთ: გვერდებზე აქვს წყლიდან ამოზრდილი წვრილი რკინის ბადე. მოკლედ, „პრიჩალის“ გავლის შემდეგ სრული „თავისუფლებაა“ ოკეანეში. ახლა, ბანაობა ხომ გვინდა? მაგრამ შოთა ლომიძემ თქვა - „ჩერეზ სეტკა“ არ გადავხტეთ“.

- რეიზა? - იკითხა ერთმა ჩვენგანმა.

- რა ვიცი... აქ თავისი კანონები აქვთ. აქ ბიძია - ბათუმი კი არაა?.. „სეტკები“ დაყენეს, ე.ი. საჭიროა, რომ...

შოთას ბევრი ფიქრი არ უყვარდა:

- რეიზა, შე შტერო და უბილეთოდ რო არ შეიპაროს ვინმე! - აქანა ბიძია კაპიტალისტური ქვეყანაა, შენ ქობულეთი ხო არ გგონია?

ქართველების ამბავი იქ არ იცოდნენ, მაგრამ მკითხველმა კი იცის. გავიტანტალეთ „მარშით“ ეს „პრიჩალი“ და „ხალპომ“ გადავცივდით ამ აბობოქრებულ ოკეანეში გასაგრილებლად. სამ წუთს არ გაუვლია (ჩვენდა საბედნიეროდ) და ამ „პრიჩალზე“ გამორბის ვიღაც არგენტინელი კაცი, სასოწარკვეთილი სიფათით და გვიქნევს ხელებს - „ნოუ! ნოუ!!!“

- ე, - თქვა ლომიძემ, - გამოგვიჭირეს, ბილეთები რო არ ევიღეთ, აბა რა გეგონათ თქვენ, ეგი კაპიტალისტური ქვეყანაა, ბათუმი ხვარ გგონიათ!

- ნოუ! ნოუ! - ყვირის ის კაცი და „კატრიც“ მოვარდა. დაგვავლეს ხელი და სათითაოდ აგვათრიეს ნაკში. ხელებს გვიფათურებენ და უხარიათ. ვერაფერს ვხვდებით. რა აცინებთ? რას იკრიჭებიან ეს უპატრონოები?

მერე აგვიხსნეს: თურმე ის ნაპირი ზვიგენებით ყოფილა სავსე და რომ გადავრჩით, გაუხარდათ. აბა ერთი, მაგათ საქმე არ აქვთ. ზვიგენები მოგვერეოდა მსოფლიო ჩემპიონატზე ჩასულ მხეც მოჭიდავეებს?

ამბავი III. ისევ არგენტინა.

საქმე ისე მიდის, რომ შოთა ლომიძე ფინალში ხვდება ერთ-ერთ უძლიერეს თურქ მოჭიდავეს ახმედ აიკს - ბეჭდაუდებელ ფალავანს.

სპორტის მოყვარულებს ემახსოვრებათ, რა მძიმე წუთები გადავიტანეთ მაშინ. შოთა ლომიძე ფინალში აუცილებლად დამარცხდება - ასეთია ჩვენი ვარაუდი. ეს „კაციჭამია“ შოთას „შეჭამს“.

რაღა ბევრი გავაგრძელო და ასპარეზობა დაინყო. ჩვენი პრესტიჟის ბედი შოთაზეა, მაგრამ ვაი, რომ მე ამას ვერ ვხედავ - პარალელურად ვებრძვი ვიღაც ამერიკელს (ერთდროულად). მოვარდება მწვრთნელი ჩემთან (შესვენების დროს) და მეკითხება:

- როგორ ხარ?

- კარგად... წასულია მაგის საქმე - ვანიშნებ თავის კუთხეში მჯდომ მოჭიდავეზე, შოთა როგორაა?

- კარგად... კარგად.

- გადაეცი შოთას, რომ მე... მე... მე მაგრად ვარ. მე ვიცავ საქართველოს.

ჩემგან წასული მწვრთნელი - იაკინი - ახლა თურმე შოთას ეკითხება:

- როგორ ხარ?

- კარგად, კარგად... ზარიბეგი როგორაა? - ეკითხება თურმე აქეთ.

... ორივემ ბრწყინვალე გამარჯვება მოვუტანეთ სსრკ-ს და (ჩუმად) საქართველოს. დიდი ზეიმის დროს, როდესაც ქართულმა გენმა აჯობა მსოფლიო გენს - მწვრთნელმა, იაკინმა დაუვინყარი სიტყვები წარმოთქვა:

„ მაშინ, როდესაც, ეს ორი ბუმბერაზი პარალელურად იბრძოდა, მე გამაოცა ერთმა მომენტმა, ისინი საკუთარ წარმატებაზე კი არა, ერთმანეთზე ფიქრობდნენ, როგორაა იმის საქმეო! - ამიტომაა, ქართველები მუდამ რომ იპყრობენ მსოფლიოს“.

მრავალჟამიეეერრრ!!!

დავიბადე და გავიზარდე ავჭალაში. ფეხიც იქ ავიდგი და ჭიდაობაც (სანყისი) იქ ვისწავლე. ერთხელ „ნახერხის“ ჭიდაობაზე ასპარეზობას ამერიკელი, გამოცდილი მოჭიდავე ესწრებოდა. ბლომად გულშემატკივარი „ბალელშიკობდა“. მაყურებლებში მოულოდნელად ბავშვის ტირილის ხმა გაისმა. ყველა გაოცდა, მათ შორის, ჩამოსული ოკეანისგაღმელი და მოულოდნელად თქვა - „მე აღარ მიკვირს რატომ იზრდებიან საქართველოში ძლიერი ფალავნები. აი, ბავშვიც კი დაბადებიდან უყურებს და ეუფლება ჭიდაობის და უძლეველობის საქმიანობას“.

P.S. დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ, ბატონო ზარიბეგ. თქვენ თქვენი ვალი პირნათლად მოიხადეთ ქართველი ერის წინაშე. მრავალჟამიერ!!!

მურმან მერკვილიშვილი

● საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატი. ფინალური სერია

გათანაბრდა

ქუთაისი-სოხუმი 82:63

20:14, 14:12, 28:18, 20:19

ქუთაისი: გრძელიძე (13ქ, 6ჩ, 4პ), ტყაბლაძე (1ქ), ბერეკაშვილი, ფხაკაძე (12ქ, 15მ, 3პ, 2დ), ცირეკიძე (26ქ, 21მ, 6დ), დვალიშვილი (18ქ, 12მ, 3პ, 2დ), გოგოძე (12ქ, 5მ, 5პ, 4ჩ), ნაცვლიშვილი.

სოხუმი: ჩოჩია (23ქ, 3ჩ), გაფრინდაშვილი (10მ, 4პ), დოლიძე, ძიძიგური (3ქ), რ. როგავა (8ქ, 7პ, 4ჩ), გოლეთიანი (2ქ), მესხი (10ქ, 11მ), ორმოცაძე (7ქ), დ. როგავა, ბულიავა (10ქ, 8მ, 4ჩ).

ქუთაისში ჩემპიონატის ფინალურ სერიაში გამარჯვებულის გამოსავლენად მესამე მატჩია საჭირო. თბილისში 72:56 გამარჯვების შემდეგ „სოხუმმა“ ქუთაისში 63:82 დათმო და სერიაში ანგარიში გათანაბრდა - 1:1.

ქუთათურებმა წარმატებას ფარქვეშ დამაჯერებელი თამაშის წყალობით მიაღწიეს - სამი კალათბურთელი ასცდა 10-მოხსნიან ნიშნულს (**გიორგი ცირეკიძემ** სრულად 21-ჯერ მოხსნა) და ამ კომპონენტში ქუთათურებმა „სოხუმს“ 63:52 აჯობეს. მასპინძლებმა სტუმრებზე 13-ით მეტი ორქულიანიც გამოიყენეს (28:15), თუმცა პერიმეტრიდან გაცილებით უკეთესად ისროლეს სოხუმელებმა - 8 სამქულიანი ჩააგდეს, მაშინ, როცა საკუთარ კალათში მხოლოდ ორი მიიღეს.

სოხუმელთა ბომბარდირმა **ალეკო ჩოჩიამ** 10-დან 5 სამიანი გამოიყენა და 23 ქულა მოუგროვდა. მატჩის სნაიპერი კი ცირეკიძე გახდა, რომლის სტატისტიკაც მეტად ეფექტური გამოდგა: 26 ქულა, 21 მოხსნა, 6 დაფარება.

● სუპერლიგა. სოხუმი

ბაგაცკისი: ევროპისკენ ხუთი ლეგიონერით

„არმიისა“ და შსს-ს შემდეგ დღეს „სოხუმს“ წარმოგიდგენთ. უნდა აღმენიშნა, რომ ამ გუნდმა გასულ სეზონში ქართულ კალათბურთში ახალი სიო შემოიტანა - „სოხუმში“ არაერთმა ამერიკელმა და აშშ-ს კოლეჯების ლიგიდან ჩამოსულმა ითამაშა, ასევე აუცილებლად უნდა დაფიქსირებულიყო, რომ „სოხუმი“ ლატვიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა აინარს ბაგაცკისმა განვრთნა, რაც კიდევ ერთი ახალი სიტყვა იყო ჩვენი კალათბურთის ისტორიაში, მაგრამ...

გუშინ, ინტერნეტში აღმოვაჩინე ბაგაცკისის ინტერვიუ, რომელშიც მწვრთნელი ლატვიის ნაკრებისა და NBA-ს პარალელურად „სოხუმზე“ ლაპარაკობს. ლატვიურიდან ნათარგმნი პუბლიკაცია ქართველ მკითხველსაც დაინტერესებს.

- ნახევარი სეზონი საქართველოში გაატარეთ. რას იტყვით „სოხუმსა“ და ქართულ ლიგაზე?

- საქართველოში გამგზავრებამდე იქაურ კალათბურთს კარგად არ ვიცნობდი. მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა მქონდა. ვიცოდი, რომ 26 ქართველი თამაშობდა საზღვარგარეთ, ესპანეთში, იტალიაში, ადრიატიკის ლიგაზე, გერმანიაში... რაც მთავარია, ექვს კალათბურთელს ევროპის წამყვან კლუბებთან აკავშირებდათ კონტრაქტები. ასევე ვიცოდი, რომ NBA-ში ოთხ ქართველს ჰქონდა ნათამაშები. ზაზა ფაჩულია ახლაც „ატლანტას“ ღირსებას იცავს. ასე რომ, გარედან ქართული კალათბურთი მეტად საინტერესოდ მოჩანდა.

- შიდა ჩემპიონატი?

- სიმარტივით გამოირჩევა, თუმცა როგორც ამბობენ, 2010-11 წლების ჩემპიონატი ქართული კალათბურთის ისტორიაში საუკეთესო იყო.

- ახლა, რაც შეეხება თქვენს კლუბ „სოხუმს“...

- როცა გუნდში მივედი, რეგულარულ ჩემპიონატში მეხუთე-მეექვსე ადგილებს ინაწილებდა, იყო არაერთი ტრავმირებული... მეორე წრიდან დაცვაში თამაში საგრძნობლად გამოვასწორეთ და შედეგიც გვქონდა. სტატისტიკის თანახმად, მეორე ტაიმს თითქმის არ ვაგებდით, რაც იმას ნიშნავს, რომ გუნდში ყველაფერი წესრიგში იყო, ფიზიკური მომზადების ჩათვლით. „სოხუმში“ მისვლისთანავე ვთქვი: დროულად უნდა გავაუმჯობესოთ ორი რამ: ფიზიკური კონდიციები და დაცვა. საბედნიეროდ, სეზონის ბოლოსთვის ორივე კომპონენტში მიზანს მივაღწიეთ.

- პლეი ოფში გუნდის გამოსვლით რამდენად კმაყოფილი ბრძანდებით?

- ნახევარფინალში მეტოქედ საქართველოს ჩემპიონატის აბსოლუტური ლიდერი გვყავდა - „არმიას“ რეგულარულ ეტაპზე მხოლოდ ორი წაგება ჰქონდა. ტრავმების მიუხედავად მეტოქეს ბოლომდე ღირსეულად ვებრძოლეთ, ნახევარფინალური სერიის მესამე მატჩში გავიმარჯვეთ და მეოთხის მოგებასთანაც ახლოს ვიყავით, მაგრამ უკანასკნელ წუთებზე დავმარცხდით. საბოლოოდ, „სოხუმმა“ საქართველოს პირველობაზე მეოთხე ადგილი დაიკავა.

- რამდენად საინტერესო გამოდგა ქართული კლუბის განვრთნა?

- ნამდვილად სასიამოვნო იყო - დროის მოკლე მონაკვეთში ბრძოლისუნარიანი გუნდი ჩამოვაყალიბე. რაც მთავარია, ეს იმ შემადგენლობით მოვახერხე, რომელიც „სოხუმში“ დამხვდა - ახალი არავინ დამიმატებია.

- საქართველოში მუშაობის გაგრძელებას აპირებთ?

- „სოხუმის“ ხელმძღვანელობისგან წინადადება მივიღე და სიამოვნებით დავთანხმდი. გუნდი მომავალ სეზონში მაღალ მიზნებს ისახავს - ევროჩელენჯზე აპირებს გასვლას, რისთვისაც შემადგენლობის გაძლიერებაა საჭირო. დავიმატებთ საქართველოს ჩემპიონატში გამორჩეულ კალათბურთელებსა და ხუთ ლეგიონერს.

- თქვენი მოწინააღმდეგე გუნდის ერთ-ერთმა კალათბურთელმა მსაჯს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. როგორ აფასებთ ამ ფაქტს?

- ასეთი რამ მართლაც მოხდა. იყო სიტუაცია, როცა სპორტსმენი არათუ კალათბურთში, კრივში აკრძალულ წესებს იყენებდა. ეს დაუშვებელია, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ცხელ საქართველოში მხურვალე ხასიათის ხალხი ცხოვრობს.

- საინტერესოა თქვენი მოსაზრება NBA-ს წლევანდელ ფინალზე.

- „დალასი“ ყველაზე ასაკოვანი და გამოცდილი გუნდია. მომწონს გუნდის მწვრთნელი და მისი სტრატეგია. ჩემი აზრით, „დალასი“ NBA-ში საუკეთესო ზონურ დაცვას თამაშობს. სასიამოვნო იყო ამ გუნდის მიერ ჩატარებული ნებისმიერი მატჩის ხილვა და, ვფიქრობ, NBA-ს ღირსეული ჩემპიონი ჰყავს.

- ლატვიის ნაკრების შესახებაც გკითხავთ. ჩვენს ჯგუფში სერიოზული გუნდები არიან შეკრებილნი: გერმანია, სერბეთი, საფრანგეთი, ისრაელი, იტალია. ჩვენ კი ახალგაზრდული ნაკრები გვყავს...

- ლატვიის ნაციონალური გუნდის საშუალო ასაკი 23 წელია. თუმცა, გვყავს გამოცდილი კალათბურთელებიც: ანდრის ბიედრინსი, იანის ბლუმსი, კრისტაპს იანიჩენოკსი. ახალგაზრდებმა მაგალითი მათგან უნდა აიღონ. ჯგუფიდან გასვლის შანსი ყველას აქვს. მნიშვნელოვანია, ვინ როგორ შეხვდება ევროპის ჩემპიონატს. მოუთმენლად ველი მოსამზადებელი ეტაპის დაწყებას, რადგან ბევრი სამუშაო გვაქვს: გუნდი სათანადოდ უნდა მოვამზადოთ როგორც ფიზიკურად, ასევე ტაქტიკურად და ტექნიკურად. რადგან ახალგაზრდული ნაკრები გვყავს, ასევე მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური მზადყოფნა. ეს თავად კალათბურთელებზეა დამოკიდებული, მაგრამ მაქვს გეგმა, როგორ გავაძლიეროთ გუნდი მენტალურად.

ეს კარიკატურა აინარს ბაგაცკისს 29 მარტს, „დინამოს“ ბაზაზე, მის დაბადების დღეზე ვაჩუქე. თავიდან შარვლის აკეცილ ტოტებს დახედა, შემდეგ ზემოთ აჰყვა და გაკვირვებით მკითხა: საქართველოს დროშის ფერების ჰალსტუხი რატომ ჩამომკიდე, ლატვიისა უფრო მომიხდებოდაო... თუმცა, იქვე ლატვიის დროშაც შენიშნა და დამშვიდდა - კარგია, ჩემი ეროვნული სიმბოლო გულის მხარეს რომ მიგიხატავსო.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

სგაგისგიკა	თ	წთ	2ქ/ჩაგ	2ქ/ნას	2ქ%	3ქ/ჩაგ	3ქ/ნას	3ქ%	1ქ/ჩაგ	1ქ/ნას	1ქ/%	მ/მეგ	მ/საკ	მ/სულ	პ	უ	შ	ჩ	დ	ქ
4. ლაშა ფარღალავა	25	31.8	3.1	7.4	41.9	2.8	10.2	27.1	4.8	6.8	70	0.8	4.4	5.2	4.9	2.6	3.9	2.1	0	19.3
5. იუჯინ პარინი	20	33.9	2.7	6	45	2.2	6.3	34.4	1.9	2.3	82.6	0.2	2.4	2.6	4.3	1.9	1.9	1.5	0.1	13.8
6. ირაკლი ჩლაიძე	20	16.2	0.7	2	35.9	0.8	3.1	26.2	0.8	1.2	69.6	1.3	1	2.3	0.5	2.6	0.9	0.3	0.1	4.6
7. გიგა კვეტენაძე	21	11.2	1.1	3	37.5	0.3	1	30	0.4	0.7	53.3	0.9	1.4	2.2	0.3	0.7	0.5	0.1	0.1	3.5
9. ლუკა შაინიძე	28	19.3	2.8	5	56.8	0.7	2.8	26	1.4	2	70.2	2.2	1.8	4	0.9	1.6	1	0.9	0.2	9.2
10. ირაკლი სორდია	26	19.2	0.8	2.3	32.8	1.2	5	22.9	1.1	1.3	82.9	0.6	2.7	3.3	2	2.3	2	0.6	0.1	6.1
11. თემურ კანკია	26	17.3	0.3	0.8	33.3	0.3	1.9	18	0.5	0.8	54.5	0.6	1.7	2.2	2	2.3	0.5	1.5	0	2
12. გელა კოპალიანი	10	7.7	0.8	1.9	42.1	0.1	0.2	50	0	0.2	0	0.8	1.5	2.3	0.6	1.2	0.4	0.2	0.1	1.9
14. კარლ დამუსი	28	18.9	3.3	6.3	52.8	0	0	0	1.9	3.1	61.4	3.2	5.2	8.4	0.5	2.6	1.7	0.4	1.1	8.6
15. რიჩარდ დამუსი	28	23.4	4.4	6.8	64.7	0	0.1	0	1.5	2.9	51.2	3.6	5.7	9.3	0.7	3.1	1	0.9	1.5	10.3
20. ლევან ფაცაცია	8	34.1	2.9	6.6	43.4	1.1	5.6	20	5.4	7.4	72.9	1.4	6.3	7.6	2.5	2.5	2.5	0.9	0.3	14.5
21. გიორგი ფერიაშვილი	1	5	0	3	0	0	0	0	0	0	0	2	0	2	1	1	0	0	0	0
22. დავით კორძაძე	1	6	1	2	50	0	0	0	0	0	0	1	1	2	0	1	0	1	0	2
23. ვახტანგ კვარაცხელია	4	3.8	0	0.3	0	0	0	0	0.3	0.5	50	0	0.5	0.5	0.3	0	0.5	0	0	0.3
25. გიორგი ჟიჟიშვილი	1	2	1	2	50	0	0	0	0	0	0	2	0	2	0	0	0	0	0	2
30. ზვიად ანთაძე	10	32.5	4.9	10.9	45	0.4	2.8	14.3	3.3	5.6	58.9	2.7	5.9	8.6	4.1	2.7	2.3	2.7	0.8	14.3

I წრე	
სოხუმი-აგრარული	85:79
თსუ-სოხუმი	94:93
სოხუმი-ენერჯი	77:67
არმია-სოხუმი	96:64
დინამო-სოხუმი	70:91
სოხუმი-ბათუმი	90:76
სოხუმი-ქუთაისი	66:91
სტუ-სოხუმი	57:79
სოხუმი-სამედიცინო	80:77
შსს-სოხუმი	87:80
II წრე	
აგრარული-სოხუმი	64:84
სოხუმი-თსუ	59:71
ენერჯი-სოხუმი	55:73
სოხუმი-არმია	71:82
სოხუმი-დინამო	121:74
ბათუმი-სოხუმი	71:82
ქუთაისი-სოხუმი	82:81
სოხუმი-სტუ	98:55
სამედიცინო-სოხუმი	71:75
სოხუმი-შსს	73:78
1/4 ფინალი	
შსს-სოხუმი	77:72
სოხუმი-შსს	78:70
შსს-სოხუმი	75:79
1/2 ფინალი	
არმია-სოხუმი	66:52
არმია-სოხუმი	85:65
სოხუმი-არმია	82:77
სოხუმი-არმია	65:71
III ადგილისთვის	
ქუთაისი-სოხუმი	91:84

● შეგირდები

მსოფლიო რაგბის ხვალინდელი დღე

დევიდ პოქოკი

იტალიის დედაქალაქ რომში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი მიმდინარეობს. მთელი მსოფლიოს სარაგბო სამყაროს ყურადღება ახლა სწორედ ამ შეჯიბრებისკენაა მიმართული, რადგან ევროპის სამხრეთში პლანეტის საუკეთესო ახალგაზრდა მორაგბეები ირჯებიან, იქ ახლა რაგბის ხვალინდელი დღე იჭედება.

20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი 2008 წლიდან იმართება. მას შემდეგ ამ ტურნირში მონაწილე 96-მა მოთამაშემ გაითქვა სახელი. მათი უმრავლესობა თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების წამყვანი მოთამაშე გახდა. ამჯერად მათ შორის ყველაზე გამორჩეულ შვიდ მორაგბეზე გიამბობთ.

დევიდ პოქოკი (ავსტრალია)

როდესაც „ვოლაბების“ კაპიტანმა ნაკრების კვართი საბოლოოდ გაიხადა, რათა ევროპაში სათამაშოდ წასულიყო, ყველას ერთი კითხვა აწუხებდა: ვინ უნდა ყოფილიყო მისი სრულფასოვანი შემცვლელი? ამ კონტექსტში ხშირად ახსენებდნენ „ბრამბიზის“ მესამეხაზელ **ჯულიან სალვის,** თუმცა მერე გამოჩნდა ვინმე პოქოკი. 2008 წლის მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ის ავსტრალიის ნაკრების კაპიტანი იყო.

უელსში გამართულ შეჯიბრებაში ავსტრალიელთა გუნდში რამდენიმე ძალიან ნიჭიერი მოთამაშე ირჯებოდა: **ქუადე კუპერი, ვილი გენია** და **ქარლი ბეილი.** მიუხედავად ამისა, „უმცროსი ვოლაბების“ ასპარეზობას ტურნირზე წარმატებულს ვერაფრით დავარქმევთ. ისინი მხოლოდ მე-5 ადგილს დასჯერდნენ.

მას შემდეგ პოქოკმა ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში 30 კეპი მოიხვეჭა.

ბენ იანგზი (ინგლისი)

მან მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ორჯერ ითამაშა 2008 და 2009 წლებში. ჯერ კიდევ შარშან ბენ იანგზი „პომბების“ ცხრა ნომრებს შორის მესამე ნომრად ითვლებოდა. წლეულს კი ექვსი ერის გათამაშებაში შესანიშნავად იასპარეზა და დაამტკიცა, რომ ამ პოზიციაზე ინგლისში საუკეთესოა.

იანგზს ამჟამად ეროვნულ ნაკრებში 12 კეპი აქვს მოხვეჭილი. ახალგაზრდულ ნაკრებში მასთან ერთად თამაშობდა **კორტნი ლოუ,** რომელიც, თუ ტრავმა დროულად მოიშუშა, ახალ ზელანდიაში მსოფლიოს თასზე იასპარეზებს. იმდროინდელი გუნდიდან კიდევ ერთი აღმოჩენა იყო **ალექს კორბსეირო,** რომელმაც ექვსი ერის გათამაშებაში **ენდრიუ შერიდანი** ნარმატებით შეცვალა.

აარონ კრადენი (ახალი ზელანდია)

ის 2009 წელს მსოფლიოს საუკეთესო ახალგაზრდა მორაგბედ დაასახელეს. იმ წელინადს გამართულ მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე აარონ კრადენი ახალი ზელანდიის ნაკრების კაპიტანი იყო. „უმცროსმა ოლ ბლექსმა“ ფინალში ინგლისის ნაკრები დაამარცხა და კრადენმა იმ მატჩში ორი ლელო გაიტანა.

აარონი ეროვნულ ნაკრებში ზუსტად ერთი წლის შემდეგ გამოჩნდა და ამ დროისთვის ექვსი კეპი აქვს მოხვეჭილი. ახალი ზელანდიის 2009 წლის ახალგაზრდული ნაკრებიდან გამოვყოფდით ასევე **სემ ვაითლოქს,** ვისი ძმა, **ლუკა** ამჟამად იტალიაში მოასპარეზე ნაკრების კაპიტანია. ერთ-ერთი საუკეთესო იყო (და დღესაც არის) **ზაკ გილფორდი,** რომელმაც 2009 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე რვა ლელო გაიტანა.

რის რადოკი (ირლანდია)

ის 2010 წლის მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ირლანდიის ნაკრების კაპიტანი იყო. იმავე წელს, **რის რადოკის** კარიერაში მისთვის შოკის მომგვრელი ამბავი მოიხდა. ის ეროვნულ ნაკრებში მიიწვიეს. ამას ხელი ვითარებამ შეუწყო. სამხრეთ ნახავარსფეროში ტურნეზე გამგაზვრების წინ დაშავდნენ **ჯეიმზ ჰესლი** და **ჯონ მალდუნი,** „სამყურების“ მთავარმა მწვრთნელმა **დეკლან კიდნიმ** არჩევანი რადოკზე შეაჩერა და არც შემცდარა.

რისმა ტურნეზე ყველა მოლოდინს გადააჭარბა. მისი დებიუტი ახალი ზელანდიის მაორებთან მატჩში შედგა. პირველი კეპი კი ბრისბენში, ავსტრალიის ნაკრებთან მატჩში მოიხვეჭა. მას შემდეგ რადოკი „ლენსტერის“ ისტორიაში, ამ გუნდის ყველაზე ახალგაზრდა კაპიტანი გახდა.

ლი ჰელპფენი (უელსი)

„კარდიფ ბლუზის“ აღზრდილი 2008 წლის მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში უელსელთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო. ლი ჰელპფენმა გუნდს მაშინ 52 ქულა შესძინა და იმავე წელინადს ნოემბრის ტესტებისას სამხრეთ აფრიკაში გაემგზავრა ეროვნულ ნაკრებთან ერთად. მისი დებიუტიც იქ შედგა.

მომდევნო წელს ჰალპფენი კიდევ უფრო უკეთესად ათამაშდა და ყველაზე ახალგაზრდა მორაგბე გახდა, მათ შორის ვინც „ბრიტანელი ლომების“ შემადგენლობაში ბოლო 40 წლის განმავლობაში მიუწვევიათ. სამწუხაროდ, ლი დაშავდა და მისთვის ტურნე ამით დასრულდა. თუმცა მისი სწრაფი ზრდა და ელვისებური სიჩქარით განვითარებული კარიერა, უელსელი ახალგაზრდებისთვის სამაგალითო გახდა.

ტობი ფალეტაუ (ტონგა, უელსი)

ამ სიაში ის აუცილებლად ინდა შეგვეყვანა. ტობი ფალეტაუ ტონგადანაა, მისი მამა **კული ფალეტაუ 1999** წლის მსოფლიო თასის გათამაშებაში ტონგას ნაკრების ღირსებას იცავდა. ტობი უელსის ახალაგზრდულ ნაკრებში შარშან არგენტინაში გამართულ მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გამოჩნდა. მან იქ შესანიშნავად ითამაშა და წლეულს ეროვნულ ნაკრებშიც მიიწვიეს ექვს ერზე სათამაშოდ, თუმცა ბედმა უმუხთლა, დაშავდა და თამაში ვერ შეძლო.

მისი დებიუტი უელსის ნაკრებში ახლახან, „ბარბაროსებთან“ მატჩში შედგა და თავი არ შეურცხვენია, მეტიც, ვფიქრობთ, „ნიუპორტის“ უკანახაზელს წინ თავბრუდამხვევი კარიერა ელოდება.

პატრიკ ლამბიე (სამხრეთ აფრიკა)

ის დღესდღეობით მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ახალგაზრდა მორაგბეა. პატრიკ ლამბიე 2010 წლის მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე საუკეთესო მექუელე გახდა. ზე 14-ის გუნდ „ნატალ შარქსში“ მას დებიუტი 19 წლის ასაკში ჰქონდა. თუმცა ეს მხოლოდ „ქარის თასის“ გათამაშება იყო.

ლამბიე კიდევ უფრო პოპულარული მას შემდეგ გახდა, რაც 2010 წლის ნოემბერში ეროვნულ ნაკრებში პირველად ითამაშა ირლანდიასთან. იმ შეხვედრაში მან ლეგენდარული **მორნი სტეინი** შეცვალა. პატრიკმა ნოემბრის ტესტების ყველა მატჩში ითამაშა, ოთხი კეპი დაუგროვდა და ზე რაგბის ამჟამინდელ გათამაშებაში ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბეა. როგორც ჩანს, ის დიდ როლს ითამაშებს წლეულს ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასზე სამხრეთ აფრიკის ნაკრების წარმატებაში.

პატრიკ ლამბიე

● მსოფლიოს ჩემპიონატი. XV

ინგლისი-საფრანგეთი

ინგლისური რაგბის ოქროს თაობა

იტალიაში დასასრულს უახლოვდება მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი. ფინალში ერთმანეთის პირისპირ ინგლისისა და ახალი ზელანდიის ნაკრებები წარსდგებიან. „უმცროსმა პომებმა“ ნახევარფინალში ფრანგი თანატოლები დაამარცხეს - 33:18.

ფრანგმა 20-წლამდელებმა მეტოქეს მედგარი წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ ნახევარში გაუწიეს, თუმცა ტაიმი მაინც წააგეს –10 :13. ინგლისელმა მორაგბეებმა, რომლებიც თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ამ ქვეყნის რაგბის ოქროს თაობად, მეორე ნახევარში მეტოქეზე ზეწოლა კიდევ უფრო გააძლიერეს. აშკარად გამოიკვეთა მათი უპირატესობა შერკინებაში თამაშისას, რაც, ბუნებრივია, უკანახაზელებსაც ხელ-ფეხს უხსნიდა.

ინგლისელთა შორის ყველაზე შედეგიანი მგეზავი **ჯორჯ ფორდი** იყო, რომელმაც გუნდს 18 ქულა მოუტანა (ერთი ლელო, სამი საჯარიმო და ორი გარდასახვა).

მოლოდინისამებრ, მეორე ნახევარფინალურ წყვილში, ახალი ზელანდიის ახალგაზრდული ნაკრები იოლად გაუსწორდა ავსტრალიელ თანატოლებს - 37:7.

„უმცროსი ოლ ბლექსი“, რომელშიც ზე რაგბის გუნდების ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მორაგბე ასპარეზობს, ამ ტურნირის უდავო ფავორიტია. ახალ ზელანდიელთა გუნდში ნახევარფინალში გამორჩეული ფიგურა მგეზავი **გერეთ ანსკომბი** იყო, რომელმაც გუნდს 22 ქულა მოუტანა (ერთი ლელო, ოთხი გარდასახვა და სამი საჯარიმო).

ელიტაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში ხელი მოეცარათ იტალიისა და ტონგას ნაკრებებს, რომლებმაც, შესაბამისად, არგენტინისა და შოტლანდიის ნაკრებებთან წააგეს. ახლა მათ შორის დაპირისპირება გამოავლენს იმ გუნდის ვინაობას, რომელსაც მომავალ წელს სამხრეთ აფრიკაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე სამოას ნაკრები ჩაენაცვლება.

შეგახსენებთ, რომ სამოელებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლება წლეულს თბილისში გამართულ „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის“ გათამაშებაში მოიპოვეს.

ნახევარფინალი

IX ადგილისთვის

შოტლანდია-ტონგა 30:11, არგენტინა-იტალია 12:8

V ადგილისთვის

უელსი-ფიჯი 20:34, სამხრეთ აფრიკა-ირლანდია 57:15

I ადგილისთვის

ინგლისი-საფრანგეთი 33:18, ახალი ზელანდია-ავსტრალია 37:7

XI ადგილისთვის

იტალია-ტონგა

IX ადგილისთვის

შოტლანდია-არგენტინა

VII ადგილისთვის

უელსი-ირლანდია

V ადგილისთვის

ფიჯი-სამხრეთ აფრიკა

III ადგილისთვის

საფრანგეთი-ავსტრალია

ფინალი

ინგლისი-ახალი ზელანდია

● შავი ზღვის თასი

შავ ზღვაზე უკრაინას ვძლიეთ

რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში დაიწყო შავი ზღვის თასის გათამაშება 17-წლამდელ მორაგბეთა შორის. საქართველოს ნაკრები ამ შეჯიბრებაში სააასპარეზოდ **დავით ჩავლეიშვილისა** და **მამუკა ტყეშელაშვილის** ხელმძღვანელობით გაემგზავრა. „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ პირველი შეხვედრა უკრაინელ თანატოლებთან გამართეს და დიდი ანგარიშით 68:0 დაამარცხეს.

ჩვენმა გუნდმა მეტოქეს ათი ლელო გაუტანა, აქედან ორ-ორი **მურაზ გიორგაძის, ლაშა ლაშხიას** და **თეიმურაზ თუთბერიძისა** ანგარიშზეა, თითო ლელო მიითვალეს **გიორგი ნათელაშვილმა, ალექსანდრე ცისკარიშვილმა, გიორგი აფციაურმა** და **გიორგი ფრუიძემ.** აფციაურმა ცხრა გარდასახვა გამოიყენა.

ჩვენი მორაგბეები ფინალში, 25 ივნისს მასპინძელთა გუნდს დაუპირისპირდებიან, რომლებმაც რუს თანატოლებს 17:9 მოუგეს. აღსანიშნავია, რომ ამ გუნდების თამაში წუთიერი დუმილით დაიწყო. გასულ უქმეებზე საწვრთნელი შეკრებისას რუმინეეთის 17-წლამდელთა გუნდის მორაგბე **ადრიან რუტი** ტბაში დაიხრჩო.

საქართველო-უკრაინა 68:0

საქართველო: 15. გიორგი აფციაური, 14. მურაზ გიორგაძე, 13. ლაშა ლაშხია, 12. გიორგი ნათელაშვილი, 11. გიორგი ფრუიძე, 10. რევაზ ჯინჩელაშვილი, 9. რევაზ ბროძელი. 1. რამაზ მაზმიშვილი, 2. ბექა პირიაშვილი, 3. ალექსანდრე ცისკარიშვილი, 4. მიხეილ მასხარაშვილი, 5. შალვა შაშიაშვილი, 6. საბა შუბითიძე, 7. გიორგი გოგლიძე, 8. შოთა თევზაძე.

16. მიხეილ ბოდოკია, 17. ბექა ყარაგეზოვი, 18. გიორგი სალაძე, 19. ონისე მოგელაშვილი, 20. თეიმურაზ თუთბერიძე, 21. იოსებ ტუკვაძე, 22. ილია მელაძე, 23. დევი დევსურაშვილი, 24. ზურაბ ცუცქირიძე.

10ლ: გიორგაძე (2), ლაშხია (2), თუთბერიძე (2), ნათელაშვილი, ცისკარიშვილი, აფციაური, ფრუიძე. 9გ: აფციაური.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy.gov.ge

უცხოური სპორტი

● კალათბურთი. NBA დრაფტი 2011

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაპარსკვლავური დრაფტი

საერთოაზრით, 2011 წლის დრაფტზე წარმოდგენილ კალათბურთელებს შორის მომავალი სუპერვასკვლავები არ არიან. ყველა ამბობს - წლევანდელი ბაზარი სუსტია და მომავალი ახალბედებიდან ისეთი რიხით ვერავინ შეაბიჯებს ლიგაში, როგორც ეს **ბლეიკ გრიფინმა** ან **ჯონ უოლმა** გააკეთეს. თუმცა წელს მაინც მრავლად არიან მოთამაშეები, რომლებსაც აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება.

1. კაირი ირვინგი

გამთამაშებელი, დიუკი

კაირი ირვინგი ამ დრაფტის საუკეთესო მოთამაშეა. წესით და რიგით, სწორედ ის უნდა დაასახელონ პირველ ნომრად. კაირი 1992 წლის 23 მარტს მელბურნში დაიბადა. ეს ფაქტი იმით არის საინტერესო, რომ მას ორმაგი მოქალაქეობა აქვს და ცოტა ხნის წინ ავსტრალიის ნაკრებში თამაშის სურვილი გამოთქვა. 191 სანტიმეტრი სიმაღლისა და 87 კილოგრამი წონის გამთამაშებელმა შესანიშნავად დაიწყო სეზონი დიუკში, მაგრამ მერვე მატჩში ტრავმა მიიღო (ფეხის თითი მოიტეხა) და მხოლოდ „მარტის საგიჟეთისთვის" დაბრუნდა მოედანზე. სამთვიანი უთამაშებლობის ფონზე საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

ირვინგს ფენომენალური თვისებები აქვს შეტევაში. თითქმის ყველაფერი შეუძლია: სამქულიანები, კარგი შესვლა, სწრაფი გარღვევა, მოედნის ხედვა და რაც მთავარია, ბრწყინვალე პასი. ერთადერთი ნაკლი სუსტი დაცვაა, მაგრამ ამ მხრივ მომატების პოტენციალი გააჩნია. მას უკვე ადარებენ **კრის პოლს**.

2. დერეკ უილიამსი

ფორვარდი, არიზონა

ფენომენალური ათლეტი - 206 სანტიმეტრი და 109 კილოგრამი. მისი ვარსკვლავური საათი გახდა „მარტის საგიჟეთი", სადაც **უილიამსმა** ნამდვილი ლიდერის თვისებები გამოავლინა. არავინ ელოდა, რომ არიზონა ტოპ-რვაში შევიდოდა, მაგრამ გადალახა დიუკის ბარიერი.

ჯერ უცნობია, რა პოზიციაზე ითამაშებს დი-უილი NBA-ში. სავარაუდოდ, მსუბუქი ფორვარდი იქნება. როგორც ვთქვით, ფენომენალური ათლეტიზმით გამოირჩევა, მაგრამ ამას გარდა გრძელი ხელები აქვს, რაც მოხსნებსა და დაფარებებში დაეხმარება. კარგად მუშაობს ფეხებით, ფართან ზურგით მდგომს ეხერხება თამაში, ბურთს კარგად ფლობს და გარღვევებშიც ხშირად მიდის. ამას ემატება სამქულიანების გამოყენების კარგი პროცენტი. ნაკლი ის არის, რომ ხშირად იღებს ზედმეტ პერსონალურებს. თუ მძიმე ფორვარდს ითამაშებს, შესაძლოა, პრობლემები შეექმნას მაღლებთან დაცვაში მოქმედებისას. თუმცა პოტენციალი ძალიან დიდია.

3. ენეს კარჯერი

ცენტრი

მიუხედავად იმისა, რომ წელს NCAA-ის მატჩებზე არ დაუშვეს (იმ მიზეზით, რომ პროფესიულ ლიგაში ჰქონდა ნათამაშები), ის საუკეთესო ცენტრია ამ დრაფტზე. **კანტერი** 1992 წელს ციურიხში დაიბადა. ამერიკაში გადასვლამდე ევროპაში „ულქერის" შემადგენლობაში თამაში მოასწრო, შტატებში კი მხოლოდ სკოლის დონეზე გამოდიოდა.

211 სანტიმეტრი და 118 კილოგრამი - ასეთი გაბარიტებით ის სერიოზული ძალა იქნება ფარქვეშ ბრძოლაში. თურქი კარგად ირჯება მოხსნებზე, გრძნობს თამაშს, დაფარებაც შეუძლია (თუმცა ეს არ არის მისი ძლიერი მხარე). შესანიშნავი საშუალო ტყორცნა აქვს და კარგ დრიბლინგს ფლობს. ნაკლია არასაკმარისი ათლეტიზმი და დაცვაში სისწრაფის ნაკლებობა. დღეს იშვიათია ასეთი ახალგაზრდა კალათბურთელი, რომელსაც ზურგით ფართან ბრწყინვალე თამაში შეუძლია.

4. ბრენდონ ნაითი

გამთამაშებელი, კენტუკი

ნაითი ყველა დონეზე წარმატებული იყო და NBA-შიც არ დაიკარგება. ორჯერ აღიარეს ამერიკის სასკოლო კალათბურთის საუკეთესო მოთამაშედ, რის შემდეგაც კენტუკიში გადავიდა.

191 სანტიმეტრი სიმაღლის გამთამაშებელი კარგი მსროლელია. შესანიშნავად დაყენებულ საშუალო და შორეულ ტყორცნებს ფლობს. მდიდარი აქვს ტექნიკური არსენალი, რისი დახმარებითაც თავად იქმნის სასროლ სიტუაციას. ის კარგი პლეიმეიკერია, შესანიშნავია კონტრშეტევის დროს და ძალიან სწრაფია გარღვევებისას. ძალიან კარგი მცველი. ამასთან, ბრენდონი ჭკვიანი ბიჭია და კალათბურთში წარმატებების გარდა კარგად სწავლობს კოლეჯში.

რაც შეეხება ნაკლს, ხშირად კარგავს ბურთს, აგრეთვე ფიზიკურ მომზადებას უნდა მიაქციოს ყურადღება. მას ადარებენ ახალგაზრდა **გილბერტ არენასს**, თუმცა ნაითს სწორედ გამთამაშებლის პოტენციალი გააჩნია.

5. კემბა უოკერი

მცველი, კონეკტიკუტი

„მარტის საგიჟეთის" საუკეთესო მოთამაშე. ლიდერად და ბომბარდირად დაბადებული. მცირე გაბარიტების მიუხედავად (185 სმ, 83 კგ) ყოველთვის ჩანს მოედანზე. თამაშობდა კონეკტიკუტში, რომელთან ერთადაც წელს NCAA-ის ჩემპიონი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ **კემბა** გამთამაშებლის პოზიციაზე თამაშობს, ყველაზე კარგად მაშინ გრძნობს თავს, როცა თავად ფლობს ბურთს, რადგან შეტევაში ყველაფრის კეთება შეუძლია. უოკერს ძალიან კარგი ფიზიკური მონაცემები აქვს, დაუჯერებლად სწრაფია და ბრწყინვალედ გამოიყურება სწრაფი გარღვევის დროს. გარდა ამისა, მას შესანიშნავი დრიბლინგი, საშუალო და შორეული ტყორცნა გაჩნია, არ ეშინია კონტაქტის და ხშირად დგება საჯარიმოების ხაზზე.

ბევრი ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ უოკერი არ არის კარგი გამთამაშებელი, მაგრამ ის კარგად ხედავს მოედანს და პასების დარიგებაც იცის. შეუძლია დაცვაში თამაში, ჩაჭრების სპეციალისტია. ფენომენალურია ლიდერის ფუნქციები - არასოდეს ნებდება. მინუსი ის არის, რომ გამთამაშებლის ამპლუის მიუხედავად, პირველ რიგში სროლას ამჯობინებს, ვიდრე პასის მიცემას.

6. იან ვესელი

ფორვარდი

ევროპული კალათბურთის ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი მოთამაშე. ბუნებამ ეს ჩეხი უხვად დაჯილდოვა, მათ შორის, საღი გონებით - სათამაშო პრაქტიკის მისაღებად სერბულ „პარტიზანში" წავიდა. ეს კლუბი ხომ ახალგაზრდა კადრების ნამდვილი სამჭედლოა.

ბოლო სეზონში **ვესელიმ** კიდევ უფრო მოუმატა, არსად გამქრალა ჩვეული ათლეტიზმი: პირიქით, უფრო მეტი გახდა. უყვარს ძალისმიერი გარღვევებისას ეფექტური ჩატენვებით შეტევის დასრულება. მოუმატა სისწრაფეს, კარგად იმუშავა სროლებზე...

იანის მთავარი პრობლემა გახლავთ ე. წ. „სათამაშო IQ". ახალგაზრდა ჩეხი ხშირად ამოვარდნილია დაცვითი სქემებიდან, კარგავს თავის ოპონენტებს, იღებს არასაჭირო ფოლებს. თუ საკუთარი თამაშიდან მოაშორებს ასეთ სისულელეებს, შეიძლება ღირებული კადრი გახდეს საკალათბურთო ბაზარზე.

7. კევინ ლეონარდი

ფორვარდი, სან დიეგო

ლეონარდმაც გამოიჩინა თავი „მარტის საგიჟეთის" დროს. სწორედ ამ სეზონის შემდეგ გაიცნო ის ფართო საზოგადოებამ. სამი წლის წინ მას მამა მოუკლეს და ეს ტრაგედია კიდევ უფრო მეტ მოტივაციად ექცა - საკალათბურთო წარმატებები მშობელს მიუძღვნა. კევინი გამორჩეულია არანორმალური შრომისუნარიანობით და ამას თავისი ნაყოფი მოაქვს. მას შეუძლია მატჩის



შედეგზე იქონიოს გავლენა იმის მიუხედავად, რომ შეტევა არ არის მისი ძლიერი მხარე.

მსუბუქი ფორვარდი ლეონარდი (201 სმ, 103 კგ) შესანიშნავი მცველია, რომელსაც დაცვაში რამდენიმე პოზიციაზე შეუძლია თამაში. კარგია ორივე ფართან მოხსნებისას. ეხერხება კონტრშეტევაზე თამაში, ბრწყინვალედ არიგებს პასებს, შესანიშნავი დრიბლინგი აქვს და ბურთის ფლობა კარგად გამოსდის. ეს ახალგაზრდა ბიჭი არასოდეს ნებდება და ყოველი ბურთისთვის ბოლომდე იბრძვის. ნაკლი გახლავთ არასტაბილური ტყორცნა საშუალო და შორი მანძილებიდან, აგრეთვე ზედმეტად ერთობა დრიბლინგით.

ლეონარდმა ყოველ წელს უნდა მოუმატოს თამაშს.

8. იონას ვალანჩიუნასი

ცენტრი

მისი პროგრესი ევროპულ კალათბურთში უსწრაფესი იყო. დიდი ხანი **იონასის** ვარსკვლავისა არ სჯეროდათ, იქამდე, სანამ მარტო არ დაიწყო მატჩების მოგება ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე - შარშან ზაფხულში ლიტვის ნაკრებს ევროპული ტიტული მოაპოვებინა. ამის შემდეგ მისთვის თვალი არ მოუცილებიათ.

იშვიათად, რომ ევროპელ კალათბურთელს ერთდროულად ჰქონდეს ასეთი გრძელი ხელები და ბურთის გრძნობა. თითქოს ლიტველმა სროლამდე იცის, საით ნავა ფარიდან ასხლეტილი ბურთი. სამუშაო აქვს შეტევაში ტექნიკურ არსენალზე, გარდა ამისა, ძალიან გამხდარია.

ვალანჩიუნასს დაცვა შეუძლია - დაფარებაც ეხერხება და მეტოქის ჩიხში შეყვანას. მოკლედ, ის კლასიკური ევროპელი ცენტრია, რომელსაც ყველა შანსი აქვს პირველი გახდეს მრავალი წლის განმავლობაში. თუმცა ამისთვის ძალიან ბევრი უნდა იმუშაოს საკუთარ თავზე.

9. ალეკ ბრუქსი

მცველი, კოლორადო

შემტევი მცველი კოლორადოს უნივერსიტეტიდან, მისი სიმაღლეა 198 სანტიმეტრი, წონა - 88 კილოგრამი. **ბრუქსი** კარგი ათლეტია, თავად იქმნის სასროლ პოზიციას, საჯარიმოების გამოყენების მაღალი პროცენტი აქვს და კარგად გამოიყურება სწრაფი გარღვევისას. ალეკი ორივე ფარზე კარგად მოქმედებს და პარტნიორებზე მუშაობაც შეუძლია. ყველაზე კომფორტულად გრძნობს თავს ბურთით ხელში.

მისი ნაკლია არასტაბილური საშუალო და შორი ტყორცნები, მაინც და მაინც კარგი არ არის დაცვაში, ხანდახან ბევრს იღებს საკუთარ თავზე. ბრუქსი საუკეთესო შემტევი მცველია ამ დრაფტზე, ასე რომ, მასზე მოთხოვნილება იქნება.

10. ტრისტან თომპსონი

ფორვარდი, ტექსასი

მიუხედავად იმისა, რომ კანადაში დაბადებული **ტრისტანი** მხოლოდ 204 სანტიმეტრია, ის შესანიშნავად გრძნობს თავს ორივე ფართან. მას ძალიან გრძელი ხელები და მაღალი ნახტომი აქვს, რაც უამრავი მოხსნისა და დაფარების შეგროვების საშუალებას მისცემს. დაცვაში პერსონალური მეურვეობისას შესანიშნავად მოქმედებს და ამასთან, ხშირად აზღვევს პარტნიორებს.

ტომპსონს მაღალი სისწრაფე აქვს, რისი წყალობითაც ეფექტურია ფარქვეშ შესვლებისას. ბოლომდე ერთგულია თამაშის და ერთი წამით არ ეთიშება ბრძოლას. ნაკლი კი ის არის, რომ მძიმე ფორვარდისთვის მაინც მცირე გაბარიტები აქვს, არ აქვს განვითარებული საშუალო და საჯარიმო ტყორცნები.

მგლები უმწვრთნელოდ დარჩნენ

გუშინდელი დღის მთავარი ამბავი, რა თქმა უნდა, „მინესოტას" აწ უკვე მთავარ მწვრთნელ **კურტ რემბისს** უკავშირდება. კლუბის ხელმძღვანელობას ჯერ არ დაუდასტურებია, თუმცა უკვე გადაწყვეტილი ამბავია, რომ ეს სპეციალისტი დაითხოვეს „მგლების" რიგებიდან. გასულ სეზონში რემბისის შეგირდებმა მხოლოდ 17 მატჩი მოიგეს, ერთი წლით ადრე კი „მინესოტას" ანგარიშზე მხოლოდ 15 გამარჯვება იყო. შეგახსენებთ, რომ რემბისმა მანამდე ცხრა წელი იმუშავა „ლეიკერსის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტის როლში.

■ ■ ■

ჭორების მორიგი პორცია მივიღეთ ოკეანის გაღმიდან. მაგალითად, „ლეიკერსთან" დაახლოებული წყარო იუწყება, რომ კალიფორნიული გრანდი „დენვერიდან" **რაიმონდ ფელტონის** გადაბირებით არის დაინტერესებული. „ლეიკერსის" დაინტერესება გასაგებია: **დერეკ ფიშერი** უკვე ძალიან „ბებერია", **სტივ ბლეიკმა** კი ვერ გაამართლა იმედები. საინტერესო ის არის, სანაცვლოდ რას სთავაზობენ „ნაგეტსს" - ფელტონი საკმაოდ კვალიფიციური კადრია.

■ ■ ■

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, „სან ანტონიო სპურსის" ხელმძღვანელობა დრაფტზე მაღალი ნომრის მიღებას ცდილობს და ამისთვის მზად არის, თავის ერთ-ერთ ლიდერს, გამთამაშებელ **ტონი პარკერს** შეელიოს.

როგორც აღმოჩნდა, „სან ანტონიო" ლიტველი ცენტრის **იონას ვალანჩიუნასის** ხელში ჩასაგდებად არის ასე მონდომებული.

■ ■ ■

ამასობაში, „ნიუ იორკ ნიქსი" აპირებს **ჩონსი ბილაპსის სტივ ნეშში** გაცვლას, - წერს გაზეთი „ნიუ იორკ პოსტი". ამით **მაიკ დ'ანტონი** აღადგენს მის საყვარელ დუეტს: ნეში-**ამარე სტაუდმაიერი**. ამით „ნიქსის" მწვრთნელმა ყველას მიანიშნა, რომ მისთვის დაცვაში თამაში არ არის მთავარი.

■ ■ ■

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ცოცხალმა ლეგენდამ, „მაიამი ჰიტის" გენერალურმა მენეჯერმა **პატ რაილიმ** სააგენტო AP-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ არ აპირებს სამწვრთნელო კარიერის განახლებას და სრულად ენდობა გუნდის დღევანდელ მწვრთნელს **ერიკ სპოელსტრას**. ეს უკანასკნელი პლეი ოფში მართლაც უნარიანად ხელმძღვანელობდა გუნდს, მაგრამ მაინც საინტერესო იქნებოდა ლეგენდარული რაილის გაწვრთნილი „დიდი ტრიოს" ხილვა.

რემბისმა მგლებში ვერ გაამართლა

■ ■ ■

კიდევ ერთი ინფორმაცია „მაიამის" ბანაკიდან. „ჰიტის" ვეტერანმა ცენტრმა **ჟიდრუნას ილგაუსკასმა** გადაწყვიტა, აამოქმედოს მის კონტრაქტში არსებული პუნქტი და კიდევ ერთი წლით დარჩეს ფლორიდელთა რიგებში. ამის სანაცვლოდ ლიტველი 174 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

გასულ სეზონში ილგაუსკასი 51-ჯერ მოხვდა სასტარტო ხუთეულში, თუმცა პლეი ოფში თითქმის არ დახმარებია გუნდს. ამის გამო აგორდა ჭორი იმის შესახებ, რომ 36 წლის ცენტრი თამაშს ასრულებდა, მაგრამ ლიტველმა კარიერის ერთი წლით გახანგრძლივება გადაწყვიტა.

■ ■ ■

„საკრამენტო კინგზმა" 2012-13 წლების სეზონის ბოლომდე გააგრძელა კონტრაქტები სამ წამყვან კალათბურთელთან - მცველ **ტაირიკ ევანსთან**, ფორვარდ **ომრი კასპისთან** და ცენტრ **დემარკუს კაზინსთან**. ამის შესახებ „კინგზის" ოფიციალური პრესრელიზი იუწყება.

ევანსი, კასპი და კაზინსი გასულ სეზონში საშუალოდ 17.8, 8.6 და 14.1 ქულას აგროვებდნენ.

■ ■ ■

ესპანეთის ჩემპიონს „ბარსელონას" „მილუოკის" ერთ-ერთი ლიდერის **ერსან ილიასოვას** დაბრუნება აქვს განზრახული. ბოლო წლებში თურქი კალათბურთელი ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ ჩამოყალიბდა და სავარაუდოდ, არ მოისურვებს NBA-ის დატოვებას, თუმცა ლიგაში ლოკაუტია მოსალოდნელი, ასე რომ, გამორიცხული არაფერია.

■ ■ ■

წლევანდელი დრაფტის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე **ენეს კანტერი** დიდად არ ლამობს მომავალ ევრობასკეტზე თურქეთის ნაკრებისთვის დახმარებას.

როგორც ახალგაზრდა კალათბურთელი ამბობს, აგვისტოში კონტინენტის პირველობაზე იმ შემთხვევაში ითამაშებს, თუ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ლოკაუტი გამოცხადდება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

● ჩოგბურთი. უიმბლდონის 10 დიადი მატჩი

ყველაზე უცნაური უიმბლდონი



ეს მართლაც ყველაზე უცნაური უიმბლდონი იყო. სენსაციები და მოულოდნელი შედეგები პირველივე წრიდან დაიწყო. თავიდან უსიამოვნო სენსაცია შესთავაზა თავის თაყვანისმცემლებს მესამე ნომრად განთესილმა **ანდრე აგასიმ**, რომელმაც ოთხ სეტში წააგო უნიკალურ **დუგ ფლეჩთან**. ბევრი იტყვის, რომ არ ახსოვს ასეთი ჩოგბურთელი. შესაძლოა, ასეც იყოს - ფლეჩი არასოდეს ასულა ATP-ის რეიტინგში 108-ე პოზიციაზე ზემოთ, მაგრამ არც ისეთ მოთამაშეს ვიცნობთ ბევრს, რომლებსაც კარიერაში დადებითი ბალანსი ჰქონდეთ **ლენდლთან, რაფტერთან, კუერტენთან, იოჰანსონთან** და **აგასისთან** შეხვედრებში. რა თქმა უნდა, ასეთი კურიოზი შემთხვევითობის ბრალია, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ აგასიმ ფლეჩთან მომდევნო წელს, ვაშინგტონის ტურნირზეც წააგო.

საერთოდ, აგასის 1996 წელს ცუდი პერიოდი ჰქონდა. იმ სეზონში მისი ერთადერთი სერიოზული წარმატება ატლანტის ოლიმპიადის მოგება იყო... თუმცა დღეს ანდრეზე არ გვექნება ლაპარაკი. არც მის პრინციპულ მეტოქეზე - **პიტ სამპრასზე**, რომელიც პირიქით, კარიერის ზენიტში იმყოფებოდა. პიტი ზედიზედ სამი წელი იგებდა უიმბლდონს და **ბორგის** რეკორდს უმიზნებდა - ზედიზედ ხუთჯერ უნდოდა უიმბლდონის მოგება. და არც ჩანდა ჩოგბურთელი, რომელიც მას ამ მიზნის შესრულებაში ხელს შეუშლიდა. ასე იყო მეოთხედფინალამდე.

რიხარდ კრაიჩეკი ადრე არასოდეს ბრწყინავდა უიმბლდონზე. ბრიტანულ ბალახზე მისი უმაღლესი მიღწევა 1993 წელს მეოთხე რაუნდში გასვლა იყო, სადაც მან დიდი წინააღმდეგობა გაუწია აგასის, მაგრამ ერთი სეტიც ვერ მოიგო. მომდევნო ორ წელს ჰოლანდიელმა თავი შეირცხვინა - პირველი წრიდან გამოეთიშა ტურნირს. ამიტომაც, სამპრასის წინააღმდეგ მეოთხედფინალში მას სერიოზულად არავინ აღიქვამდა. მთავარ ფავორიტთან მატჩში ჰოლანდიელმა მარტივი ტაქტიკა აირჩია - კონცენტრირებული იყო საკუთარი მოწოდების შენარჩუნებაზე და შეძლებისდაგვარად ბრძოლის გაჩაღებას აპირებდა მეტოქის გეიმებში. ორჯერ მან შეძლო ბრეიკის აღება, კიდევ ერთი სეტი ტაი-ბრეიკზე აიღო. კრაიჩეკი მთავარი სენსაციის ავტორი გახდა, ნახევარფინალში არ მოდუნდა, სამ სეტში გაანადგურა **ჯეისონ სტოლტენბერგი** და ფინალში გავიდა.

თუმცა რიხარდი არ გამხდარა ფინალის ყველაზე მოულოდნელი მონაწილე. არანაკლებ სენაციური იყო იქ **მალივეი ვაშინგტონის** გასვლა. ამ ამერიკელს მანამდე არასოდეს გაუღწევია „დიდი სლემის“ ტურნირებში მეოთხე წრეზე შორს, გარდა ამისა, საჩოგბურთო საზომით უკვე სოლიდურ ასაკში იყო და მისი საუკეთესო წლები, როცა მსოფლიოს რეიტინგში მე-11 ადგილს იკავებდა, წარსულს ჩაჰბარდა. რაც მთავარია, იმ მეორე შავკანიანი ჩოგბურთელი იყო, ვინც უიმბლდონის ფინალამდე მიაღწია. პირველი **არტურ ეში** გახლდათ - ვაშინგტონამდე 21 წლით ადრე. მაგრამ ეში ლეგენდა იყო, მოკრძალებული აფროამერიკელი ვაშინგტონი კი ერთი რიგითი ჩოგბურთელი. ამიტომაც მოინათლა მისი ფინალში გასვლა გმირობად.

გარდა იმისა, რომ ფინალში სენსაციური წყვილი მივიღეთ, მთავარი უცნაურობა ჯერ კიდევ წინ იყო. 90-იან წლებში უიმბლდონზე თანდათან იკლო სნობიზმმა და იქაური ტრადიციების უზენაესობამ, მაგრამ ის, რაც ფინალის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე მოხდა, უიმბლდონს არასოდეს უნახავს. 24 წლის სტუდენტი **მელისა ჯონსონი** ტურნირის მსვლელობისას ოფიციანტად მუშაობდა. როგორც კი მოთამაშეები კორტზე გავიდნენ, ისიც მოედანზე შევარდა. აქ არ გამმეორებულა **მონიკა სელეშის** ისტორია - მელისას ცუდი განზრახვა არ ჰქონია... უბრალოდ, გოგონას ოფიციანტის წინსაფარი ეცვა, მის შიგნით კი არაფერი. ცენტრალური კორტის მაღალი საზოგადოება შოკირებული იყო, არანაკლებ განცვიფრებული ჩანდა **მალივეი ვაშინგტონი**. მისი სიტყვებით, როგორც კი ის თამაშზე კონცენტრირებას ცდილობდა, თვალწინ მაშინვე სიმპატიური სტრიკერის სხეული წარმოუდგებოდა... ასე რომ, მელისას კორტზე გამოვლამ ერთ კაცს მაინც გაუფუჭა საქმე.

შედეგად მივიღეთ ძალიან მოკლე ფინალი. რთული სათქმელია, კრაიჩეკის მებრძოლმა ხასიათმა იმოქმედა თუ მისმა უფრო მაღალმა კლასმა, მაგრამ ამერიკელმა მხოლოდ საათი და 33 წუთი გაძლო. ჰოლანდიელმა დამაჯერებლად მოიგო პირველი სეტი - 6:3, მაგრამ ოდნავ დაკარგა სათამაშო რიტმი მეორე სეტში. რიხარდმა ის პარტია ბოლოსკენ მოიგო, როცა გადამწყვეტ გათამაშებაში მალივეიმ ჰაერიდან მარტივი დარტყმისას შეცდომა დაუშვა - 6:4. მესამე სეტში ჰოლანდიელმა ორჯერ ზედიზედ აიღო მეტოქის მოწოდება და 4:1 დაწინაურდა. მისი სიტყვებით, სწორედ ამ მომენტში დაიჯერა, რომ ჩემპიონი გახდებოდა. როგორც კი ირწმუნა, მაშინვე „ცივი შხაპი“ მიიღო მეტოქისგან - ვაშინგტონმა ბრეიკით უპასუხა რიხარდს. ამის შემდეგ კრაიჩეკი დამშვიდდა და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა - 6:3. ის პირველი ჰოლანდიელი გახდა, ვინც უიმბლდონი მოიგო.

რიხარდი ბოლომდე ერთი ტურნირის ჩოგბურთელად დარჩა. 1998 წელს მან უიმბლდონის ნახევარფინალი წააგო **გორან ივანიშევიჩთან** (რომლის წინააღმდეგაც თამაში არ იცოდა), 2002 წელს კი ერთწლიანი შესვენებიდან დაბრუნების შემდეგ მეოთხედფინალამდე მიაღწია. ამისთვის მან ATP-ის პრიზი მიიღო - „წლის დაბრუნება“. ვაშინგტონმა იმ ცნობილი ფინალიდან ზვიდი თვის თავზე დევისის თასზე ითამაშა ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ და მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო. ოპტიმალური ფორმის აღდგენის ორწლიანმა მცდელობამ შედეგი არ მოიტანა და 1999 წელს ამერიკელმა კარიერა დაასრულა. დღეს ის წარმატებით მუშაობს სპორტულ მიმომხილველად და ყოველ წელს ამზადებს მასალებს როტერდამის ტურნირისთვის (ABN AMRO World Tennis Tournament), რომლის დირექტორი 2004 წლიდან... რიხარდ კრაიჩეკია.

ბოლოს ჰოლანდიელის იღბალის შესახებ. თავის წიგნში - „სწრაფი ბურთები“, რომელიც ექვსი წლის წინ გამოვიდა, კრაიჩეკმა დაწერა იმის შესახებ, რომ იმ ტრიუმფულ უიმბლდონზე წესით არ უნდა ყოფილიყო განთესილებს შორის და ბოლო მომენტში შეცვალა ტრავმირებული **ტომას მუსტერი**. ამით რიხარდმა ადრეულ ეტაპზე გორან ივანიშევიჩთან შეხვედრა აიცილა თავიდან. შემდეგ კი მრისხანე ხორვატი მოულოდნელად მეოთხედფინალში სტოლტენბერგთან დამარცხდა, რომელიც ჰოლანდიელისთვის პრობლემა არ ყოფილა. რა თქმა უნდა, კრაიჩეკს ყველზე რთულ მეტოქესთან - პიტ სამპრასთან მოუწია თამაშმა, მაგრამ აქ ერთი საინტერესო დეტალი უნდა გავითვალისწინოთ: კარიერის განმავლობაში რიხარდმა ათჯერ ითამაშა დიადი ამერიკელი წინააღმდეგ და ექვსჯერ გამარჯვებული გამოვიდა.

ასე რომ, იღბალმა ისურვა რიხარდ კრაიჩეკი გამხდარიყო უიმბლდონის უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უცნაური გათამაშების ჩემპიონი.

● ᲩᲮᲔᲚᲘᲡᲐᲖᲔ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲛᲡ. ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

UNDER 17

ᲑᲣᲠᲙᲘᲜᲐ ᲤᲐᲡᲝ-ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ	0:3
ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ-ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ	0:1

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

ᲡᲞᲐᲠᲢᲐ-ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲘ	0:2
ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐ-ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲘ	2:2
ᲤᲝᲠᲢᲣᲜᲐ-ᲙᲚᲣᲒᲘ	2:1 ᲒᲔᲬᲧᲓᲐ

ᲨᲕᲔᲦᲔᲗᲘ

ᲔᲠᲔᲑᲠᲝ-ᲘᲣᲠᲒᲝᲠᲓᲔᲜᲘ	1:2
ᲡᲘᲠᲘᲐᲜᲡᲙᲐ-ᲛᲘᲐᲚᲒᲘᲣ	3:1
ᲙᲐᲚᲛᲐᲠᲘ-ᲒᲐᲘᲡ	2:1
ᲛᲐᲚᲛᲘᲝ-ᲒᲔᲤᲚᲔ	0:0
ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲒᲑᲝᲠᲒᲘ-ᲢᲠᲔᲚᲔᲑᲝᲠᲒᲘ	7:3

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ᲐᲢᲕᲘᲓᲐᲑᲔᲠᲒᲘ-ᲡᲣᲜᲓᲡᲕᲐᲚᲘ	2:0
ᲑᲠᲝᲛᲐᲠᲘᲝᲙᲐᲠᲜᲐ-ᲚᲐᲜᲓᲡᲙᲠᲝᲜᲐ	1:1
ᲙᲘᲕᲘᲓᲘᲜᲒᲘ-ᲝᲡᲢᲔᲠᲘ	1:1

ᲤᲘᲜᲔᲗᲘ

ᲘᲣᲕᲘᲐᲡᲙᲘᲣᲚᲐ-ᲰᲝᲜᲙᲐ	2:2

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ᲰᲙᲯᲡ-ᲙᲔᲛᲘ	5:0
ᲰᲐᲛᲘᲔᲜᲚᲘᲜᲐ-ᲔᲡᲞᲝᲠ	2:3

ᲘᲚᲚᲐᲜᲓᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲒᲝᲚᲣᲜᲒᲐᲠ.-ᲑᲠᲔᲘᲓᲐᲑᲚ.	1:1 დ.დ. 4:1
ᲠᲔᲘᲙᲘᲐᲕᲘᲙᲘ-ᲰᲐᲤᲜᲐᲠᲘ	2:0

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲔᲕᲠᲝᲒᲐᲚᲘᲒᲐ 2011

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ-ᲚᲘᲗᲕᲐ	63:64
ᲒᲔᲚᲐᲠᲣᲡᲘ-ᲠᲣᲡᲔᲗᲘ	62:51
ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ-ᲩᲔᲩᲔᲗᲘ	51:56

● TV ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

24 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ

GMG-ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

10:00 სუპერმატჩი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-არსენალი.
12:00 სეზონის შეჯამება. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ვიტესი.
13:00 ჩემპიონის გზა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბრესტი-ლილი.
15:00 სეზონის შეჯამება. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი.
15:30 ტელეჟურნალი - საფეხბურთო სამყარო.
16:00 ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. უიმბლდონი. V დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
23:30 ჩემპიონის გზა. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ინტერი.
01:30 სეზონის შეჯამება. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი.

GMG-ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

10:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-ბაია.
11:45 კალათბურთი. ევროლიგა. მონტეპასკი-ეფესი.
13:35 ყოველკვირეული ჟურნალი - ემოციები.
14:00 ჩოგბურთი. უიმბლდონის მიმოხილვა.
15:00 ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. უიმბლდონი. V დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

HTB-ᲞᲚᲣᲡᲘ (ᲡᲞᲝᲠᲢᲘ)

23:00 რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. უორინგტონი-სტ. ელენსი (LIVE).

HTB-ᲞᲚᲣᲡᲘ (ᲩᲝ�გᲑᲣᲠᲗᲘ)

14:55 უიმბლდონი. V დღე. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

HTB-ᲞᲚᲣᲡᲘ (ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ)

17:25 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მეორე ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-ლატვია. პოლონეთი (LIVE).
22:25 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მეორე ჯგუფური ეტაპი. ჩერნოგორია-საფრანგეთი. პოლონეთი (LIVE).

EUROSPORT

00:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. იაპონია-არგენტინა. მექსიკა (LIVE).

EUROSPORT-2

14:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი - სინგაპურის თასი. 1/2 ფინალი (LIVE).
16:45 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი - სინგაპურის თასი. 1/2 ფინალი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. კონკაკაფის ჩემპიონატი - ოქროს თასი. 1/2 ფინალი. აშშ (LIVE).
00:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. იამაიკა-საფრანგეთი. მექსიკა (LIVE).

● ᲰᲝᲙᲔᲘ. NHL

მთავარი პრიზი პერის ერგო

ᲚᲘᲒᲐᲛ ᲞᲠᲘᲖᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲠᲘᲒᲐ

ᲚᲐᲡ ᲕᲔ�გᲐᲡᲨᲘ ᲰᲝᲙᲔᲘᲡ ეროვნული ლიგის სეზონის დახურვამ საზეიმო ატმოსფეროში ჩაიარა. აქ შეიკრიბნენ რეგულარული ჩემპიონატის მთავარი პრიზების მაძიებელი ნომინანტები. რა თქმა უნდა, მთავარი ინტრიგა იმაში მდგომარეობდა, ვინ მიიღებდა სეზონის უძვირფასესი მოთამაშის ტიტულს. MVP-ს ჟურნალისტები ირჩევდნენ, ნომინანტი კი სამი იყო - **მარტინ სან ლუი** („ტამპა ბეი“), **დანიელ სედინი** („ვანკუვერი“) და **კორი პერი** („ანაჰაიმი“).

ბევრისთვის მოულოდნელად, „ჰარტ მემორიალ ტროფის“ მფლობელი კორი პერი გახდა.

„სიმართლე გითხრათ, არ ველოდი ამას და როცა ჩემი გვარი გამოაცხადეს, ძალიან გამიკვირდა. მინდა მადლობა გადავუხადო პარტნიორებს, რომელთა გარეშე ამ წარმატებას ვერ მივაღწევდი. ეს განსაკუთრებული გრძნობაა“, - განაცხადა პერომ, რომელიც ბომბარდირთა დავაში 98 ქულით (50+48) მესამე იყო სწორედ დანიელ სედინისა და სან ლუის შემდეგ. სამაგიეროდ, სეზონში ყველაზე მეტი გოლი გაიტანა და ამის სანაცვლოდ სნაიპერისთვის განკუთვნილი პრიზი - „მორის რიშარ ტროფი“ მიიღო.

„ბოსტონის“ გოლკიპერმა **ტიმ ტომასმა** სეზონში მეორედ დაამარცხა „ვანკუვერის“ მეკარე **რობერტო ლუონგო**: პირველად ეს სტენლის თასის ფინალში მოხდა, მეორედ „ვეზინა ტროფისთვის“ ბრძოლაში - სწორედ ეს პრიზი გადაეცემა სეზონის საუკეთესო მეკარეს.

ტომასი რეგულარულ სეზონში საშუალოდ 2.0 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 93.8 პროცენტს იგერიებდა. მის აქტივში ცხრა „შათაუტია“.

„ჩვენ მოვიპოვეთ სტენლის თასი და ეს უდიდესი წარმატებაა. რეგულარული ჩემპიონატის შემდეგ არანაირ ინდივიდუალურ პრიზზე არ ვფიქრობდი“, - აღიარა ტომასმა, რომელიც „ბოსტონმა“ თავის დროზე მეკარეების დეფიციტის გამო ფინეთის ჩემპიონატიდან გამოიძახა.

პრიზების გარეშე არც დანიელ სედინი დარჩენილა. მან ორი ჯილდო მიიღო - „არტ როს ტროფი“, რომელსაც სეზონის საუკეთესო ბომბარდირს გადასცემენ და „ტედ ლინდსეი ევორდი“. ამ პრიზს იღებს ჰოკეისტი, რომელსაც თავად მოთამაშეები ასახელებენ სეზონში საუკეთესოდ. შვედი ერთადერთი იყო ამ სეზონში, ვინც ასქულიან ზღვარს გადასცდა - 104 ქულა (41+63).

სედინის თანამემამულე **ნიკლას ლიდსტრიომი** („დეტროიტი“) კარიერაში მეშვიდედ (!) გახდა NHL-ის საუკეთესო მცველი. *„ეს არარეალურია - შვიდი „ჯეიმს ნორის ტროფის“ მოგება, თანაც კარიერის ამ ეტაპზე,* - აღიარა ლიდსტრიომმა. - *ძალიან ვამაყობ ამით და ჯერ კიდევ მაქვს ძალა ვიბრძოლო მერვე ტიტულისთვის“.*

ყველაზე მეტი „ჯეიმს ნორისი“ ლეგენდარულ **ბობი ორს** აქვს მოგებული - ის რვაჯერ დასახელდა ლიგის საუკეთესო მცველად. ლიდსტრიომი წელს მცველებს შორის შედეგიანობით მეორე იყო - 62 ქულა (16+46).

დაცვითი ყაიდის საუკეთესო ფორვარდი გახდა ვანკუვერელი **რაიან კესლერი**. ამისთვის მას „ფრენკ სელკე ტროფი“ გადაეცა. *„არ დამავიწყდება წლევანდელი სეზონი - 41 შაიბა და მოგებული „სელკე ტროფი“*, - აღიარა კესლერმა. - *მამაჩემი დიდი ხანი მიყვიროდა ტრიბუნებიდან, რომ დაცვისთვის მიმექცია ყურადღება და ხომ ხედავთ, ამან შედეგი გამოიღო“.*

საუკეთესო მწვრთნელი („ჯეკ ადამს ევორდი“) გახდა „პიტსბურგის“ დამრიგებელი **დენ ბაილსმა**, საუკეთესო ახალბედა („კოლდერ მემორიალ ტროფი“) - **ჯეფ სკინერი** („კაროლინა“). მან სეზონი 63 ქულით (31+32) დაასრულა. წლის გენერალური მენეჯერია **მაიკ გილისი** „ვანკუვერიდან“.

წლის ჯენტლმენი გახდა **მარტინ სან ლუი**, რომელმაც მთელი სეზონის განმავლობაში მხოლოდ 14 წუთი საჯარიმო დრო მიიღო.

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ
ᲒᲘᲐ ᲗᲘᲕᲐᲚᲐᲒᲔᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ



ოლიმპიადაზე უიმბლდონი სხვანაირი იქნება

სანამ უიმბლდონის კორტებზე საჩოგბურთო ბატალიები მიმდინარეობს, თავად კლუბის თანამშრომლები ორმაგ რეჟიმში დაძაბული მუშაობენ. შორს არ არის ის დღე, როცა უიმბლდონს XXX ოლიმპიური თამაშები ესტუმრება. სწორედ 2012 წლის ცხელი ზაფხულისთვის ემზადებიან კლუბში.

ზუსტად 13 თვეში უიმბლდონი ლონდონის ოლიმპიადის საჩოგბურთო ტურნირს უმასპინძლებს და საჩოგბურთო არენის ტრადიციული იასამნისფერი და მწვანე ფერები დროებით უფრო ნათელი ფერით (ჯერ უცნობია რომლით) შეიცვლება. გაისად უიმბლდონის ტურნირის დასრულებიდან 20 დღის თავზე ამავე კორტებზე დაიწყება ოლიმპიადის საჩოგბურთო ტურნირი. ამოცანაა, ძალიან მოკლე დროში ცნობილი არენა ოლიმპიურ ყაიდაზე მოაწყონ.

რა თქმა უნდა, სპორტის სახეობა იგივეა, მაგრამ საჭიროა გარკვეული ტექნიკური ცვლილებების განხორციელება. ნლევანდელი უიმბლდონის მსვლელობისას ლონდონის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი უშუალოდ ადგილზე ატარებს პერსონალის შემოწმებას, სნავლობს თითოეული სპორტსმენის მოთხოვნებს, რათა წინასწარ იცოდეს, რა ცვლილებების განხორციელება იქნება საჭირო მომავალ წელს.

მხოლოდ კორტების გარეგანი სახე არ შეიცვლება. უიმბლდონისგან განსხვავებით, ოლიმპიადის ტურნირის მონაწილეებისთვის სავალდებულო არ იქნება თეთრი ფერის სამოსის ტარება. ჩოგბურთელები ეროვნულ ფერებში გადაწყვეტილ ფორმებში გამოეწყობიან. ტრიბუნებიც უფრო „ჭრელი“ იქნება. საორგანიზაციო კომიტეტის მთავარი მიზანია, ოლიმპიური ტურნირი მაქსიმალურად განსხვავებული იყოს უიმბლდონისგან.

„კლუბთან მჭიდრო კონტაქტში ვმუშაობთ, რადგან ძალიან არ გვინდა ოლიმპიური ტურნირი მეორე უიმბლდონად იქცეს, მით უმეტეს, მისი დასრულებიდან სამი კვირის თავზე, - ამბობს საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელი **დები ჯევანსი**. - *ამტომაც ბევრს ვმუშაობთ იმისთვის, რომ ტურნირმა უნიკალური ატმოსფერო შეიძინოს. ზოგიერთი რამ არ შეიცვლება, მაგალითად, კორტის ბალახის საფარი. მოკლედ, ხალხი დაინახავს, რომ ერთის მხრივ, ეს იგივე უიმბლდონია, მაგრამ მეორეს მხრივ - სულ სხვა, უნიკალური სანახაობა“.*

ჯევანსი არ ამხელს საიდუმლოს - რა ფერებში შეიმოსება კორტები, თუმცა ამბობს, რომ უკანა ფონი წესების თანახმად მუქი იქნება. კორტი და მისი შემოგარენი არ იქნება აჭრელებული რეკლამით, რადგან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი არ ცნობს ასეთ კომერციას. დაშვებული იქნება მხოლოდ სპორტსმენების ინვენტარზე და სათამაშო ფორმაზე მწარმოებელთა ლოგოტიპები.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა - ბალახის აღდგენა სამი კვირის განმავლობაში. საფარის სპეციალისტი **ედი სიუარდი** ექსპერიმენტს ატარებს უკვე გაღვივებული თესლით, რათა კორტები ხელშეუხებელი ჩანდეს. ქალბატონი ჯევანსი მიიჩნევს, რომ ყველაფერი იდეალურად ჩაივლის: *„უიმბლდონის დასრულებისთანავე უკანა ხაზთან გათეთილ ადგილებში თავიდან დავთესავთ ბალახს. ასე გავაკეთეთ შარშან და ამჯერადაც ასე მოვიქცევით. ედი სიუარდმა თავისი საქმე კარგად იცის. ის დარწმუნებულია, რომ ოლიმპიადისთვის კორტები ფანტასტიკურ მდგომარეობაში იქნება“.*

საჭირო იქნება ბევრი სხვა ცვლილებაც. ოლიმპიური ტურნირისთვის მასმედიის მოთხოვნები უფრო მაღალია, ვიდრე უიმბლდონის ტურნირზე. მთავარ შესასვლელს მაყურებლებისთვის, აგრეთვე უსაფრთხოების სამსახურის პოსტებს კლუბის ტერიტორიის სამხრეთით გადაიტანენ. თამაშებისთვის გამოიყენებენ 19-დან ათ კორტს, მათ შორს მთავარ არენებს, გარდა ახალი „№3 კორტისა“. კიდევ ექვსი ვარჯიშებისთვის იქნება განკუთვნილი. ცენტრალური კორტის სახურავი ძველებურ რეჟიმში იმუშავებს. სამეფო ლოჟა განკუთვნილი იქნება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებისთვის, უიმბლდონის კლუბის წევრები კი ბილეთების შეძენისას პრივილეგიებით არ ისარგებლებენ.

შეგახსენებთ, რომ XXX ოლიმპიური თამაშები 25 ივლისიდან 12 აგვისტომდე გაიმართება. საჩოგბურთო ტურნირი 28 ივლისს დაიწყება და 5 აგვისტოს დასრულდება.

დელ პოტროს დევისის თასზე ვნახავთ

უიმბლდონის ტურნირის დასრულებიდან ერთი კვირის თავზე დევისის თასზე მეოთხედფინალები გაიმართება. ერთ-ერთი მატჩი ბუენოს აირესში შედგება - არგენტინა ყაზახეთის ნაკრებს უმასპინძლებს.

პირველად ბოლო ორი წლის განმავლობაში, არგენტინული ჩოგბურთის ერთ-ერთი ლიდერი **ხუან მარტინ დელ პოტრო** მსოფლიოს არაოფიციალურ გუნდურ ჩემპიონატში ითამაშებს. ბოლოს ამერიკის ღია პირველობის ყოფილი გამარჯვებული დევისის თასზე 2009 წელს, ჩეხეთთან მეოთხედფინალში ვიხილეთ.

დელ პოტროს გარდა, არგენტინელთა რიგებში იქნებიან **დავიდ ნალბანდიანი, ხუან-იგნასიო ჩელა** და **ხუან მონაკო**.

როლან გაროსის ჩემპიონი სახლში წავიდა

სერენა უილიამსი ორგანიზატორებს გაუწყრა

გუშინ უიმბლდონზე მეორე წრე უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მატჩები რამდენჯერმე წვიმის გამო შეწყდა, ამიტომაც კაცებს შორის სამი და ქალებში ოთხი მატჩი მეორე დღისთვის გადაიდო - მათ შორის **კაროლინ ვოზნიაცკისა** და **მარია შარაპოვას** შეხვედრები.

დღის ყველაზე დრამატულ მატჩად, რა თქმა უნდა, როლან გაროსის ჩემპიონის **ნა ლისა** და გერმანელი ვეტერანის **საბინ ლისიცკის** დაპირისპირება უნდა მოვნათლოდ.

ჩინელ ჩოგბურთელს წელს „დიდი სლემის“ ტურნირებზე 15-დან 14 მატჩი ჰქონდა მოგებული - ერთადერთხელ დამარცხდა ავსტრალიის ღიას ფინალში ბელგიელ **კიმ კლაისტერსთან** და მოიგო საფრანგეთის ღია პირველობა. თავისი პლიუსები ლისიცკისაც ჰქონდა. ბალახის კორტებზე ბოლო 13 მატჩიდან 12-ჯერ გამარჯვებულმა დატოვა კორტი. 2009 წელს მან უიმბლდონზე მეოთხედფინალში ითამაშა, ორი კვირის წინ კი ბირმინგემის ტურნირის მოგება მოახერხა. შარშან მან ხუთი თვე გამოტოვა მარცხენა მუხლის ტრავმის გამო და კლასიფიკაციაში პირველი ორასეულის მიღმა აღმოჩნდა.

ასე რომ, ნა ლის მესამე განთესვის ნომრის მიუხედავად, რთული იყო რომელიმე ჩოგბურთელისთვის წინასწარ უპირატესობის მინიჭება. პროგნოზი გამართლდა და მაყურებელმა ძალიან დაძაბული მატჩი იხილა, სადაც მთავარი მოვლენები მესამე სეტში განვითარდა.

გადამწყვეტ პარტიაში ნა ლი 4:2-სა და 5:3-ს იგებდა, ორჯერ აწვდიდა მატჩზე (5:4-ზე და 6:5-ზე), მაგრამ ორივეჯერ მეტოქემ მას ბრეიკით უპასუხა. მეცხრე გეიმში ლისიცკის მოწოდებისას, 15:40-ზე ნა ლიმ ორმაგი მატჩბოლი მიიღო. საბინმა ორივე საფრთხე კარგი მოწოდების წყალობით მოიგერია, ხოლო, როცა მორიგი ბრეიკით ანგარიში გაათანაბრა (6:6), ინიციატივა მთლიანად მის მხარეს გადავიდა. ნა ლის მსგავსად, მანაც ორი მატჩბოლი ვერ გამოიყენა, მაგრამ მესამე ცდაზე ლიმ ფორჰენდის შესრულებისას ბურთი აუტში გაუშვა და ლისიცკიმ მესამე წრის საგზური მოიპოვა.

სერენა უილიამსმა მეორე მატჩი მოიგო ამ უიმბლდონზე. მას მეორე კორტზე მოუწია თამაში რუმინელი **სიმონა ჰალეპის** წინააღმდეგ. მეორე კორტს „ჩემპიონების სასაფლაოს“ უწოდებენ, რადგან აქ ხშირია სენსაციები. სხვათა შორის, წინა დღეს სწორედ ამ კორტზე ითამაშა **ვენუს უილიამსმაც** და დიდი გაჭირვებით შეძლო მოგება. უფროსი დის მსგავსად, გუშინ ასევე სამი სეტის თამაში მოუწია სერენასაც.

მოქმედმა ჩემპიონმა მხოლოდ პირველი პარტიის წაგების შემდეგ იპოვნა საკუთარი თამაში. ერთი პირობა ჰალეპი უმკლავდებოდა გააქტიურებულ მეტოქეს, მაგრამ 4:2-დან მოყოლებული, მომდევნო ცხრა გეიმიდან რვა ამერიკელმა მოიგო და გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. მას შემდეგ, რაც სერენა წინა კვირას ისტბურნის ტურნირზე დაუბრუნდა პროფესიულ ტურს, ეს მისი ზედიზედ მეოთხე სამსეტიანი მატჩი იყო.

საინტერესოა, რომ შეხვედრის შემდეგ უმცროსმა უილიამსმა გააკრიტიკა ორგანიზატორები იმის გამო, რომ მას და ვენუსს მუდმივად მეორე კორტზე უშვებენ სათამაშოდ: *„მათ მოსწონთ ჩვენი მეორე კორტზე დაყენება. ჯერჯერობით ამის მიზეზს ვერ ვხვდები. იმედია, ოდესღაც ამოვხსნი ამ საიდუმლოს“.*

■ ■ ■

მამაკაცებს შორისაც გაიმართა ერთი ცენტრალური შეხვედრა - მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი **რობინ სიოდერლინგი** უიმბლდონის 2002 წლის ჩემპიონ **ლეიტონ ჰიუიტს** ხვდებოდა. ავსტრალიელმა კარგად დაიწყო და საწყისი ორი სეტი მოიგო. პირველ სეტში ბრეიკი არ ყოფილა და ყველაფერი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა, მეორეში კი ჰიუიტმა მერვე გეიმში აიღო მეტოქის მოწოდება და სეტი ამის ხარჯზე მოიგო.

მაგრამ სკანდინავიელი არ დანებდა, თანაც ავსტრალიელი დაიღალა. საინტერესოა, რომ მომდევნო ორ სეტში სიოდერლინგმა ბოლო გეიმებში გააკეთა ბრეიკები. მეხუთე სეტში ჰიუტისთვის ყველაფერი კარგად დაიწყო - მან მატჩში მეორე ბრეიკი გაახერხა და 2:1 დაწინაურდა, მაგრამ რობინმა მოულოდნელად ძალიან იოლად დაიბრუნა დაკარგული მოწოდება - 2:2.

მეათე გეიმში შვედმა სამმაგი ბრეიკ-პოინტი მიიღო, რომელიც მატჩბოლს უდრიდა. ამის შემდეგ მატჩის მოგება ტექნიკის საქმე იყო და სიოდერლინგმა შანსი ხელიდან არ გაუშვა. თამაში სამი საათი და 50 წუთი გაგრძელდა. რობინმა 28 ეისი ჩააწოდა, ჰიუიტმა - 15. შვედს 74 „ვინერსი“ ჰქონდა, ავსტრალიელს - 44. ერთადერთი, რაშიც ლეიტონმა მეტოქეს აჯობა, ნაკლები უნბელიე შეცდომა იყო (19-39).

პრობლემა არ ჰქონია მსოფლიოს მეორე ჩოგანს **ნოვაკ ჯოკოვიჩს**. სერბს წინააღმდეგობა ვერ გაუწია სამხრეთაფრიკელმა **კევინ ანდერსონმა**. მართალია, ამ უკანასკნელმა ერთხელ შეძლო მეტოქის მოწოდების აღება, მაგრამ ნოვაკის ანგარიშზე ხუთი ბრეიკი იყო და ამის ხარჯზე სერბმა საათსა და 54 წუთში 6:3, 6:4, 6:2 გაიმარჯვა.

მდევრის როლში აღმოჩნდა **ხუან მარტინ დელ პოტრო** ბელგიელი **ოლივიე როხუსის** წინააღმდეგ. პირველი სეტი ფავორიტმა ტაი-ბრეიკზე (7:9) წააგო, მაგრამ მომდევნო სამ სეტში 30 წლის როხუსმა მიღებაზე მხოლოდ შვიდი ქულა აიღო. არგენტინელი შეუდარებელი იყო საკუთარი მოწოდებისას - 30 ეისი შეასრულა და პირველი მოწოდების სიზუსტემ 70 პროცენტს გადააჭარბა. არგენტინელი პირველად კარიერაში უიმბლდონის მესამე წრეში გავიდა.

დღის ბოლოს ტურნირის ერთ-ერთმა ფავორტიმა **როჯერ ფედერერმა** ფრანგი **ადრიან მანარინო** გაანადგურა და მესამე რაუნდში **დავიდ ნალბანდიანზე** გავიდა.

კაცები

II წრე

ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 24)-ოლივიე როხუსი (ბელ) 6:7, 6:1, 6:0, 6:4; **კაროლ ბეკი (სლოვაკ)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ, 26) 7:6, 6:4, 3:6, 6:4; **ფერნანდო გონსალესი (ჩილ)**-რიკ დე ვოესტი (ს. აფრ) 6:4, 6:4; **ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 12)**-გრიგორ დიმიტროვი (ბულ) 6:7, 6:4, 6:4, 7:6; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 16)**-ჯონ ისნერი (აშშ) 7:6, 7:6, 6:7, 6:3; **მიხაილ იუჟნი (რუს, 18)**-სიმდევ დევარმანი (ინდ) 6:2, 6:4, 6:4; **დავიდ ნალბანდიანი (არგ, 28)**-ანდრეას ჰაიდერ-მაურერი (ავსტრია) 6:3, 3:6, 6:4, 6:4; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-ადრიან მანარინო (საფ) 6:2, 6:3, 6:2; **რობინ სიოდერლინგი (შვედ, 5)**-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) 6:7, 3:6, 7:5, 6:4, 6:4; **ქსავიე მალისე (ბელ)**-ფლორიან მაიერი (გერ, 20) 1:6, 6:3, 6:2, 6:2; **იუნ-ჰსუნ ლუ (ტაივ)**-ვიქტორ ტროიეკი (სერ, 13) 7:6, 6:4, 6:4; **მიკაელ ლოდრა (საფ, 19)**-რიკარდო მელო (ბრა) 6:2, 4:6, 6:2, 6:3; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 32)**-ანდრეას სეპი (იტა) 6:4, 7:6, 7:5; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-კევინ ანდერსონი (ს. აფრ) 6:3, 6:4, 6:2.

ქალები

II წრე

იარმილა გაიდოშოვა (ავსტრა, 27)-ანდრეა ჰლავაჩკოვა (ჩეხ) 7:6, 6:3; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 24)**-პოლონა ჰერცოგი (სლოვენ) 6:1, 6:2; **იულია გორგესი (გერ, 16)**-მატილდ ოოჰანსონი (საფ) 7:6, 6:2; **მელინდა ჩინკი (უნგ)**-ანასტასია იაკიმოვა (ბლრ) 7:5, 6:3; **კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ, 31) 6:0, 6:7, 6:4; **საბინ ლისიცკი (გერ)**-ნა ლი (ჩინ, 3) 3:6, 6:4, 8:6; **მისაკი დოი (იაპ)**-ჟიე ჟენგი (ჩინ) 6:3, 6:1; **ანა ივანოვიჩი (სერ, 18)**-ელენი დანილიდუ (საბ) 6:3, 6:0; **პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 13) 3:6, 7:6, 6:4; **ფლავია პენეტა (იტა, 21)**-ევგენია როდინა (რუს) 6:4, 6:2; **მარია კირილენკო (რუს, 26)**-ტამარინე ტანასუგარნი (ტაილ) 7:5, 7:5; **სერენა უილიამსი (აშშ, 7)**-სიმონა ჰალეპი (რუმ) 3:6, 6:2, 6:1; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 6)**-ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ) 7:5, 6:3; **ტამირა პაჩეკი (ავსტრია)**-კრისტინა მაკჰეილი (აშშ) 6:4, 6:1; **ნადია პეტროვა (რუს)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 14) 6:3, 6:3; **კატერინა ბონდარენკო (უკრ)**-სარა ერანი (იტა) 6:4, 5:7, 6:2; **იანინა ვიკმაიერი (ბელ, 19)**-ანა ტატიშვილი (საქ) 3:6, 6:4, 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 12)**-ალექსანდრა დულგერუ (რუმ) 6:0, 6:2.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა